საქართველოს

მოამბე

1863

№ XI ნოემბერი

წელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მკლეკუმიანცის დ ამბარცუმ ენთეიაფიანცის სტამბაში

I. რედაქციისაგან. . . . . ილია ჭავჭავაძისა

II. კომედია გოდეკილი. . . . . ს. აბაშიძისა.

III. ჩვენი დროების გმირი . . . . . მ. ყიფიანი.

IV. მცირედი რამ მოთხრობა რუსეთისა. * * *

V. ლექსი. . . . . * * *

VI. წიდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტუვეობა. . . . . თერგ—ალდეული.

VII. ორ ნაირი სწავლა. . . . . ბ. ვ.

VIII. საბრალო ანი. რომანი ვიკტორ ჰუგოსი. თარგმ. გიორგი ბიქიანისა.

სეფერკალეული

ქალაქი

F10796
13656

საღვთისმეტყველო ყოველთვიური

ТОМСКИЙ ФИЛИАЛ
Библиотека
АМЭП при ПСТГУ

გამოიცემის

ი. ჯაჯანაძისაგან

„ახლოს ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ლ გამოვალნ ფურცელნი, უწყოლეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხულსა.
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

НЕ ВЫНОСИТСЯ

ტომი III.

ტფილისი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში

რედაქციისაგან.

წარსულმა დროამ მრავალ ჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვგსთხოვდით ჩვენს ყურნალსა, რასაც მისგან მოველოდით—ამას ყველაფერს წინ გედელი დახვდა. რასაკვირველია, ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე, მაგრამ ყურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ვსძლიოს რედაქციამ და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. «დრონი მეფობენო» სათქვამია,—ჩვენც ნებით თუ უნებლიეთ გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა.

ხოლო თუმცა გზა გახიდული გვქონდა, მაგრამ გულ წრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მისაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინიდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ვსჯრიდა, როგორც გული გვითხრობდა—ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და გვლაპარაკ ,ისე მოვიქცევით—თუნდ რომ ამით ჩვენს ყურნალს ბოლოც მოელოს.

ნაკლულოვანება ჩვენს ყურნალს, რასაკვირველია, ბევრი ჰქონდა. სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ეგ ნაკლულოვანება დავფარო. ეგ მკითხველის და თავის თავის მოტყუება იქნება—და

ჩვენ ამაზედ შორსა ვართ. ყველაზედ დიდი ნაკლულოვანება ჩვენის ყურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არა ჰქონდა,—ეგ ინტერესია ყოველი ყურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ალსნა ჩვენმა ყურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერაც ჰსცადა, კიდევ იმავე მიზეზით, რომ «დრონი მეოხენო». ამის გამო ჩვენს ყურნალს ფერი დაკარგდა, « მოამბემ » შორიდამ დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდ გასაშინჯავი იყო და «ცისკარმაც»—თავის ჩვეულების წინააღმდეგ—მართლა ჰსთქვა, რომ «მოამბე» «ბორნიგსა» ჰგავსო. სხვა ნაკლულოვანება, რომელიც ჩვენის საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა შენიშნა, ზოგი იმისთანაა, რომელიც ყოველის ახალ დაწყობილის საქმისათვის აუცილებელია, ზოგი კიდევ იმისთანა, რომელიც ჩვენს საკუთარს გამოუცდელობას მიეწერება. დროთა და ჩვენის გამოცდილების შემწეობით შეიძლება, რომ ეგ ნაკლულოვანება ალარ იყოს.

კულავ იქნება ჩვენს ყურნალს არი დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს; ამის იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა ალგვითქვა გულმოდგინე შემწეობა. ღმერთმა ქმნას, რომ იმათი სურვილი, ჩვენს სურვილთან ერთად, უნაყოფო არ დარჩეს!

ყურნალი ისევ თვე და თვე გამოვა იმავე პროგრამით, სიგრცით შვიდ თაბახზედ არ ნაკლები. ფასი რვა მანეთი იქნება შინ გაგზავნით, გაუგზავნელად შვიდი.

ქალაქ გარედ მცხოვრებთაგანი, ვინც პირდაპირ რედაქციაში გამოგზავნის ფულსა, იმათ პირობას მივცემთ, რომ ყველაფერში პასუხის მგებელნი ვიქნებით. თორემ შარშან ბევრს სხვისთვის მიეცა ყურნალის ფული რედაქციაში გადასაცემათ და ზოგიერთ მათგან არამც თუ ფული, ხელის მომწერთა სახელებიც დღევანდლამდის არ მიგვიღია, ზოგმა კიდევ დაგვიანა ფულის გადმოცემა და

ამის გამო რედაქციას ბევრი უსამართლო სამდურავი და საყვედური დაედო. რომ ეს ურიგობა აღარ იყოს, ვისაც სურს პირდაპირ რედაქციაში გამოგზავნოს თუული ამ ადრესით:

Въ Редакцію журнала «Грузинскій Вѣстникъ»

ქალაქში მცხოვრებთა ხელის მოწერა შეუძლიანთ უფ. ტერ-მიქელიანცის წიგნის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის ქარვასლაში აარის, კაპანაძის პირდაპირ. თუულის მომტანმა საკუთარის ხელით საკუთრად ამისათვის შედგენილს წიგნში უნდა ჩაწეროს თავისი გვარი და ადრესი და ბილეთი, რედაქტორისაგან ხელმოწერილი ტ მისის ბეჭდით დაბეჭდილი, უნდა ჩამოართოს.

ამასაც ვითხოვთ, რომ ყოველი ადრესის გამოცვლაზედ ან ყურნალის ყურნალის დაგვიანებაზედ, ან სრულიად არ მიღებაზედ, მაშინვე რედაქციას აცნობონ წერილითა, რომ საბუთი გვქონდეს ან ფოშტას მოვწერთხოვთ, ან წიგნების დამტარებელსა.

ვისაც დღემდე ისევ შარშანდელი ყურნალის თასი გამოუგზავნია დანარჩენს თუულს უკანვე ვუგზავნით.

რედაქტორი ილია ჭავჭავაძე.

ლოტო კოდექალი.

ერთ მოქმედებად.

გაშოსვლა პირველი.

(ბალში მწვანეზედ სხედან ქალები თხილს სჭამენ.)

1. ქალი.

დღეს ქეიფი არ ექნება ჩვენს ლოტოს; პარტია ცოტა არის ქალებო?

2. ქალი.

სრულიად არა! ოთხი ხომ ჩვენ, ივანე და ლუარსაბიც ჩავჯდინოთ, ეს ექვსი. თეკლე და მარიამიც მოვლენ შვიდი და რვა.

1. ქალი.

თეკლე და მარიამ ვგონებ არ მოვლენ. ისინი საგულავოდ მიდიოდნენ.

3. ქალი.

დიალ მეც დავინახე რომ მიდიოდნენ.

2. ქალი.

რა ვუყოთ! იკატავებენ, იკატავებენ და მოვლენ. მე მითხრეს მოვალთოო.

4. ქალი.

რა ბრძანებაა, ალარ მოვლენ . . . . . .

2. ქალი.

არა, მოვლენ სწორეთ მოვლენ.

1. ქალი.

ქალო რათ გიყვარს სპორი, რას გვესპორები ალარ მოვლენ ცხადია . . . . . .

4. ქალი.

ქალიან არ არის . . . . . .

3. ქალი.

როგორ არ ხედავ ხეებს ამტვრევს!

1. ქალი. (მიდის.)

ნუ წამოხვალთ სანამ ვროშენია არ გამოგიგზავნოთ.

(მიდიან ყველანი სახლში.)

გამოსვლა მეორე.

(ლოტო იწყება. ქალები ჯდებიან ლოტოს არიგებენ.)

1. ქალი.

ერთი ქალალდიც მორჩა ჩავაჯდინოთ ვინმე?

ერთ ხმად ყველა.

შენ ჩაჯექი ივანე. ითამაშე კამპანიის გულისთვის.

ივანე.

არ ვიცი ბატონებო, ჩემს დღეში არ მითამაშია.

4. ქალი.

რა არ იცი, ციფრები არ იცი?

ივანე.

როგორ არ ვიცი, მარა თამაშობა არ ვიცი.

5. ქალი.

ეხლავ დაგასწავლი; გთქვათ: ვიატნაცილ დაიძახეს, თუ შენ ქალალდშია დასვამ, და თუ სიგანაზე ორი დასვი ერთ წყებაზედ ამას ანბო ქვიან, სამს თუ დასვამ ვიიგრალა გაგეთდება, ვიიგრალა ქვიან, ოთხზედ ოთხი ქვიან, ხუთზედ კონჩილა გაგეთდება. ეხლა კი ვიიგრალაზედ ვთამაშობთ.

ივანე.

ეხლა კი გავიგე, მიბოძეთ ქალალდი! ვითამაშებ.

თეკლე.

ფულს ჩამობძანდით. (ჩადიან ფულს.)

2. ქალი.

ეგრეთულტე თვითონ მითხრეს მოვალეთო.

3. ქალი. (მეორეს სიცილით.)

შენ ძალიან ბედი გაქვს ლოტოში; გინდა ამალამაც მოგვიგო?

1. ქალი.

არა ამალამ ეგ სწორეთ წაგებს, იმ გვარი სიზმარი ვნახე.....

2. ქალი.

რა ვუყოთ, ისე ხომ არ წავაგებ, რომ სხვასაც არ წაეგოს, ბევრი, ბევრი სამი წავაგო. სამი მანეთი ბევრი არ არის?

4. ქალი.

თეკლე საშინლად სჩასტლივოდ თამაშობს.

3. ქალი.

აბა ქალო, შენგან არ მიგვირს მაგის თქმა? ხომ კარგა იცი, რომ ის სულ იპარავს და ტყუილს თამაშობს და ვინც უნდა მოიგოს ისიც იძახის: «ია ტოყე კიიგრალა.» აბა ვინ უნდა აწყენინოს ის შაურზე.

ერთ ხმად ყველა.

ეგეკრგა იყოს, ეგეკრგა უქმნათ.

1. ქალი.

კარგი იქნება, მაგრამ როგორ ვითამაშოთ: ანბოზედ, ვიიგრალაზედ თუ გონჩილაზედ?

2. ქალი.

გონჩილაზე დიდ ხანს არ გათავდება, არც ოთხზედ კარგა. სამ სამი ქალალდი და ვიიგრალაზედ გავათავოდ.

ერთ ხმად ყველა.

ჰო, კარგია! კარგია! ვიიგრალაზედ, ვიიგრალაზედ.

3. ქალი.

ქალებო! აწ კი წავიდეთ შინა თუ არა ხომ ხედავთ რა საშინელი სვაზნოი ვეტერია, არ გავცივდეთ.

3. ქალი (მეორეს ეუბნება).

ჩადი, ქალო, ჩემ მაგიერ, ეხლა მე არ მაქვს დაჩი და მერე მე ჩავალ. (ჩადის.)

მარიამი (ლობიოს ლებს.)

ჩემი ეს იყოს აჭა!

ივანე.

მე მაშ სიმინდის მარცვალი უნდა ჩამოვიდე?

1. ქალი.

დიალ შეგიძლიან, მაგრამ რამდენ მარცვალს წაიგებ იმდენს, რაც უსლოგიით ვთამაშობთ თუულს გადიხდი.

ივანე (სიცილით.)

მე მგონია, ბატონებო, თუ სიმინდის მარცვალზედ ვთამაშობ-დით. (ლოტოს იწყებენ.)

1. ქალი (ჭკითხულობს.)

ბიატნაცეტ, ტრიცი დვა, დვა, ჩეთირნაცეტ, ოსიმ, დევანასტო.

6. ქალი.

ვიიგრალა, გმარა ბატონებო? (შეკრთება) თუ არ უკვაცრავად, უ-კვაცრავად შემეშალა დავანასტო არ ეოთვილა შასდესიად ეოთვილა

(ყველა ერთი ხმად ჩურჩულობენ)

ეს რას გავს, შეგვაშლევინა. ავეარეთ.

2. ქალი.

ხელ ახლა წაიკითხეთ, მგონია კიდეც მოვიგე.

1. ქალი.

ბიატნაცეტ, ტრიცი დვა, დვა, ჩეთირნაცეტ, ოსიმ, დევანასტო.

2. ქალი.

უკვაცრავად მერამდენე ნომერია უკანასკნელი?

1. ქალი. (თავისთვის, რა ამბავია მოვილალე ამდენი ყვირილით).

ჭკითხულობს: ჩეთირნაცატ, დავანოსტო, სოროგ . . . . . .

4. ქალი.

გონჩილა. გმარა. აქ გახლავთ: ბიატნაცეტ, ტრიცი დვა, სოროგ.

5. ქალი.

წელან არიეს რას გაიგებს კაცი თუ არა ეგების კიდევაც მოგიგე. (ლოტო თავდება რამოდენიმე ხელი).

3. ქალი.

ვინ არია ეს ლოტო? რა ბაიეუში ქაღალდები მოამცა? შეეშალოთ ხელ ახლა ვარიგოთ?

2. ქალი.

ჩემს ქაღალდზე სულ არაფერი წერია.

თეკლე.

გეთაყვა რა ბაიეუში რამ არის ეს ბაშვი, რას დამდგომია თავზედ. როდის მოიგებს კაცი

ნინო.

ერთი ხელი კი მოვიგე და როგორც გავასესხე მოგებული ისე გამიდგა ხელი.

5. ქალი.

არ იცი რომ, როდი უნდა გასესხო თუ არა მაშინვე ხელი გაგიდგება.

3. ქალი ივანეს.

ივანე?

ივანე.

ბატონო, შენი ჭირიმე.

3. ქალი.

ვგონებ თქვენ არც ერთი ვიიგრალა არ გიქნიათ.

ივანე.

მართალს ბრძანებთ, თვალით ვერასოვერს ვხედავ ლოტოზე, სულ გარშემოსხედულ ვარსკვლავებს მიეხერებიეარ. (ამ დროს თეხი მოხვდება. თავისთვის: ეს რა ამბავია? ეს თეხი ვინა მერა? სწორეთ ნინოა. უცებ თუ მოუხვდა: მოდი ერთი თვალით ვანიშნო რას მეტეეის. ანიშნებს თვალით).

ნ.ინო.

თვალს არიდებენ ვითომც არ დაუნახავს.

ი ვ ა ნ ე. (თავისთვის).

სწორეთ შერცხვა თვალით ჩვენება, თუ არა ის თვეხი წელან ნინოსი იყო. მოდი ერთი მეც ვკრა (აცოდვილებს თვეს). ჰუ, გაკეთდა ჩემი საქმე, ეს ორ ჯერ მოამხვდა თვეხი, სწორეთ მიგხედი. თვალით ნიშნება არ შეიძლო. სხვა ქალს რომ შეემჩნია მის მუქვრას ვერ მორჩებოდა. სტოლს ქვეშ თვეს ვინ დაინახავს? აი გამოცდილი ჯკუანი ქალი ისეთი უნდა, როგორც ის არის.

2. ქ ა ლ ი ნინოს (ჩუმათ).

რა კარგი კეთილი რამ სახე აქვს ივანეს?

ნ ი ნ ო.

მართლა, ძვირათ მინახავს მაგის თანა ხახე

ი ვ ა ნ ე.

(გაიგონებს მათ ჩურჩულს და იტყვის:) სწორეთ ბედნიერი კაცი ვარ, რა ქალმაც უნდა მნახოს, ყველას შეუყვარდები.

ნ ი ნ ო მ ე ო რ ე ქ ა ლ ს (ჩუმათ).

რა საშინლად გაუხარდა ივანეს, გგონებ ჩვენი ჩურჩული გაიგონა?

2. ქ ა ლ ი. ხმა მაღლა.

ჰო, მართალია რასაც მელაპარაკები ნინო.

ი ვ ა ნ ე თ ა ვ ი ს თ ვ ი ს.

ჩემი საქმე გაკეთებულია, წელან ჩემის ყურით გავიგონე მაქვს; ეხლაც სწორეთ ჩემზე უთხრა ნინომ იმ ქალს. მოდი ერთი კიდე თვეხი ვკრა, ან კი რაღა თვეხის კვრა უნდა, აი ხელს მიპოტინებს. მოდი ერთი ბეჭედს მივცემ. (იძრობს აძლევს). იმანაც მოამცა (იდებს ჯიბეში). ეოჩაღ ლუარსაბ! ოხ, შენი ჭირიმე ბიჭო! რა კარგი რამ ეოთვილა ლოტოს თამაში. ამიტომაც შამციკებოდა ნინოეს აჭზრი ქონდა.

ნ ი ნ ო. სულ ლუარსაბი იგებს ნულა ვითამაშებთ.

(ერთ ხმად ყველა.)

აბე, აბე, აბე, აბე, (დაჭკივიან ჯ წამოაგდებენ ზეზელ).

ნ ი ნ ო. ჩვენც გავათავოთ კმარა სამი საათია.

ივანე.

ერა, ცოტა ხანს კიდე ვითამაშოთ.

(ერთ ხმად ყვეღა).

გმარა, გმარა (დგებიან).

3. ქალი.

ეი ჩემო უბედურო თავო, სამი მანეთი წავაგე.

(ერთ ხმად ყვეღა.)

მეც წავაგე, მეც, მეც, მეც . . . . . .

ივანე.

მაშ ვინღა მოიგო ბატონებო? (გაღიან მეორეს ოთახში).

ივანე.

სამი მანეთი კი წავაგე, მარა სამ მილიონს კი მირჩევნია ის მე რომ ვიცი.

ივანე და ღევან.

ივანე (ოთახიდგან გამოღის).

ღევან რა ქენი, მოიგე ქალაღში?

ღევან.

ღიაღ შვიდი მანეთი, შენ რა ქენი ისწავლე ღოტო?

ივანე.

მასწავლეს, სამი მანეთი კი წავაგე, მაგრამ . . . იცი რა გითხრა, მითხარი ბოყალუსტა ვინ არის ის ქალი? თითით უჩვენებს.

ღევან.

აბა რომელი? ეს? რათ გინდა? ვერ ვიცნობ. (თავისთვის, ჩემი ცოლისას მკითხავს).

ივანე.

კარგი ყოფილა, ღოტო, რა ვემასხარე იმ ქალს, ფეხები ერთი მეორეს ვეცით. მერე ბეჭედი მივეცი და მაგიერი ბეჭედი მომცა სიყვარულის ნიშნად.

ღევან.

(გაუვითლდება) ვაიმე რა უქნია იმ უნამუსოს. (მიღის ცოლთან იჭვნეულად ჰკითხავს:) ბეჭედი რა უყავ, რათ ჩაგიცვამს ხელ თათმანები.

ნინო.

დათვრი? რას კითხულობ. სხუმის როდის ეკითხე?

ლევან.

არა თვერი ისე ვიკითხე. (თავისთვის: რომ არ წითლდება ეს უნამუსო ვერ მომატყუებ! მაცალე შენ სეირს გაჩვენებ.)

(მეორე ოთახში ივანე და ლუარსაბი ლაპარაკობენ).

ლუარსაბი.

თულს ვინ დასდევს? იცი ლევანის ცოლმა რა მქნა?

ივანე.

ვინ არის ლევანის ცოლი?

ლუარსაბ.

ა ის ქალი.

ივანე (უეშინებული).

ნუ ხუმრობ, ვაი აგი დავიღუპე კაცი, მის ქმარს ყოველი ამბავი უამბე რაღა მეშველება.

ლუარსაბ.

არშიყობა დამიწყო: თვეხი მგრა, მეც ვკარი ბეჭდებიც შევცვალეთ სიყვარულის ნიშნად.

ივანე (შეკრთომით).

შენ კი შერცხვი! განა შენ იყავი, ნინო მეგონე, (ამოიღებს ბეჭედს ჯ უჩვენებს) ეს შენია?

ლუარსაბ.

ვაი; ვინ მოგცა. განა ნინომ გამამხილა; თუ არა სატინლად მიგიღებდა?

ივანე.

ნინომ კი არა, მე და შენ ვყოთვილვართ; როგორ უნდა იყოს კაცი ისე ჭკუა გაბნეული როგორთაც შენ.

ლუარსაბ.

თუ ასე იყო, შენ დაწყევლილო რას მიჩუჩხურებდი თვეხებს?

ივანე.

კარგი მე თუნდ ჯ აგრე იყოს, მაგრამ შენ რაღას მიჩუჩხურებდიდ ისე უგრძნობელი ყოთვილ ხარ რომ ხელში ბეჭედი მოგეცი და ჩუ-

მი ვეება ხელი ქალის ხელად გეჩვენა. ვეფერეთ ბიჭო, ვეფერეთ!

(აიშლებიან, ყვირიან და მათ ყვირილზეგამოდიან ყველანი; და გაკვირვებით ისმენენ მათ ვალაის.)

ლევანი.

(გახარებული ყვირის). თუ არა ასე თუ ეს ამბავი. მიკარდება ცოლს ხელს კოცნის და ეუბნება: მოამიტევე გეთაყვა ცუდი ჭკვრი მქონდა შენზედ ამ სულელი კაცის მიზეზით.

ნინო (გაკვირებით ჰკითხავს).

რა ამბავია გეთაყვა, კიდე ვერა გამიგია რა?

ლევანი.

(მოუყვება, დაწვლილებით ეუბნება ყოველ საქმეს). ეს კაი ხუმრობა არის აჭ! აჭ! ხა! ხა! ხა! ხა!.....

ეგრეთვე ქალები.

ეი თქო აჭ ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ლუარსაბი მღერის:

გულით ურჩევ ქართველ ქალებს,
ლოტო შიდა დაწათუებს
ნუ დააკოტრებენ ქრმებსა.
ჯ ნუ დალუპვენ თუულებსა.
მოერიდონ ღმერთის წყენას!
ნუ სტანჯავენ ქართულ ენას
კონჩილა და ვიიგრალა
მეტად სტანჯავს ჩვენსა სმენას.
ოთვის ოჯახში გახერდნენ
ნუ დახტიან აქა იქა!
და ჩითის კაბას დასჯერდნენ
თუ არ აქვთ მორე—ანტიკა.
ხელთ აიღონ საქნარები!
ნუ დაალარიბეს ქრმები!
სჯობს, კეთილად მოიხმარონ
იმათი ჯამაგირები!.....

ს. აბაშიძე.

1860 წელს. 17 ნოემბერს.

ჩვენის დროების კმიანი.

(შემდეგი.)

II.

ალექსეი მალენიჩი.

ალექსეი მალენიჩის განშორებულმა, მე მალე გავიბიენ თუ-ბგისა და დარიალის ხეობაები, ვისაუზმე ყაზიბეგში, ჩაი დავლიე ლარსში, და ვახშმად მივაშურე ვლადიკავკაზსა. განგათავისუფლებთ თქვენ მთების აღწერილებისაგანა, ხმაურობისაგანა, რომელნიცა არათვერსა არ გამოხატვენ, მეტადრე მათთვის, ვინც იქ არა ყოფილან, და სტატისტიკურის აღწერილებისაგან, რომელსაც სრულობით კითხვას არავინ დაუწყებს.

მე დავდექი სასტუმროში, სადაც დგებიან ხოლმე ყველა გამ-ლელ-გამომგლელნი, და სადაც, სხვათა შორის, არავინ არის, რომ შეაწვევინო ხოხობი, ან შჩი მოახარშვინო, ამისთვის რომ სამი ინ-ვალიდის სადღათი, რომელთაც ის აბარია, ისრეთი სულელები არიან, ან ისრეთი ლოთები, რომ ვერათვერს გაგებინებ.

მე გამოვიცხადეს, რომ აქ უნდა დავრჩენილვიყავი კიდევ სამი დღე, ამისათვის რომა აკაზია (შემთხვევა) ჯერ არ მოსულიყო ეკატერინოგრადიდგანა, და მაშასადამე დაბრუნება არ შეეძლო. რა აკაზია!... მაგრამ ცუდი ხმა უნუგეშოა რუსეთის გაცისათვისა, და მე გასართობლად, დავიწყე მაქსიმ მაქსიმიჩის ნა-

ლაპარაკების წერა ბელაზე, ამას კი არა ვფიქრობდი, რომ ეს იქმნებოდა პირველი დასაწყისი გრძელი მოთხრობებისა: ხედავთ, როგორ ზოგჯერ მცირე შემთხვეულობასა, მოსდევს სასტიკი დასასრული! . . . და თქვენ, იქმნება, არ იცოდეთ რა არის «აკაზია?» ეს არის ნახეკარ როტა საღდათი ერთის ზარბაზნით, რომელთა მცარველობასა ქვეშეც გაიკლიან ხოლმე ბარგიანი ურმები ყაბარდოში ვლადიკავკაზიდგან და ეკატერინოგრადიდგან.

პირველი დღე უსიამოვნოთ გავატარე, მეორეს დღეს დილაზე ეზოში შამოვიდა პავოზკა . . . . ოჭო! მაქსიმ მაქსიმიჩ! . . . ჩვენ შეეხვდით ერთმანერთს, როგორც ძველი მეგობრები. მე ჩემი ოთახი უთავაზე. ის არ გამინაზდა, ისრე გაშინჯე მხარზედაც დამკრა ხელი და მოიღრიჯა ცხვირპირი, თითქო გასალიმებლათა. ისრეთი უცხო ხასიათის კაცი იყო! . .

მაქსიმ მაქსიმიჩმა ზედ მიწევნით იცოდა მზარეულობის ხელობა: საკვირველად კარგა შესწყა ხოხობი. მარჯვეო მოასხა ზედ კიტრის წნილის წვენი, და მე უნდა მოგახსენოთ, რომ უიმისოდ ხმელი პურის სამარად უნდა დავრჩენილვიყავი. ერთმა ბოთლმა კახურმა დაგვაგიწყა მცირედი რიცხვი საჭმელებისა, რომელნიც გვქონდა მხოლოდ ერთ ნაირი, და გავიგეთეთ ჩიბუხები და მივსხედით: მე ფანჯარასთანა, და ის ანთებულ ბუხართან, ამისათვის რომ სესხიანი და ცივი დარი იყო. ვისხედით ჩუმათა რალაზე უნდა გველაპარაკნა? . . . იმან კიდეც მიამბო თავის თავზე სულ, რაც შესანიშნავი იყო, და მე არათერი მქონდა საღაპარაკო. მე ფანჯარაში ვიყურებოდი. მრავალი მდაბალი სახლები, გაფანტულები თერგის ნაპირზე, რომელიცა უეფრო განიერად და განიერად მორბის, მოსჩნდნენ ხეებს უკან, და იმათ იქით ლურჯად გაშოსჭვიოდნენ დაკბილული კედელივით მთები, იმათ იქით იმჭვრიტებოდა ყაზიბეგი თავისი თეთრი კარდინალის ქუდითა. მე ჩემს გუნებაში მათ ვეთხოვებოდი: დამნანდნენ მე ისინი . . . .

ისრე ვისხედით ჩვენ დიდხანს. მზე იმალებოდა ცივს მთების წვერს უკანა, და მოთეთრო ჯანი გაიშალა მინდვრებში, როდესაც

ქუჩაში დაიწკარუნა სამგზავრო ზარის ხმამ და იზვოშჩიკების ხმაურობა შემოგვესმა. რამდენიმე ბოგოზკა ტალახიანი სომხებით შემოვიდნენ სასტუმროს ეზოში, და მათ უკან შემოჭყვა ცარიელი სამგზავრო კალიასკა; მის მსუბუქ ტარებასა, მოხერხებულ გამართულობასა და კოხტა შეხედულობასა ჭქონდა რაღაც სხვა ქვეყნის ადბეჭდულობა. იმას უკან მოსდევდა დიდ ულვაშებიანი კაცი, ვენგერკით, კარგად ჩაცმული, მოსამსახურის არ შესათვერად; მის გვარიშვილობაზე ძნელად შესცდებოდი რომ გენახა, მისი ბრიყული მოძრაობა, რომლითაც ბერტყამდა ჩიბუხიდგან ნაცარსა და უჭყიოდა იამშჩიკებსა. ის ცხადად იყო გათამამებული მსახური ზარმაცის ბატონისა,—რაღაც რუსულ თვიგარეოსავითა.—მითხარი, საყვარელო, დაუძახე მე ოვანჯრიდგანა, რა ამბავია — აკაზია მოვიდა, თუ რა?—იმან შემომხედა მე კარგა შეუპოვრად, გაისწორა ულსახვევი და გაბრუნდა: იმის გვერდით მომავალმა სომეხმა ღიმილით, მიპასუხა იმის მაგიერად, რომ დიახ აკაზია მოვიდა და ხვალ დილაზე დაბრუნდება უკანაო.—«მადლობაა ღმერთსა!» სთქვა მაქსიმ მაქსიმიჩმა, ამ დროს ოვანჯარასთან მოსულმა. «ეს რა ჩინებული კალიასკა არის!» დაუმატა კვლავ იმან: «ალბათ ჩინოვნიკი მიდის ვინმე თოვლისში გამოსაძიებლად. სჩანს ჯერ არ იცის ჩვენი პატარა მთები! არა, ხუმრობ, საყვარელო: არ მოგეთვრებიან, დაგინჯლრევენ, თუ გინდ ანგლიურიც იყვეს! ეს ვინ უნდა იყვეს—ალბა წავიდეთ გავიგოთ.... გამოვედით ტალანში (კორრიდორში), ტალანის ბოლოში, გვერდის ოთახის კარები ღია იყო. მოსამსახურე და იამშჩიკი ზიდავდნენ იქა ჩემოდნებსა.

«გამიგონე, ძმობილო,» ჭკითხა იმას შტაბს-კაპიტანმა: «ვისია ეგ ჩინებული კალიასკა?... ჭა?... მშვენიერი კალიასკაა?...» მსახური მიბრუნებული ბურტყუნებდა რაღასაც თავის-თავად, და ხსნიდა ჩემოდანსა. მაქსიმ მაქსიმიჩი გაჯავრდა: შეახო ხელი მხარზე უზრდელსა და უთხრა: «მე შენ გეუბნები, საყვარელო...»

—ვისია კალიასკა?... ჩემი ბატონისა.

«ვინ არის შენი ბატონი?»

—ეჩორინი . . .

«რას ამბობ? რასა? ეჩორინი? . . . ახა, ღმერთო ჩემო! . . კავკასიაში ხომ არ უმსახურნია? . .» წამოიძახა მაქსიმ მაქსიმიჩმა, და წამომკრა ხელი სახელოზე. სიხარულისაგან თვალებიც უცინოდა.

—უმსახურნია, მგონია—მაგრამ არ არის დიდიხანი რაც მე იმასთანა ვარ.

«ამაშ ეგრეა! . . ეგრე! . . გრიგორი ალექსანდროვიჩი? . . ასრე ჭქვიან ხომ იმასა? . . მე და შენი ბატონი მეგობრები ვიყავით,» უთხრა იმან, მეგობრულად ხელის დაკვრით, ფაქიასა, ისრე, რომ შეარყია.

—მამითმინეთ, ბატონო; თქვენ მე მიშლით, უთხრა იმან ცხვირ-პირის მოსუფვით.

«ეჰ, ძმობილო! . : იცი შენა? მე და შენი ბატონი გულითადი მეგობრები ვიყავით, ერთად ვსცხოვრობდით . . . და სად არის თვითონ? . .»

მსახურმა გამოგვიცხადა, რომ ეჩორინი ვახშმად და მოსასვენებლად, პოლკოვნიკი ნ . . . დარჩა.

«ხომ არ ამოიგლის სალამოზე აქეთ?» უთხრა მაქსიმ მაქსიმიჩმა: «ან შენ საყვარელო, ხომ არ წახვალ რისთვისმე იმასთანა? . . თუ წახვიდე, უთხარი, რომა მაქსიმ მაქსიმიჩია აქა თქო; ესრე უთხარი . . . იმან იცის . . . ოთხიოდე აბაზს გაჩუქებ ოტკის ფულსა . . .»

მსახურმა შეკრცხებით მოიღიმა პირი, რო გაიგონა ისრეთი მცირე დაპირება, მაგრამ მაინც კი დაარწმუნა მაქსიმ მაქსიმიჩი, რომ აუსრულებდა დაბარებულსა.

—ეხლავ მოირბენს! . . მითხრა მე მაქსიმ მაქსიმიჩმა მხიარულის შეხედულობითა: წავალ გარეთ მოუცდი . . . ვსწუხვარ, რომ ვერ ვიცნობ ნ . . .

მაქსიმ მაქსიმიჩი გარეთ დაჯდა სკამზედა და მე შევედ ჩემს ოთახში. სწორეთ მოგახსენოთ, მეც როგორლაც მოუთმენლათ ვე-

ლოდი იმ ვეჩოორინისა; თუმცა, შტაბს-კაპიტანის ლაპარაკით მე ი-მაზე შევადგინე მისთვის უსარგებლო ჭაზრი, მაგრამ ზოგიერთი თვისება იმის ხასიათისა მეჩვენეს გონების გასადევნებელად. ერთს საათს შემდგომ ინვალიდმა მოიტანა ადუღებული სამოვარი და ჩა-ი დანი. «მაქსიმ მაქსიმიჩ, ჩაის არ მიირთმევთ?» გადაგძახე ოვნ-ჯრიდგანა.

—გმადლობთ; როგორღაც არ შინდა.

«ეი, მიირთვით! უეურეთ, ხომ დაგვიანდა, ცივა.»

—არა უჭირს რა; გმადლობთ . . .

«მაშ თქვენი ნებაა!» მე დაუწყე ჩაის სმა მარტო. ათს წამს შემდგომ შემოვიდა ჩემი ბერი კაცი. — თქვენ ხომ მართალი ბრძანეთ: ჩაის დალევა სჯობია მაინც, — მე სულ ველოდი. იმისი კაცი დიდიხანია იმასთან წავიდა, და სჩანს დაპრეკლება მიეცა რამე.

სიჩქარეზედ შეხვრიტა ერთი თვინჯანი, მეორესი უარი სთქვა ⁄ წავიდა ისევ გარეთ როგორღაც აღშფოთებული: ცხადი იყო, რო-მა ვეჩორინის დაუდევნელობამ გაამწარა ბერი კაცი, და მით მო-მატებულათა, რომა ამ ცოტას ხანში მიამბო მათი მეგობრობა ⁄ ერთის საათის წინად კიდევ ისრე დარწმუნებული იყო შტაბს-კა-პიტანი, რომ მაშინვე მოირბენდა ვეჩორინი, როცა კი გაიგებდა იმის სახელსა

კარგა გვიან იყო და ბნელოდა, როცა მე კიდევ გადავალე ოვსი-ჯანა და დაუწყე ძახილი მაქსიმ მაქსიმიჩსა, და უთხარი, რომა დრო-ა რის მეთქი ძილისა; ის ცხვირში რაღასაც ბუტბუტებდა, მე განუ-მეორე მოწვევა—იმან ვასუხი არ მოგცა.

მე გავეხვიე შინელში და დავსწექ დივანზე, და მთელი ღამე ტკბილად მეძინებოდა, თუ, ძალიან გვიან, მაქსიმ მაქსიმიჩი არ შე-მოსულიყო და არ გავეღვიძებინე. იმან დაგდო ჩიბუხი სტოლზე, დაიწყო ოთახში სიარული, ბუხარში ჩხიკინი, ბოლოს დაწვა, მაგ-რამ დიდხანს ახვეულებდა, ათვალთხებდა, ტრიალობდა . . .

—ბალღინჯები ხომ არა გკბენენ? ვკითხე მე.

«დიალ, ბაღლინჯოები . . .» მიპასუხა იმანა, მძიმე ოხვრითა.

მეორე დღეს დიდით ადრე გამოშელვიძა; მაგრამ მაქსიმ მაქსიმიჩმა წამომასწრო, მე ვნახე ისა გარეთ სკამზე მჯდომარე. «ე ვოშმესდანტოან უნდა წავიდე,» მითხრა მე: «და თუ ღმერთი გწამს, პეჩორინი თუ მოვიდეს ჩემთან გამოგზავნეთ ვინმე.

მე დავპირდი. ის გაიქცა, თითქო იმის ასოებს ხელ-ახლად ყმაწვილური ჯანი და სიმარჯვე მიეცათო.

დილა იყო გრილი და მშვენიერი. ოქროს თვერი ღრუბლები ახურჩლულიყვნენ მთებზე, თითქო მეორე რიგია ჭაერის მთებისა; კარებ წინ იყო გაშლილი განიერი მეიდანი; იმას იქით ბაზარი დუღდა ხალხითა, ამისათვის რომ იყო კვირა: თეხიშველა ოსის ბიჭებს ეკიდათ ზურგზე გუდები უცეცხლო თავთლითა, და დამტრიალებდნენ თავსა; მე ვსწყვეტლიდი იმათა: საიმათოთ არ მეცალა,—კეთილი შტაბს-კაპიტანის მწუ'არება მეც მეწილადა.

არ გაიარა ათმა წამმა, რომა მეიდნის ბოლოში გამოჩნდა ისა, ვისაც ველოდით. ის მოსდევდა ბოლოვნაგს ნ . . ., რომელმაცა მოიყვანა სასტუმროშდისინ, გამოეთხოვა და ცოხისაკენ გაბრუნდა. მე მაშინვე გავგზავნე ინვალიდი მაქსიმ მაქსიმიჩთანა.

პეჩორინს გაეგება მსახური, და მოახსენა, რომ ემ საათში ცხენებს შეაბმენო; მიართკა ყუთი სიგარებითა, მოისმინა რამდენიმე ბრძანება და წავიდა საცოდვილოდ. იმისმა ბატონმა მოუკიდა სიგარასა, ორიოდეულ დაამთქნარა და დაჯდა სკამზე კარების მეორე გვერდზე. ახლა მე უნდა დაგიხატოთ იმისი სურათი.

ის იყო საშუალო ტანისა, ტანადი, მისი წვრილი ტანი და განიერი ბეჭები ამტკიცებდნენ მაგარ აგებულებასა, ოთველის მოგზაურობისა და ჭაერის ცვლილების სიძნელის ატანის ნიჭიერებასა, დაუმარცხებელსა დედა-ქალაქის გარეკნილი ცხოვრებისაგან და არცა სულის ვნებათა აღშფოთებისაგან; მტვრიანი პატარა ხაკერდის სერთუკი მისი, შეკრული მხოლოდ ქვემო ორი ღილითა, მაძლევდა განხილვის შეძლებასა მისი სუფთა სპეტაკი საცვალისასა, რომელიცა ამხილებს რიგიანი კაცის ჩვეულობასა; მისს ჯუჯეიან ხელთათ-

მანებს ეტყობოდათ თითქო სავანცებოთ იყვნენ შეკერილნი იმის ვატარა დიდვაცურ ხელზე. და როდესაც გაიხადა ერთი ხელთთათმანი, მე გავაგვირვა იმის ფერ-მკრთალი თითების გაძსდრობამ. მისი სიარული იყო დაუდეგარი და ზარმაცული, მაგრამ მე შევნიშნე ხელებს არ აქნევდა სიარულში,—ნაშდვილი ნიშანი ტოტალური დათვრეული ხასიათისა. მაგრამ ეს ჩემი საკუთარი შენიშნულია, დათუმენილი ჩემსავე გაშინჯვაზედა, და მე სრულიადაც არა მსურს თქვენ ამაზე განუსჯელად დაგარწმუნოთ. როცა ის დაეშვა სკამზე, მაშინ იმისი სწორე ტანი მოიკაკვა, თითქო წელში არა ჰქონდა არც ერთი ძვალი; მთელი ტანის მდებარეობამ გამოხატა რაღაც ძარღვების სისუსტე; ის იჯდა ისრე. როგორც ზის ხოლმე ბალზაკის ქალი, ოცდა ათის წლის კეკლუცი, თავის უუთუკის კრესლაზე მოღალული წვეულების შემდგომ. ბერკელის შეხედულობით ოც და სამის წლის მეტისა არ მეგონა, თუმცა შემდგომ ოც და ათისაც მეჩვენა. იმის ღიმილში იყო რაღაც ყმაწვილური. იმის ბერის კანს ჰქონდა რაღაც ქალური სინაზე; ჭერა, ბუნებით ხუჭუჭი თმისაგან, ისრე ცხოველად ჰქონდა შემოხაზული, ფერ მკრთალი, კეთილშობილური შუბლი, რომელზედაც მხოლოდ დიდხანს დაკვირვებით, შეიძლებოდა შემჩნევა შეკვეცილის კვალისა, გადახლართულისა ერთმანეთში, და რომელნიცა ვეჭოფ უფრო ცხადად გამოჩნდებოდნენ ყამსა განწყრომისასა ანუ გულის აღშფოთებისასა. თუმცა თმა ჰქონდა ქერა, მაგრამ მისი ულვაშები და წარბები იყვნენ შავი—ნიშანი ჯიშისა კაცში, ისრე, როგორათაც შავი ძუა-თვალები თეთრ ცხენსა. სურათის დასასრულებლად, მე მოგახსენებთ, რომა იმას ჰქონდა ოდნავ აბზეკილი ცხვირი, კბილები თეთრ სპეტაკი და გრემა თვალები; თვალებზე მე უდა გსთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა.

ბერკელი ესა რომა, ისინი არ იცინოდნენ, როცა თვითონ ბატონი იცინოდა!—თქვენ არ შეგმთხვევიათ რომ შეგენიშნოთ ამისთანა გასასტვერლობა ზოგიერთის კაცში? . . ეს არის ნიშანი ან ბოროტის ზნისა, ანუ ღრმა, სამარადისო მწუხარებისა. ნა-

F 10796
К 37656
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტკბილად ჩამოშეებული წამწამ ქვეშედგან ისინი ანათებდნენ რაღაც სხვანაირის კაშკაშით, თუ შეიძლება ესრედ ვსთქვათ: ის არ იყო სულის სიცოცხის ოტება, ანუ გონების ძნობისა: ის იყო სხივი, გაფენილი ფოლადისა მგზავსი, დამბრმავებელი, მაგრამ ცივი; შეხედვა მისი მაშრეფელი, მაგრამ გამსჭვირვალე და ძლიმე: დანერგვიდა თვის შემდგომ უსიამოვნო ჟაზრსა უზომიერად მქცევისასა, და შეიძლებოდა სჩვენებოდა უმართებულოდ, თუ რომ ერა ყოფილიყო ესოდენ გულ-გრილად ძშვიდი. ფოველი ესე ჩემგან შენიშნული იქნება, მომივიდა ჯკუაში მხოლოდ მისთვის, რომა მე ვიცოდი ზოგიერი მისი ცხოვრება დაწვრილებით, და იქნება, სხვას სრულიად სხვანაირად ჩარჩენოდა გუნებაში მისი შეხედულობა; მაგრამ რადგანაც თქვენ ამაზე ვერ გაიგონებთ სხვისაგან ვერაფერს, ჩემს გარდა, ამისთვის ნებით თუ უნებურად, უნდა გმაყოფილ იყვნეთ ამ გამოხატვისა. მოგახსენებთ ამის დასასრულებლად, რომა ის იყო ერთობით სანდომიანი შეხედულობისა, და ჭქონდა იმა ნამდვილ ბირის სახის ნაკვთიერებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მოსწონთ ქალებსა,

ცხენებიც შებმულები იყვნეს; ზარი ხანდახან წკრიალებდა რკალ ჭკეშ, და მსახური ოდეღაც მიგიდა ბეჩოვრინთან მოსახსენებლად, რომ სუფოკელისფერი მზით არისო, და მაქსიმ მაქსიმიჩი ჯერ არ-სად სჩანდა. მის ბედზე, ბეჩოვრინი იყო ჩაფიქრებული, კაკვკასის ცისფერ ლრჭილების ყურებაში, და მგონია სულაც არ ეშურებოდა მგზავრობა: მე მიგედი იმასთანა: «თუ ინებებთ ცოტას ხანს შეცდასა,» უთხარი მე «მაშინ გექმნებათ სიამოვნება ძველი მეგობრის ნახვისა . . .

—ოჰ! მართლა! მსწრაფად მიპასუხა იმანა: მე გუშინ მითხრეს და სად არის ისა? — მე კამოვბრუნდი მეიდნისაკენ და დავინახე მაქსიმ მაქსიმიჩი, რომ მორბოდა რაც შეეძლო . . . ერთს წამზე მოიჭრა კიდეც ჩვენთანა; ძლივს სუნთქამდა, ოფლი გადმოსდიოდა ცხვირპირზე წყაროსავითა; აბურძგვნილი ჭალარა თმა ქუდ გარეთ გამოყოფილი, შუბლზე ჭქონდა დაკრული, მუხლები უკანკა-

ლებდნენ . . . იმას უნდოდა ვეჩოტრინს მოხვეოდა კისერზე, მაგრამ იმან საკმაო ტივად, თუმცა ალერსიანის ღიმილით გაუშვირა ხელი, შტაბს-კაპიტანი ერთს წამს გასტერდა, მაგრამ, შემდგომ ხარბად წაავლო ხელზე ორივე ხელი: ჯერ კიდევ არ შეეძლო ლაპარაკი.

—რა ნაირად მესიამოვნა, ძვირფასო მაქსიმ მაქსიმიჩ! აბა, რასა იქმთ? უთხრა ვეჩოტრინმა.

«. . . შენ? . . თქვენ! . . » წაიბურტყუნა ცრემლით ბერი კაცმა . . . «რამდენი წელიწადია . . .რამდენი დღეა . . . და ეს სად?..»

—მივალ სპარსეთში—და იმის იქითაცა . . .

«განა ეხლავ? . . მოითმინეთ, შენი ჭირიმე! . . განა ეხლავ უნდა განგშორდეთ ერთმანეთსა? . . ამდენი ხანი ალარ შეეხვედრი-ვართ . . . »

—დრო არის, მაქსიმ მაქსიმიჩ,—უპასუხა.

«ახა ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! განა სად მიეშურებით ეგრე? . . რამდენი რამ მინდოდა მეთქვა თქვენთვისა . . . იმდენი მეკითხნა . . . მაშ რა? სამსახურიდგან გამოხვალ? . . როგორ? . . , რას აკეთებდით? . . »

—ულხენოდ ვიყავი! მიუგო ვეჩოტრინმა ღიმილით . . .

«გახსოვთ ჩვეი ყოფა ცხოვრება ციხეში? . . ჩინებული ქეიფანაა ნადირობისაოვის! . . თქვენ ხომ საშინლად გიყვარდათ თოფის სროლა . . . ბელა? . .

ვეჩოტრინს ოდნავ თვერმა გადაჭკრა და იქით მიბრუნდა . . .

—ჭო, მახსოვს! სთქვა იმან, თითქმის ძალათ დამთქნარებით

მაქსიმ მაქსიმიჩი ეხვეწებოდა, რომ დარჩენილიყო იმასთან ორიოდ საათი. «ჩვენ კარგად სადილი ვჭამოთ,» ეუბნებოდა შტაბს-კაპიტანი: « მე მაქვს ორი ხოხობი; კახური აქ ჩინებული . . . რასაკვირველია, იმისთანა კი არა როგორც საქართველოში, მაგრამ თავი ლვინისაა . . . ჩვენ მოგილაპარაკებთ . . . თქვენ თქვენს პეტერბურგში ცხოვრების ამბავს მიამბობთ . . . ჭა? . .»

—სწორეთ გითხრა, მე მოსალაპარაკებელი არა მაქვს რა, ძვირ-

თვსო მაქსიმ მაქსიმიჩ . . . სხვებრ, მშვიდობით! დრო არის . . . მეჩქარება . . . გმადლობ, რომ არ დაგვიწყებივარ . . . უთხრა კიდევ, და ხელი ჩამოართვა.

ბერიკაცმა წარბები მოიწუოხა . . . ის მწუხარე და გაჯავრებული იყო, თუმცა ცდილობდა ამის დათვრგვასა. «დავიგიწყო!» წაიბუტბუტა: «მე კი არათერი დამიწყებია . . . მაგრამ, ღმერთმა მშვიდობა მოქცეს! . . ასრე არ შეგონა ჩვენი შეხვედრა . . .

—ოჰ, კარგია, კარგი! უთხრა პეჩორინმა და მოეხვია მეგობრულად: განა მე ისრევ ის არა ვარ? . . რა ვქმნა? . . ყველას თავისი გზა აქვს . . . შევხვდებით და ოდესმე კიდევ ერთმანეთსა — ღმერთმა იცის! . . ამას რო ამბობდა, მაშინ კალიასკაში იჯდა კიდეცა. და იამშჩიკი იკრეთვამდა კიდეც ალკირების ტოტებს ხელში.

«მოიცა, მოიცა! უცეთ დაუძახა მაქსიმ მაქსიმიჩმა, და წაავლო ხელი კალიასკის კარებსა: «კინალამ სულ დამავიწყდა . . . ჩემთან დარჩა თქვენი ქალალდები გრიგორი ალექსანდროვიჩ . . . მე ამათ თან დავათრევ . . . მეგონა საქართველოში გიბოვნიდი, და აი ღმერთმა სად შეგვახვედრა . . . რა უყო მე იმ ქალალდებსა? . .

—რაც გინდოდესთ! მიუგო პეჩორინმა. მშვიდობით . . .

«მაშ თქვენ სპარსეთისაკენ გასწიეთ? . . როდისლა დაბრუნდებით? . . » უკვირდა მაქსიმ მაქსიმიჩი . . .

კალიასკა იყო შორა; მაგრამ პეჩორინმა ანიშნა ხელით, რომელიც შეიძლებოდა გადმოთარგმნილიყო ამ გვარად: ძნელად ლა! და ან კი რილასთვის! . .

დიდი ხანია ალარ ისმოდა არც ზარის წკარა-წკური. არც თოფების გრიალი კაჟიან გზაზე,—მაგრამ საწყალი ბერიკაცი იდგა ისრევ იმ ადგილასა ღრმად ჩათვიქრებული.

«დიახ,» სთქვა ბოლოს იმანა, გულ-გრილი შეხედულობის მიღების მოწადინებით, თუმცა ცრემლი მწუხარეებისა ხანდახან ბრწყინავდა მისს წამწამებზე: რასაკვირველია, ჩვენ ვიყავით მეგობრები, — მაგრამ, ანკი რა არის მეგობარი ამ საუკუნეში! . . იმას რა ეგულება ჩემში? მდიდარი არა ვარ, არც დიდი ჩინის მექონი, და

ხნითაც სრულიად იმისი ტოლი არა ვარ . . . უეუერე რა ნაირად გაგოხტაებულა. მეორეთ პეტერბურგში ყოფნით . . . რა ნაირი გალიასკაა ! . . რამდენი ნიგთი ! . . აქვს . . .

და მსახურიც იმისთანა ამპარტავანი ! . .» ეს სიტყვები იყვნენ გამოთქმული გამგიცხველი ღიმილით, «მითხარით» სთქვა კიდევ და მოგმიბრუნდა მე, «აბა, ამაზე რასა თვიქრობთ ? . . აბა, რა ეშმაკი მიათრევს იმას ახლა სპარსეთში ! . . სასაცილოა ღმერთმანი, სასაცილო ! . . მე კი ყოველთვის ის ვიცოდი, რომ ქარავთეშუტა კაცი იყო ეგა, რომელის იმედიც არ უნდა გქონდეს . . . და სწორეთ ვსწუხვარ, რომ ცუდად გაათავებს თავის ყოფა ცხოვრებას... რა არც შეიძლება უიმისოთა ! . . მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ის კაცი უგულის-ხმოა ვინც ძველ მეგობრებს დავიწყებს ! . .» აქ მაქსიმ მაქსიმიჩი გაბრუნდა, თავის ალშთოთების დასათვრგელად, და დაიწყო ეზოში სიარული თავის პავოზგებთან, თითქო თვლებს უშინჯავდა, მაშინ როდესაც ყოველს წამს თვალები ცრემლით ევსებოდა.

მაქსის მაქსიმიჩ, უთხარი მე, ახლოს მისულმა, ის რა ქალალდები დაუტოვებია თქვენთვის პეჩორინსა ?

«ღმერთმა იცის ! რალაც წერილებია . . .»

—რას უზამთ თქვენ იმათა ?

«რასა ? თოთვის წამალსა და ტყვიას გავახვევინებ შიგა.»

—სჯობს, რომ მე მოგცეთ.

შემოგხედა მე გაკვირვებით, ცხვირ წინ წაიბუტბუტა რალაცა ! დაუწყო ქექა ჩემადანსა; აი ისინი, ამოიღო ერთი რვეული და გადმოაგდო შეურცხებით მიწაზე; შემდგომ შეორეც, მესამეც და მეოთეც მიეცენ ამ განსაცდელსა: იმის წყენაში იყო რალაც ემაწვილური; მე სასაცილოდ მეჩვენა და შევსწუხდი . . .

—აი ისინი სულ, მითხრა იმანა: მოგიოლოცამს, კაი საშოვარია ! . .

«მე შემიძლიან როგორც მინდა ისრე მოვიხმარო ?»

—თუ გინთ გაზეთებში დაბეჭდინეთ მე რა მენადვლება ! . .

მითამ მე რა?, მე განა მეგობარი ვარ იმისი, თუ ნაოესავი?.. მართალია, ჩვენ დიდხანს ერთ ჯერ ქვეშა ვცხოვრობდით . . . მაგრამ რა უყოთ, განა სხვებთან კი არ მიცხოვრია? . .

მე მაშინვე წამოვგრიეე ქაღალდები და საჩქაროთ წავიდე, შიშით, რომ შტაბს-კაპიტანმა არ ინახოს მეთქი. მაღე მოვიდნენ ჩ გამოგვიცხადეს, რომ ერთს საათს უკან აკაზია დაიძვრისო: მე უბრძანე ცხენების შებმა. შტაბს-კაპიტანი შამოვიდა ოთახში იმ დროს, როცა მე ქუდს ვიხურამდი; იმას ეტყობოდა, რომ არ ემზადებოდა წასასვლელად; რაღაც ნაირი ძალ-დატანებული, ცივი შეხედულობა ჰქონდა.

—«თქვენ, მაქსიმ მაქსიმიჩ, განა არ მოდიხართ?»

—არა.

«ეგ რატომ?»

—მე ჯერ კომენდანტი არ მინახავს, და უნდა ჩავაბარო ზოგიერთი სახელმწიფო აქეჯები . . .

«აკი იუკვით იმასთანა?»

—ვიუკვი, რასაკვირველია, მითხრა ენის ბორძიკით: მაგრამ

არ დამიხვდა . . . და მე ვეღარ მოუცადე.

მე მივხვდი: საწყალ ბერიკაცს, იქმნება პირველად თავის სიცოცხლეში, დაუნებებია თავი სამსახურის საქმეებისათვის, თავის საკუთარ საქმის გამო, (რომ ვსთქვათ მწიგნობრულის ენით).—და რა ნაირად იყო დაჯილდოვებულ!

—ძალიან საწუხრათა მაქვს, უთხარი მე იმასა, ძალიან საწუხრათა მაქვს, რომ დროებით ჩვენ ერთმანეთს უნდა განვშორდეთ.

«სად უნდა გდიოთ ჩვენა, გაუნათლებელმა ბერიკაცებმა! . . თქვენ გამოჩენილი ყმაწვილი ხალხი ხართ, ამპარტავნები; თქვენ ვიდრე ჩერქეზის ნასროლ ტყვიას უდგეხართ წინა, ხომ კიდევ-ჭო... და შემდგომ შეგვხვდებით, და გრცხვენიათ, რომ ხელი გაუშვირთ ჩვენისთანა კაცსა.

—მე მაგ წყრომის ღირსი არა ვარ, მაქსიმ მაქსიმიჩ.

«მე, მოგეხსენებათ, ისრე, სიტყვაზე მოგახსენებ; და სხვებრ,

მსურს თქვენთვის ყოველი ბედნიერება და მხიარული მგზავრობა.»

ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს ძალიან გულ-გრილად. კეთილი მაქსიმ მაქსიმიჩი შეიქმნა ახირებულ, მეშფოთარ შტაბს-კაპიტანთა! რისაგან? იმისაგან, რომა ბეჩორინმა გულ-მაგიწყრობით, თუ სხვისა რაისამე მიზეზით, ჩამოართვა ხელი მაშინ, როდესაც იმას უნდოდა ყელზე მოხვევნა! სამწუხარო სანახავია, როდესაც ემაწვილი კაცი დაჭკარგამს თავისს უკეთეს იმედსა და ოცნებასა, როდესაც მის წინ გადიშლება ვარდის ფერი მარმაშა, რომელშიაც უეურებდა საქმესა და გრძნობას კაცისასა, თუმცა არის იმედი, რომ ის შეიცვლის ძველს შეცთომილებას ახლით, უფრო გამლელით, მაგრამ უფრო უტკბოესით . . . მაქსიმ მაქსიმიჩის ხანში კი ძნელია ამისთანა შეცვლა? ნებით თუ უნებურად გული დაჭკნება და სული დაეხურება . . .

მე წავედი მარტო.

მ. ყიფიანი.

მცირედი რაჲ მოთხრობა როსიისა (*)

შესავალი წიგნისა ამისს, რომელიცა არს მცირეული რაიმე მოთ-
ხრობა როსიისა.

აღვაღო ბაგენი ჩემნი ხელითურთ.
და დასტკბე მე ყოველითურთ.

განცხადება მნებავს უკვე, ძმანო და უსაყვარლესნო მეგობარ-
ნო და უმოწყალე|ნო ხელმწიფენო ჩემნო, სურვადისა აზრისა ა-
მის ჩემისა და ამბავთა ამათ კეთილთანი, ვითარცა იტყვის ბრძე-
ნი სოლომონ: ამბავნი კეთილნი მხიარულ ჰყოფენ გულთა კაც-
თასაო. ვინადგან უსახმარესს ჩემდა იყო მხიარულ ჰყოფა სასტი-
კად სევდისაგან ვნებულისა გულისა ჩემისადმი, და ვსასოებდიცა რა-
თა მხიარულ ვიქმნე აღწერითა ;ამით, ვითარცა წარსწერენ თვალ-
სოფოსნი: სასოება არს ყოფადი სიხარულისაო. ხოლო მიზეზსა
ამას მხიარულ ჰყოფისასა და გამდევნელისა სევდისასა შეუდგე ჯ
ვაქოგზაურენ ამბავნი ესე განსაღვიძებელად გონებისა ჩემისა.

აჰა განვამრჩობლებ მოხსენებასა ჩემსა ყოვლითურთ, რათა გა-
ნისვენოს აზრმან მაღალ კეთილ გონებისა თქვენისამან, თუ რაი
არს მაშვრალობა ესე ჩემი, ანუ ვისთვის და ანუ რაისათვისს.
უუმოწყალესნო ხელმწიფენო ჩემნო, არს უკვე ჩემდა ფრიადი და
მოუთმენელი მწუხარება მოშორებისათვის თქვენისა, არს ჩემთვის
ცეცხლი შემწველი გონებისა ჩემისა მოგონება თქვენი, უაზნაურეს-
ნო ბუნებანო საქართველოისანო, და არს გულისა ჩემისადმი ულ-
ღესილესი მახვილი ორკერძოდვე მჭრელი და სისტიკად მღვრე-

(*) ეს წერილი ეკუთვნის თ. გაბ. რატიშვილს, რომელიც ჩვენ მეფის შვი-
ლებს თანა ხლებია, როცა ისინი გადუსახლებიათ რუსეთში. რაც უნახავს ტფი-
ლისიდამ პეტერბურგამდე, რაც გადახვედია ყველაფერს გვიამბობს, — და ის ნაამ-
ბობი უინტერესო არ არი.

ლი სისხლისა ჩემისა, ოდესცა მესახვიან და ანუ მეხატვიან ტკბილ სასაუბროდ შემკულნი ბაგენი თქვენი. ვისთვისმე იყო ესე ვითარი ქარი შემაბინდებელი გონებისა, ვისდამი გვიტაცებდა მიდრეკედ უბედურებისა ნავთ საუუდელად. ვისდამი მოგვიეკანა ჩვენ მწუხარებისა სახლად და სევდისა სადგურად.—განკვირვებულმან გონებით ვიხილენ უკანონოდ ბერვა ქარისა ამის მოძზიდველისა ჩვენისა, რამეთუ არა ჯერ იყო მისდა დაბერკად ალმოსავლეთით ჩრდილოეთად, გარნა ჩარხნი ბედნიერებისანი უკმოაბრუნდებოდა პირსა ზედა უბედურებისასა და მასცა ეს! ევითარად ამოქმედებდა ძალითად. რაისათვის გვექმნა ესე რამეთუ ბედნიერება ჩვენი ყოველივე უბედურად შეგვეცვალა ჩვენ და ვიქმნენით მომწყდარნი სამყოფთაგან ჩვენთა და მოშორებულ მშობელთა და საყვარელთა ჩვენთა ყოველთა? აწ რაისათვის ვინმე შემრცხდეს მე ბედნიერად მოსვლისათვის უცხოთა ამათ ჭეყანათა შინა, და არა სრულად უბედურად? რაისათვის ვინმე იტყოდეს მხიარულებასა ჩემსა და არა თერიალსა მწუხარებასა და სევდასა შინა ყოფასა, რამეთუ რა მოვიწია აქა ევრეპიად, ყოველითა მით მწუხარებითა ალვიესე, და ვექმენ სადგურ ნისლსა მას სევდისასა და იგი მეუფლა მე ყოველითურთ.

ბინდი დამწყლულებელი გონებისა გარე მოიდვა მან ზღუდედ და თვით გაამზნაურებულმან გარე შემიცვა მე ჯ არღარა მცა მე ადგილი შვებისა, არამედ მწუხარებისა. არცა ლა ესე იკმარა მან, არამედ შეშჩადა სახლი ოთახნი სევდისანი და დახშო ოთახითა მით კრეტსაბმელითა და დამიტევა მე მას შინა მკვნესარე და სალმობიერი და ნაცვლად ნუგეშისა ცრემლოვანი. განვიხილე რა თავი ჩემი ესრეთ ვნებული და ყოველით კერძო დაწყლულებული, მაშინ ალმოკვნესით წარმოვსთქვი: ჰო ცხოვრებაო ჩემო დამწარებულო! სადა იშოები შვებისა სასაცლოდ აქა მწუხარებასა შინა? . .

რაჟამს განვითერთხე სევდა იგი, და გამოველ სახლისაგან სევდისა ძალითად გამოხვებული, მაშინ დაწყნარებულმან გონებითა ვარქვი ესრეთ თავსა ჩემსა: ხედავ გონებასა შენსა ესრეთსა მწუხა-

რებასა შინა? აღდეგ, ისწრაფე და განიფრთხე და თუ რაიმე უწყოდე წყლულთა ამათ შენთა საღებული ნუ ჭეოვნი. მაშინ საღმოაბიერმან მოამიგო: მოუკასო ჩემო, მე მცირედი რაიმე საღებული გამოგირჩიო შენ და აწ გრქვა შენ უკეთუ ისმინო ჩემი. მოიღე შენ ქარტა და დაწერე მას ზედა ამბავნი წინად წყებულნი, რომელიცა გვიხილავს და ანუ გვსმენიესვე, მისათხრობელად უძვირფასესთა და უსატრფიესთა ძმათა და მეგობართა ჩვენთადმი, რათა მათცა სცნან მიზეზითა ჩვენითა ესე ყოველივე, და მოსაგონებელ მათდა ვიქმნეთ საუკუნოდ. აჭა ესე იქმნების ჩვენდა სიამე ბირველი, და მეორედ რომელ განვიფრთხობთ სევდასა ამას მოუთმენელსა.

იკანგღედების მოთხრობა ესე ჩემ მიერ, რომელსა შინა მაქვს მე ფრიადნი ღვაწლ დებულებანი. ნუ ვინ გონებდეთ უკეთუ სხვათა ვითთამე შეწევნითა, ანუ სხვათა მოქენეობითა და ანუ ბრძოლისა შეზავებითა, და ანუ სხვათა მიერ წარმოთქმითა დამეთხზა წიგნი ესე ნუ იყოფინ, არამედ თავით ჩემით და გონებით ჩემით, რომელი მგზავსად ნაკადისა ეშოუკებოდა კალამსა, და მხიარულებდა მოთხრობისათვის თქვენისა. ჰე კვალად განვამტკიცებ გულთა უფრო ამისსა, რათა სცნათ სიყვარული ჩემი თქვენდამი დადებული, რომელიცა იხილვების აწ ცხადად, ვითარმედ როდენნი ვიხილენ მოსვლითა ჩემითა აქა როსიასა შინა და ანუ ვისმინე ყოველივე ალვსწერე მოსახსენებელად და საამბობელად თქვენდა, არა სხვისა შეწევნისა მოქენემან, არამედ თვით თავით ჩემით მწყარობელმან სიტყვისა ამისმან. რაოდენსაცა განმაბრძნობდა მე უწიგნოდ განმაბრძნობელი გონება ჩემი, არა დავზოგე დაშრომად თავი ჩემი, რათა საამებელ თქვენდა ყოფილიყო რაიმე ჩემმიერ ნამუშაკევნი მცირედნი ესე ამბავნი.

ილმენით გულით სევდის წყლულით, ინებეთ ჩემთვის მოხსენებანი, რამეთუ მცირესა ამას მოთხრობასა მგზავსად არმალანი. სა მოგიძღვანებთ თქვენ, ყოველად მოწყალეთა ხელმწიფეთა ჩემთა, ალმოამკითხველთა ისტორიისა და ლექსისა ამისთა. გარნა არა ჯერ იყო ჩემდა ესე ვითარნი კადნიერებანი და ჩხაბანი ისტო-

რითა და ლექსთა ამათ მცირეთანი. არამედ სიყვარულისა ცეცხლმა აწ არა მიტევა მე ცუდ მაშვრალობად, რომელი აღეტყინებოდა სასტიკად გულსა შინა ჩემსა ხსენებანი თქვენნი, და უზომონი სიყვარულნი. ვინაიდგან ვიყავ მე მწირ ქვეყანასა ამას შინა რუსეთისა, და მებრძოდა მე სიყვარული თქვენნი; დამატებობელად უალრესს სიყვარულისა მოვიგონენ ესე მოართმად თქვენდა.

ხოლო აწ ვითხოვ ყოველთა მიერ რათა ჩემ უმდაბლესისა მომართ მარად ჰყოთ ხსენება კეთილ მსიტყველი, სიყვარულისა ამის წილ, რომელმან ვიგულისმოდგინენ და ვიმუშაკენ ამბავნი ესე. ყოველად უმდაბლესმან და უერთგულესმან მონამან კნიაზ გაბრიელ ბენიამენიძემ რატიშვილმა.

შაირი.

ღმერთო რომელსა გაქებენ, უსხეულო და სხეულნი,
გიღაღადებენ ანგელოზთ დასნი არ სიტყვა რეულნი,
გმოანებენ მოძრავ უძრავნი, სულით მკვდარ ქმნილნი გრძნეულნი.
ჯ გიძრწიან ქარნი ღრუბელნი, ღამე და დღენი თეულნი.
შენ გაქებს მარად ყოველი პირები, ღირსნი, წმინდანი, კვალად ხშირები,
მომხედე საწყალად ვარ ნატირები სოფლის სიმუხთლით ვითვიგმირები,
აჭა ვიჩივლო ჩემნი ჭირები, გულს ვით დამასო ისრის პირები,
ჯ არა იწამა სჯული თვირები, რად მწყალავს არ უწყი ვარ ნაკვირვები.

ცუდად ჯდომას ვამჯობინე მცირედისა ამბავთ თქმავ,
სევდით პურობილს არა მაქვნდა, სუნელთ სუნთა მარად კმევ,
მოშორებულს სამყოფთაგან, გვაქვნდა უხვად ცრემლთა თრქვევ,
ჯ ვიდრე სიკვდილ მიწურვილთა სხვა დაგვერთო სამსალთ ხმევ.

ტაები.

ვერ ვიქმნები თქვენად მჯვრეტად. ამად მქმნია ცნობა რეტად.
ოდესცა მოენება მათსა დიდებულებასა. იმპერატორსა პავლე პირველსა

ვეტრესშესა და თვით მეფეროზელსა ყოველსა რუსიისასა და სხვათა, და სხვათა, და სხვათასა. ხლება და ხიდვა საქართველოს მეფის მეათცამეტის გიორგის ძეთა, იოანესი, ბაგრატისა და მიხაილისა, ებრძანა კარლი ფედრიაჩისა კრონიდის ისპეხტორისათვის ვითარმედ მსურს ხიდვა მეფისა ძეთა, აწ მიუწერე მათ რათა მოვიდნენ ბაღატსა საშეუფოსა ჩვენსა და ვიხილო იგინი. რა მიიღო ბრძანება ესე ისპეხტორსა, მასვე ჟამსა წარმოეგლინა გუერიელი და გამოეცხადებინა ბძანება ესე ხელმწიფისა მეფეთ ძეთათვის. მოვიდა გუერიელი იგი, მოსცა მათ წიგნი და გამოუცხადა ბრძანება. რა ესმათ მათ ბრძანება ესე ხელმწიფისა, თუცა შეუძლებელ იყო მათგან მარა ბრძანებისა მორჩილთა იწყეს მზადება ოთხსა კვირასა და, რა სრულ იქმნენ მომზადებისაგან, თვესა მარტსა შვიდსა, ჯდესა ანდრიანობისასა ქორონიკონსა უ ბ თ, ბრძანა მეფისა ძემან და გუერიელმა იოანემ ცხენთა მოუკვანება. ადგა ზე შემოირტყა წელთა თარაღანი, გამოესალმა საყვარელთა თვისთა, ძმათა, დათა და ნათესავთა და სხვათაცა მუნ მყოფთა ხალხთა, რომელნიცა მას დღე შეკრებილ იყვნენ წარსვლასა მისსა.

ზ ა ხ ნ ი ს ა უ ლ ი.

რაჰ მეფისა სძალმა, გულ ბრალდ ფიქალმა, სცნა ესე ყოველნი,
მას ელდა ეცა,
უჭვრეტდა მასა, არა თუ სხვასა, იტყოდა ეჭვრეტი აქვე დაეცა,
გოცნიდა ხელთა, მას თვისსა მკვლელთა, ევედრებოდა მიახელ
მეცა,
ჰ თან წარგყვები, აქ ვერ დაგდგები, ვისი მარად მკლავს სურვი-
ლი მეცა.

რაი ვიკადრო აწ მოხსენებად დღე იგი მწუხარებისა მისისა, და მე ესრეთ ვგონებ მგზავს იყო განყოფასა სულისა და ხორცისასა, ჰ მტირალმა აკოცა მარჯვენასა ხელსა მისსა და გამოესალმა. მაშინ მოვიდნენ შინა ყმანიცა და ეთაყვანენ ხელთა და მუხლთა. გამოვიდა გარე, შეჯდა ცხენსა ზედ და წარმოვედით. მაშინ თანა მეფ-

ლნი მეფის ძის იოანესნი ესენი ვიყვნით: მდივანი და ანტერეულეისა ბოლოვნიკი იოანე ქობულოვი, ფაალის შვილი ფაფა ენდრონიკოვი, ნიკოლოზ ონიკოვი და მე გაბრიელ რატიევ მეფის ძისა ანტუტენტი ოთხის ჩვენისა მოხითა და სხვანიც ხუთნი მსახურნი მეფის ძისანი.

ტ ა ვ ი.

დავაგდეთ ჩვენი ანენი, გვხდა დღენი გასამწარენი.

ამა მცირედ დარჩომილთა ბატონ-ყმათა ვლეთ ტფილისით და მას ლამე მიგვედით მცხეთას. განვისვენეთ ლამე მუნ და მეორესა დილასა ადგეგით, შევედით წმინდასა მას ეკეკლესიასა, სადა არს მუნ კვართი მირონ ალმომცენი, მოვიღოცეთ წმინდანი იგი ადგილნი და ალტარეულნი მადლითა მისითა შევსხედით ცხენთა ზედა და წარვედით. ხოლო აქაკე მცხეთისა მახლობელ მყოფთა მას ყმასა საქართველოსა მეშვიდრე და მისისა დიდებულებისა ღერანაალ ლეიტენანტი და კაკელარი დავით, რომელსა უწოდებენ მას ადგილსა სამოთავრო საეპისკოპოსო ეპარხიას, და მსურველმა ნახვისათვის ძმისა თვისისა, მიისწრათვა მუნ: შევიდა სახლსა მას თანა, მოიუბნეს მცირესა ხანსა და შემდგომად განეშორნენ ურთიერთარს მგოცნელნი ბაგეთანი, და მას ყმასა ვინცა სხვანი საქართველოისა ხალხი იმყოფებოდნენ გამოესალმნენ მეფის ძესა და ჩვენცა გვესალამნენ.

შ ა ი ნ ი.

დავგოცნიდით ურთიერთარს, ჩვენ მათ და იგი ჩვენა,
აწ იხილეთ მწუხარებით, სიყვარულის გამოჩენა,
ცრემლთა ცვარით, მოთქმა ზარით, გვაქვნდა გვნესით ალმოქშენა,
ჯ კვლავ ვეაჯდით ურთიერთარს, გვაქვნდეს დაუვიწყარ თმენა.

მათთა გამყრელთა ვლეთ მუნით და მიგვედით მუხრანს, მოვის. მინეთ ლოცვა, მივიღეთ სანოვაგე, შევსხედით ცხენთა და წარვედით და მას ლამე ვისადგურეთ ლამისყანას, ხოლო მე მახლობელ სო-

ფლისა ამის მაქვნდა მამული და მჭეკვა მას შინა მშობელნი და მი-
ვიელ ნახვად ვათთანა და ვიუკვ დღე ორი და შემდგომად ორისა
დღისა გამოვეთხოვე მათ.

შაირი.

მშობელნი ჩემნი დავუარენ, მტირალი შეწუხებულნი,
მარად დღე ცრემლთა მფრქვეველნი, გულითა ვაგლახებულნი,
მოშორებისა ჩემისთვის ჭმუნვითა აცალვსებულნი,
ჯ არ უწყი მელირსებისცა კვლა ვიუვნეთ ერთად შვებულნი.
საყვარელთ შინადაგება კარნი გაუშვი ზე ბანი,
ცრემლით მოვრწყევდი ადგილთა, ჯდომა მქონდა თუ რებანი,
ჯ სულთქმით დავცალი გულისა კვამლი ჯ ცეცხლთა დებანი.

გამოვესალმე მათ მივიღე ლოცვა მათგან და წარვეთ, და იგი-
ნი დაუტევე მწუხარებასა შინა მოხუცებულნი და სიკვდილად მიწურ-
ვილნი მოშორებისთვის ჩემისა. ვლე მუნით და მივეწიე ახალგორს
სადცა მეფის ძე იმყოფებოდა. მიიღო წმინდა საიდუმლო შემდ-
გომად სადილი და ძილად წვა სახლსა შინა. რა ძილისაგან ადგა,
შეჯდა ცხენსა ზედა და მას ღამე მცირესა სოფელსა იგოთს ად-
ვედით. მუნუმასპინძლესს უმათა თვისთა მხიარულად და მერმედ გან-
ვისვენეთ.

დილასა ადრე ადვდეგით და წარსასვლელად ვიწყეთ მზადება. რა
ეცნათ უმათა მეფის ძისათა, შეკრბენ ყოველნი აზნაურნი, მოხელე-
ნი და გლეხნი, ესალმებოდენ და ეტყოდენ: რად დაგვიტოვებ ობ-
ლად უმდაბლესთა შენთა მონათა და ვისა მიხვალო? ხოლო მეფი-
სა ძემან განამხნო იგინი ბრძანებითა ამით და რქვა ესრეთ: ერ-
ჩდით ჩემ წილ ბძანებასა მეფის სძლის ქეთევანისასა და ძისა ჩე-
მისა გრიგოლისასა და მეცა მადლითა ღვთისათა მოვიწიო მალად
თქვენდა, ადგსებული წყალობითა მისისა დიდებულებისათა. რა გა-
მოვესალმენით ყოველთა მათ შევსხედით ცხენთა და წარვედით. მა-
შინ ყოველნი თანა ზრდილნი ჭყვებოდნენ მეფისა ძესა. მათცა გა-

მოესალმა და დაუბრუნა ნატირებნი და მწუხარენი, ვითა მოუმემან ჭაბუკმან ავთანდილ მონა თვისი შერმადინ.

შაირი.

უკუბრუნდნენ და წავიდნენ იგი ყმანი ნატირებნი,
იგლოვდიან, იტყებდიან ვის ვიახლონეთ თქვენი მხლებნი,
შენსა ნაცვლად ვის უჭვრეტდეთ, ვინ არს ჩვენი შემწყენარებნი,
ჰ რადმცა გვინდეს ვლა უშენოთ, ცუდ არს ჩვენი მონაგებნი.

ხოლო ჩვენ მათთა გამყრელთა ვლეთ და მას ღამე ანანურად მივიწიენით. მუნ დაგვხვდენ ორნი მეფისა ძენი ბაგრატ და მიხაილ, და მათთანა სარდარი გიორგი ციციანოვი და ერთიცა ყაზახისა კაპიტანი ეფემ სტეფანიჩი ოთხმოცისა ყაზახის მხედრობითა. მას ღამესა ერთად განვისვენეთ და დილასა მეორესა შევედით წმინდასა მას ეკკლესიასა და თაყვანის ვეცით ყოველთა სასოსა ანანურისა მღვთის მშობელსა. გამოვედით გარე, შევსხედით ცხენთა და წარვედით, და მას ღამე კაიშაურის კარად ვისადგურეთ, და დილასა მეორესა ადრე ადგედგით და ვლეთ მთა ხევისა თოვლიანი, და ვითა მას მთასა შვენოდა არა იყო ეგრე სიცივე. ოდეს მივიწიენით ჯვარად წოდებულსა ადგილსა, მუნ წინა შემოგვხვდენ რუსთა მხედრობანი საქართველოსა შინა მომავალნი. ჩვენ მას დღე ვლეთ ვით და ღამე სტეფან წმინდად განვისვენეთ. გვიმასპინძლეს მათ ვითა თვერობს მათსა ქვეყანათა, და ხვალისა დღე წარვედით. ვლეთ ვით გზანი ცუდნი, კლდიანნი და წყლიანნი, და მას წყალსა, რომელსა თრუსოს წყალს უწოდებენ და შემდგომად შეიქმნების თერგი, იდო მას ზედან ხიდნი ოცდა ორნი, გავხედით გალმართ და გამოვხედით ამიერ და შემდგომად მივიწიენით ოსთა სოფელსა ლარსს.

შაირი.

ოთვლად მოწყალის ხელმწიფის რუსეთში წარგზავნილებმა,
დავაგდეთ მზღვარი ქართლისა, ვლეთ ერთად თანა ზრდილებმა,
ვეჭ ველარ გვნახონ მშობელთა, ვერც ცოლთა გინა შვილებმა,
ჰ თვალთ უხვად ცრემლი ადინონ, მართ ვითა ბანთა მილებმა.

მუნ მოსახლეთა თავადურთა გვიმასპინძლეს, იქ დაგვხვდა ტფილისისა ნაცვალი—მიკირტუმ სურგუნოვი და მან გვისტუმრა და მხიარულისა გულითა მასპინძლობდა. რა მივიღეთ სასოვაგე შევსხედ თ ცხენთა და მას ღამე გვალად ოვსთა სოფელსა განვისვენეთ. მეორესა დილასა მოიღეს სოფლის კაცთა მათ ურემნი და რაცა ბარგნი გვაქვნდა დაუწყეთ ზედან. მივეცით მათ განწესებულნი ქირანი და წარიღეს და ჩვენცა შევსხედით ცხენთა და წარვედით, ჯ განვლევით მინდორი დიდი ჩერქეზისა. მას ჟამსა შინა იყო მას მინდორსა შიში ანგუშთა და ჩაჩანთაგან, და მეფისა ძესა ახლენ თავადნი ვითარ ასორმოცი ოდენ ცხენოსანი და მას დღე მივიწიეთ ძველად ნასოფლარსა რუსთასა ღუმბალად, და მას წყლისა ბირსა ვისადგურეთ მას ღამე, და ხვალისა დღე ადგეგით და მივხვდით მცირესა ყაბართოს, კარგ სახიდველთა სოფელთა. იგინი არიან მოსახლენი ერთსა გორისა ძირსა არა ერთს სოფლად არამედ უბან უბნად, აქვთ სწორესა ხაზსა ზედან სახნლი წნელისანი თეთრისა მიწითა გალესილი, ვითა ემგზავსება ქვითკირისა ნაშენსა. თვით კაცნი არიან მხნენი და მამაცნი, სტუმართ მოყვარენი, კარგ თვალადნი და სუფლითა მახმადიანი. ტანთა საცმელი მათი კაცთა ჯ ქალთა ვით უწყით ჩერქეზისა. დავუყვეთ მათთანა ორი საათი, მოკრბეს ყოველნი ხალხნი და უხაროდათ ნახვა ჩვენი, გვიმასპინძლეს რითაცა ძალედვათ. შემდგომად ორი საათისა წარვედით და მივიწიენით მოსდოგისა ბირის ბირ თერგისა წყლისა ბირსა.

შაირი.

ქვეყანა მცირის ყაბართოს არისცა კარგ სახიდველნი,
სახლნი აქვსთ სრულად წნელისა, თეთრად ნალესნი კედელნი,
ქალნი მშვენიერ თვალადნი, კაცნი მხნე მტერთა მომწყვლელნი.
ჯ მახმადის სჯულის მჭირავნი, შიხის კანონის დამცველნი.

—ოდეს ეცნათ მასვე ჟამსა მუნ მყოფი გორდნიბი, კამენდატი, ბოლიცმეისტერი, და ჯარისა უფროსნი მოვიდნენ იმიერ წყლისა ბირსა, მოიღეს ბორანი, დაგვსხეს ცხენ კაცნი ზედან და გავ-

ხედით ჩვენცა იმიერ წყალსა, მოგვესალმონენ იგინი და ჩვენცა მათ უსალამეო. მცირესა ხანსა დავუკვეთ მუნ და მოვიდნენ ხალხნი მრავალნი ჯვრეტად ჩვენდა და უხარობდათ ნახვა ჩვენი, რამეთუ არიან უმრავლესნი საქართველოსა ხალხნი. გაგვიძღვნენ წინა და მიგვიყვანეს სახლსა აუშტარბოვის სტეფანწმიდასა, და მასპინძლობდა გაცი იგი მხიარულისა გულითა, რამეთუ არს იგი სტუმართ მოყვარე, და აწვევდაცა გული ერთგულებასა მეფისა ძეთასა, ვინათგან არს საქართველოისა კაცი. ეგრეთვე დღე ყოველ სხვანიცა ხალხნი საქართველოსანი გვძღნობდიან და საჭრელად უჩნდათ ყოფა ჩვენთანა და ამა ყოფითა დავუყვეთ მათთანა დღე სამი.

აწ გკადრეთ ვითარება მოსდგომისა.

მოსდგომი არს მცირე ქალაქი თერგისა წყლისა პირსა ზედან. წყალი ესე უკლის ორსა მხარესა პირველად სამხრეთითი, და შემდგომ ალმოსავლეთით. აქვე წყლისა პირსა ზედა, სადაცა ბორნისა გასავალი არს, არს სასახლე ხისა და მას შიგან ჯარი დგას მცველად ქალაქისა მის. აქვე არს სხვა სახლი, რომელსა შინა არის მარად ორი ლეკრი, რომელ არს აქიმი—ესე იგი კარისხტინი და ვინცა უცხოსა უკეთანისა კაცი მივალს პირველად უნდა მათ გააშიშვლონ იგი და ნახონ, უკეთ მრთელია ანუ სნეული და არიან განკრძალულ ამას ზედან. ოდეს მას გავლი, არს თხრილი ერთი დიდი და ღრმა, რომელი იქნება სიგანითა ადლი რვა, და სიღრმითაცა ადლი შვიდი და ანუ მცირედ მეტი. თხრილთა ამათ აქვსთ კარნი რვანი, და ყოველთა კართა ჯარი სდგას მცველად. აქვე პირველსა კარსა რა შევალ მარჯვნივ მხარეს არს სასახლე საისპეხტორო, და არს დღეს პოლიციად და სხვასა შიგან დგას კამენდატი. მახლობელ ამისსა არს ეკეკლესია გუმბათიანი ხისა სულის წმიდის მოფეერისა, და გარე ესრეთ არს შენებული,რომელ უმეცართა კაცთაგან საგონებელ არს ვითა კირისა ჯ. აგურისა მიერ იყოს ალშენებული, შიგან ხატნი დახატულნი და განკელიცა უცხონი, კრებულნიცა გაწყობილნი მღვდელნი, დიაკონნი და

მწიგნობარ მგალობელნი. სხვაცა არს ქართველთი ეკკლესია, რომელსა აწ აშენებდენ. სომხისა ეკკლესია არს ორი, და თერანგისა ერთი. ქალაქი იგი არს უცხოსა არხიდეკტურობითა ნაშენნი, ვგონებ ერთი მისებრი ქალაქი მას ვერა ესწორებოდეს, ქუჩანი და ფოლორტნი ეგრეთვე სწორესა ხაზსა ზედან განზიდულ, ბაზარნი და სახლნი მუნებურნი სრულიად ხისანი, და სახლთა შინა მცირედ ბახჩანი. საკაბრო ბაზართა მათთა არს იეფად და იშოება ყოველივე, არს უმეტესს სხვათა რუსთა ქალაქისაგან, პური, ღვინო, ოტკა და თევზი. არიან მუნ მოსახლენი ჩერქეზნი და ოვსნი მრავლად, არიან რუსნი მცირედ, ქართველნი, სომეხნი და ფერანგნიცა მრავლად, სრულიად საქართველოსანი, ტანთა საცმელი მათი არს ვითა ჩვენი, ბ ლაპარაკი ქართული, სომხური და თათრული. არს გარე ქალაქისა ამის ალმოსავლით და ჩრდილოეთით გერძო ვენახნი, ბაღნი და ბახჩანი და ყოველი ხილი იშოების და მოვალს მუნ თვინიერ ნიგოზისა, არს აქაცე ერთი მონასტერი ხისა მიერ ნაშენი და აწ ცალიერი.

შაირი.

მოსდოგი მცირე ქალაქი, არს საკსე ქართველთ ძეებით,
კარგნი პურადნი კაცნი და ქალნიცა მათთა მწეებით,
აქვსთ სახლ კარნიცა გაწყობილ, სრულიად ნაშენი ხეებით
ბ ვაი ტფილისისა მშორად, გულო დაბმულხარ დაებით,
რადგან თვისი ჩვეულება საწუთომ ჩვენზედ,
მაშინ მშვილდის თვალურით განგვასრეკდა, განგვაბნევდა,
სიტყვით ვედრსა არ ისმენდა, არზასაცა მსწრაფლად ხეკდა,
ბ მშობელთ ქვეყნით სხვასა არეს ბატონ ყმათა ერთად გვკრეფდა.

—შემდგომად სამისა დღისა მოგვიგიდა წიგნი კარლი ფედრიჩისა ისპეკტორისა, ვითა მსურს ხილვა თქვენი, და ინებოს უგანათლებულესობამან თქვენმან და ვიხილოთ ერთმანერთი. ოდეს მიიღეს წიგნი ინებეს მეფისა ძეთაცა, მასვე ჟამსა მოიღეს კარეტანი, და კაღასკანი სამნი, ჩავსხედით შიგან და წარვედით, და სწრა-

თვისა სიარულითა ვლეთ ვითა არს მათი ჩვეულება, ორსა ალაგსა გამოვიცვალეთ ცხენნი და სამოცდა ათექვსმეტი ვერსი, რომელიცა თხუთმეტი ალაჯი იქნების, სამ საათ ნახევარზედ გავირბინეთ და მივედით ნაურს სადაცა კრონიღი იმყოფებოდა. რა სცნეს მისვლა ჩვენი მოგვაგებს წინა ბოლკოვნიკი ერთი და მიგვიძღვა იგი სახლსა ღერანალანშეფისა ივან მიტრიჩისასა, მოგვეგება კაცი იგი და შეგვიწვია შინა სახლად. კაცი იგი არს კარგი და სახელოვანი, აწ არღა არს სამსახურსა შინა, არამედ სცხოვრებს მამულსა და სახლსა თვისსა, არს იგი გულითა მდიდარი და ნიგთითაცა. აქვს კაკელარი ანნასი, ალექსანდრე ნევსკისა, წმინდის გიორგისა და ვლადიმერისა. კაცისა მის ქება თქმად საჭირო არღა არის, რამეთუ არს ყოველთა სამამცოსა ზნითა სრული, და ვითა ანუ მეფისა ძეთა შვენოდა ჯ ანუ მისსა კარგ კაცობასა ზომისაგან უმეტესად მასჰინძღობდა.

ფისტიკაური.

მნებავს შეუთხზა ლექსი მკობისა და გსთქვა სიუხვე ბუერადობისა.
ვიქმენ ტრფიალი მისის ცნობისა, მსურს ვიქმნე მონად ერთგულობისა,
უქო ზნეობა სიტყვა წყობისა, კვალად მასთანვე საქმე მხნობისა,
ჯ კაკრცო სიქველე გულადობისა, არა მაქვს სიტყვა სათნოობისა.

—რა შინა შევედით მცირისა ჟამისა მოაღემინა სასმელი ჩაი და მივიღეთ იგი. შემდგომად მიღებისა მისს მოაღებინა კარეტა თვისი, ჩავსხედით და წარგვიძღვა სადაცა ისპექტორი იმყოფებოდა. ოდეს სცნა მისვლა ჩვენი გარე კარსა ზედა გამოეგება მეფისა ძეთა, მიესალმა მეფისა ძეთა, მოიკითხნა და გზასა ზედან გარჯილობა ჭკითხა, მერმედ მოვიდა ჩვენთან მოგვესალმა და მოგვიკითხნა და შემდგომად შეგვიძღვა შინა სახლად. მსწრაფლად მოიღეს ჩაი მუნცა, და მიღებისა მისისა, მოიუბნეს მცირე და მერმე გამოვეთხოვენით და წარმოვედით შინად. რა მოვედით სადაცა ვიმყოფებოდით დაგვხვდა მუნ სტოლი მზად და ვითა გვწადდა შეგვქე-

ცით და მიღებისა მისისა ალვდეგით სტოლით, მოვიუბნეთ მცირესა ხანსა და მერე განვისვენეთ. რა დილა გათენდა მოვიდა თვით კარლი ფედრიჩი ისპეკტორი და სთხოვა მხიარულისა პირითა მეფისა ძეთა ვითა ინებოს უგანათლებულესობამან თქვენმან და დღეს სადილი მიიღეგით უმდაბლესსა სახლსა შინა ჩემსა. მათ მადლობა ჩვადრეს და თვით წარვიდა კრონიღი, და შემდგომად მცირისა ხანისა მოეგზავნა კარეტები და დავებარებინენით. ჩვენ ჩავსხედით შიგან და წარვედით. ოდეს მივედით სახლსა მისსა, დაგვხვდა სტოლი მზა, პირველად ჩვეულებისამებრ მათისა მივიღეთ სხვასა სახლსა ზაკუსკა, რომელსა საუზმეს უხმობენ, და მერმედ გამოვედით გარე, სადა იყო სტოლი და დავსხედით სადილად, და ვითა მისსა მალად მსვლელობასა ჩშვენოდა უმეტესად მხიარულობდა და მასპინძლობდა. რა სტოლისაგან ადგედეგით შეგვიძლვა სხვასა სახლსა, მოიღეს მრავლად უცხოდ შემზადებულნი მურაბანი და ხილნი, და ეგრეთვე სხვა და სხვა გვარნი ღვინონი, ფუნჯი და ყავა, და ვისა რა ეწადა მას მიიღებდის, ხილსა თუ სასმელთა, და ამა ყოფითა ვარ მცირესა ხანსა შეგექეცით და შემდგომად წარმოვედით.

ფისტიკიური.

ისპეკტორისა ვით ვსთქვა ქებანი, მისი სიბრძნული სიტყვის
გებანი,
ანუ ლხინთ ჯდომა ანუ შვებანი, ანუ მის გარე ხალხთა კრებანი,
ან ნივთთ ქონება ან დიდებანი, ანუ მის სახლთა გარიგებანი,
ჯ ანუ სტუმართა მიგებებანი, შეტკბობით ხილვა შეყვარებანი.

—ღამეცა იგი ამა ლხინითა გამოვატარეთ, და ხვალისა დღე რა გათენდა, ოდეს მივიღეგით ჩაი მოვიდა კაცი ისპეკტორისა და ეთხოვა გვალად სადილად მისვლა სახლსა თვისსა. ჩვენცა ჩავსხედით კარეტათა შინა და წარვედით, და ვითა პირველსა დღესა მეორესა უმეტესად მასპინძლობდა, და სადილისა მიღებისა შემდგომად გამოვეთხოვენით. მანცა ნება გვცა, და ვითა მეფის ძეთა ჩშვენოდათ და ანუ აქვნდა ბრძანება ეგრეთ მომზადებულნი გაგვის-

ტუმრნა. ხოლო ჩვენ ჩავსხედით კარეტათა შინა და წარმოვედით, ვლეთ ეგრე სწრაფვისა სიარულითა და მოვედით კვალად მოსდოგად დღესა ხუთშაბათსა ქრისტესს ვნებისასა, განვისვენეთ მოსდოგსა შინა დღე ოთხი. ვიდღესასწაულეთ აღდგომა, და ვიუკვით მეორეცა დღე მუნვე და მესამესა დღესა ავემზადენით წარსასვლელად. მოგვიტანეს კარეტანი, კალასკანი და ბარგთათვის ზოუსკანიცა, რომელი არს მუნებური მცირე ურემი, ჩავაწყევით ბარგნი, ჩავსხედით შიგან ჩვენცა სხვათა ურემთა შიგან და წარვედით, და აწ ღმერთმან უწყის რა მოხდება და ანუ ამისა შემდგომად ვითა იქნების ? . .

შაირი.

განვისვენეთ ერთს კვირას მუნ, რაც ძალგვედვა შევექეცით,
ქართლის ამბავს ვერას ვსცნობდით, კაცით იყო ანუ მხეცით,
ვსჯვრეტდით მგზავრსა არსად რა ჩნდა, თვალი გზაზე დვაბეცით,
ლ ამ დღის მომსწრებ დამხვედარნი, სოფელ გალმა გავექეცით.

აწ ან უწყით რასა იქმს, ელმაკ მბრუნავი ჩალხნიდა,
სით გვდევნის სადით წარგვიყვანს? ზღვა დაგვნთქავს ანუ არხნიდა?

ლარიბად მოვკვდეთ უცხოს თემს, ვინ გვიგლოვს აქა ხალხნიდა,
ლ ჩვენსა შემდგომად საყვარელთ იცან ძაძა და თალხნიდა.

—მოგვცეს კანვოდ ყაზახი ოცდა ათი ცხენოსანი, დღე და ღამე განუშორებელად ტულისა ქალაქამდინ, გამოცვლით სოფლით სოფლამდინ.

მოსდოგით წარსრულთა მას დღე გავიარეთ ვერსი ოცდა ათ ჩვიდმეტი, და მას ღამე სოფელსა ეკატრინაღრადს განვისვენეთ. ბვიმასპინძელს მუნ მყოფთა ყაზახთა, და მეორესა დილასა ჩავსხედით ურემთა შინა და გავიარბინეთ ოთხმოცდა ექვსი ვერსი ლ მივიწიენით მცირესა ქალაქსა იეგორცკას, მოგვეგებ მუნ მყოფი კამენდატი ლ მუნ ჯარისა ღერასალი მიგვიძღვნენ, და სადაცა იყო სახლი სახელმწიფო მუნ გარდავხედით. მას ღამესა გვიმასპინძელს, რამეოუ აქ-

ვნდათ ბძანება ისპეკტორისა, და მერმედ განვისვენეთ. რა გათენდა ვიყავით სახლსა შინა, შემოვიდა მის ქალაქისა კამენდატი და რქვა ესრეთ მეფისა ძეთა, ვითა მოიწია დღეს ხმა სამწუხარო და სავალალებელი, რამეთუ გარდაცვალებულ არს მისი დიდებულება იმპერატორი პავლე პირველი, და ამიერ სოფლით სხვად სავანედ დამკვიდრებულ არსო. სმენასა ამას ზედან არა მცირედი მწუხარება შეედვათ მეფისა ძეთა, და ჩვენცა მათთანა მეოფთა. შემდგომად გვიბრძანეს მეფისა ძეთა გამოვარჩიოთ და რომელიცა ჯერ იყოს იგი ვქმნათო, ბრძანეს თვით და ვკადრეთ ჩვენცა, ვინადგან ხართ აქა წარმოგზავნილი ისპეკტორისა მიერ, ვაცნობოთ მას და რაიცა მის მიერ მოგხსენდესთ იგი ვქნათო. მოეწონათ მეფისა ძეთა რჩევა ესე, მოიღეს საწერელი და ქაღალდი და მიუწერეს ვითა რაი იქმნების და რა ვქნათ.

შაირი.

რა გათენდა შემოვიდა კამენდატი ქალაქისა,
მოახსენა მეფის ძეთა, რისხვა მოგვხდა ჩვენ დღეს ცისა,
მოგვივიდა კურიელი, სიკვდილი სთქო ხელმწიფისა,
ჯ ან ვით გმართებსთ უნდ იხრუნოთ, წასვლისა და თქვენის გზისა.

მისცეს კურიელსა წიგნი და სწრაფად სვლას ეკვედრნეს - გამოხდა დღე იგი და მეორესა დღესა მწუხრისა ჟამსა მოვიდა კაცი იგი, და მოიტანა მან წიგნი რომელსა შინა ეწერა ესრეთ: «ვგმართებს ტირილი და გლოვა გარდაცვალებასა ზედან ხელმწიფისასა, არამედ მივსცეთ მადლობა ღმერთსა ყოველთასა, რამეთუ იგი არს ნუგეში ყოველთა მწუხარეთა, და შემდგომად მისსა ვადიდოთ ძე მისი ალექსანდრე პერვოი, და თქვენ ამას ზედან ნუ იყოვნით, არამედ რაიცა ძალ გედვასთ ვლეთ მისდამიო». ჩვენ მსმენელთა ამისთა ვიწყეთ მზადება. მოვაღებინეთ კარეტანი ჩავსხედით და წარვედით და მას დღესა გავიარეთ ვერსი ას ცხრა და ღამე სოფელსა სივერნიას ვისადგურეთ.

შვიდი.

მუნით წასრულთა მივმართეთ რუსეთის სამეფოებელოსა,
ვხედევდით მინდორს მშვენიერს, უცხოს და უცხოს მდელოსა,
ნიავსა ტკბილთა მოამბერსა, მშვიდსა წყნარსა და ნელოსა,
ჯ ვგონებ ამისთა მხილველთა, მართ თავი ასახელოსა.

ხვალისა დღე ადვდეგით და წარვედით. გზასა ზედან მივხვდით მცირესა ქალაქსა ალექსანდრიასა, და გავიარეთ მას დღე ვერსი სამოცდა თერამეტი, და ღამე ქალაქსა სტავროპოლს დავუყავით. გვიმასპინძლეს განგვასვენეს და დილასა წარვედით და გავიარეთ ვერსი ორმოცი, გატუდა გზასა ზედა კარეტა და ურემნი ბარგისანი, და მიზეზისა ამისთვის დავშთით მუნ ღამე ორი და დღე ერთი სოფელსა მოსკოვსკას. მესამესა დღესა ჩავსხედით ურემთა შინა და მას დღე ორმოცდა ორი ვერსი გავიარეთ და ღამე სოფელსა მცირეს დონსკას შევისვენეთ. რა გათენდა ადრე წარვედით ვიარეთ ჩქარად, ცხრასა ადგილსა გამოვიცვალეთ გზასა ზედან ცხენნი და მივედით ქალაქსა თერიად მშვენიერსა ჩერქეზ ქირმანს.

შვიდი.

ექვსე დღე ვლეკით ყაზახთ სოფელს, მერე მივხვდით სხვასა
არეს,
კარგსა ქალაქ ჩერქეზ ქირმანს, თვისთა ტოლთა დაუდარესს,
კაცთა კარგთა მხნეთ მამაცთა, ქალთა მზეთა შესადარესს,
ჯ რომ გვიხილეს კარე მოჭკრეს, ნახვისათვის გაიხარესს.

—რა მივიწიენით დონისა პირსა ეცნათ მისვლა ჩვენი და მოგვეგება წინად მუნ მეოთი ღერანსალი და ერთი პოლკოვნიკი ყაზახისა ჯარისა. ამოდ გვესალამნენ და ამოდ გვესაუბრნენცა. შემდგომად მცირისა ჟამისა მოადებინეს ორნი დიდნი ლოტკანი და ჩვენ ჩვენისა ურმითა ჩაგვსხეს შიგან, ამართეს ათერანი და წარგვიყვანეს. რა მცირედი გავიარეთ წყალთა შინა, მას ღერანსალსა მოუვიდა ერთი მცირე ნავი, და იყო მას შინა მრავალ გვარნი ოტკანი

და ღვინონი და საჭმელნი. მოადებინა წინა ჩვენსა, დავიდგით სტოლი და ამოდ შეგექეცით, და ამა ყოფითა ვიარეთ წყალთა შინა სათი სამი და გავხედით ჯალმართ წყლისა მის ბირსა ქალაქსა მას შინა. ოდეს ნავით გარდავხედით სცნესს ხალხთა მუნებურთა და მოგრეულ ნახვად ჩვენდა ეგეოდენი, რომ არღა იტევდა ადგილი იგი. მაშინ ღერანალი იგი, რომელი წინა მოგვეგება, წარგვიძღვა წინად და მიგვიყვანა სახლსა დიდ ვაჭრისასა. ოდესს შევედით მასვე ყამსა მოიღეს სასმელნი, და შემდგომად მოიღეს ვახშამი. მივიღეთ, და მერმედ განვისვენეთ და ამა ყოფითა დღე სამი დავჭყავთ მათთანა.

ხმა ხამართლიდამ.

I.

სამართალს თუ ითა ვსჯრიდი,
გრეშისთვის კაცსა გავუიდდი,
თვით ძმას ორმოს გაუთხრიდი
და ჩემ ჯიბეს ნელნელ ვზდიდი;
სზდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდები;
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ შემბრალდებოდა.
რაც კი რამ ჭქონდა საწყალსა
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოკვდი ვერ გავტენე.

II.

ობლის ვედრება, ტირილი,
ჩემთვის იყო გაუგებრად,
განა ვიუავ მე გულჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ შვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ;
მათთაც კი ვსთხოვდი თუ ფულებსა,
რომ საქმისთვის მოვიდოდნენ.

იხიბობდა კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა:
მის მორჩენას კავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III.

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მას წყალში მე ჩავკლავდი;
ბევრსა საქმეს ამის მგზავსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიტოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრძავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება,
დროზედ სითვიცხით ვიწოდი,
დროზედ მქონდა დაზანტება.

IV.

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგი-ბრუგს დაუწყობდი;
და ვინც კი დამიყვირებდა
მას მე თვეხ-ქვეშ უძვრებოდი;
ლმერთმან მომცა მარდი ხელი
დაულლელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძღარ ჯიბეში.

V.

სულ ჯიბისთვისა ვსცდილობდი
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი;
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჭა მოკვდი ვერ გავტენე.
რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუათა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივან-ბეგი!
და აწ მეხი გლეხებისა
ერთგული ყმა თვლებისა
მტკრათა ვდევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!..
შეიბრალეთ ჩემი გვამი!..
თუ ოდესმე ვინმემ მნახეთ,
სიქიოს თუა ქრთამი
გამახარეთ, ჩამამძახეთ.

. . .

ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები

და

იქაური ტუვეობა.

«Самсонъ поробощенный, ослѣпленный
Есть и у насъ въ странѣ. Онъ силъ лишенъ,
И цѣпь на немъ. но—горе! если онъ
Подниметъ руки въ скорби изступленной.»

Лонгфелло. (*)

ლრეულების დახედვით, საჭირედ ვნახეთ წაკვეთხოთ «საქართველოს მოამბის» მკითხველებს ბიჩერ-სტოუს რომანი «ბიძია ტომის ქოხი» ანუ «ტუვეობა ჩრდილოეთის ამერიკაში».—მაგრამ ვიცით ამასთანავე, რომ რომელიმე ნაწილისათვის მკითხველებში საჭირო წინათვე გავაცნოთ რამოდენამედ ჩრდილოეთის ამერიკის შტატები, მოვახსენოთ იმათი გარეგანი და შინაგანი ისტორია ძველ მოკლედ მაინც, ვიჩვენოთ მოკლედვე იქაური პოლიტიკური და-

(*) ეს ლექსია ამერიკელის პოეტის ლონგფელოს დანაწერი ჯ რუსულს ენაზედ გადმოიღო ერთმა რუსეთელმა მწერალმა. აი რას ამბობს ლონგფელო თავის სამშობლოზედ: «ჩვენშიაც არის დატუვებული და დაბრმავებული სამსონი. მისთვის ლონე მიუხდიათ, ბორკილიც შეუურიათ. მაგრამ—ვაი! როცა ის ხელებს გაიქნევს მწუხარებისაგან გაცოფებული . . . .»

წყობილება, ტყეობის ისტორია, მნიშვნელობა, ეხლანდელი მდგომარეობა და ბოლოს, როგორც დამატება, მიზეზები ეხლანდელის ომისა ჩრდილოეთის ამერიკაში. ძლიერ ადვილი იყო, რომ რაც ამ საგნებზედ რამე ვიცოდით ჩვენისავე სიტყვებით გვეამბო, ე. ი. ისე როგორც ჩვენ გვინდოდა; ამ შემთხვევაში იმედი იყო დანაწერი გვარიანი ქართული გამოსულიყო, მაშასადამე უფრო ადვილად გასაგებიც. მაგრამ ჩვენ, სხვა და სხვა გარეგანი გარემოებებისა გამო, ვარჩიეთ რუსულიდამ ორი სტატიის თითქმის მრთლად გადმოთარგმნა და რაც ისტორიას შეეხება ისტორიის კურსებიდამ გადმოწერა, სიტყვითი სიტყვად თითქმის. ამისთვის იქნება ნათარგმნი ზოგიერთს ადგს ძნელი წასაკითხი დარჩეს და გასაგები რომ იქნება ამაზედ დარწმუნებული ვართ.—ისტორიული ნაწილი, რომელიც შედის შემდგომს სტატიაში, ჩვენის ჯაზრით შენიშვნაა იმ ორის სტატიისა ჩრდილოეთის ამერიკის შტატების პოლიტიკურს დაწყობილებაზედ ს ტყეობაზედ. მაგრამ ჩვენ ბევრი უცხო ენების სიტყვების ახსნა დაგვჭირდა და ისტორიული ნაწილიც რომ შენიშვნაში დაგვებეჭდა ბევრს ადგილსაც დაიჭერდა და მკითხველსაც შეაწუხებდა, მეტადრე იმისთვის რომ შენიშვნას კიდევ შენიშვნა ექნებოდა. ამიტომაც ამოვუყენეთ ის გვერდით რუსი მწერლების სტატიებსა.—

ჩრდილოეთის ამერიკის შტატების დაფუძნება და იმათი განთავისუფლება ინგლისის მფლობელობისაგან.

ეხლანდელის ჩრდილოეთის ამერიკის აღმოსავლეთს კიდეებს მიადგა პირველად (ვიწყებთ იმას აქედან, კოლუმბმა რომ ამერიკა გამოაჩინა,) ერთი ვენეციელი, რომელიც იყო ინგლიხის სამსახურში; ეს იყო 1497 წ. მაგრამ რადგანაც ეს ქვეყანა არ მიიზიდავდა ევროპიელებს არც ოქროსა და არც ვეცხლის მადნებით, ამისათვის მრთელი საუკუნის განმავლობაში დავიწყებული ყოფილა. 1584 წ. ინგლისის კოროლის ელისაბედის ნებით დაუფუძნეს აქ კოლონია (2), რომელსაც ქალწულის მეფის სახსოვრად დაარქვეს ვირგინია და რომელიც მალე მოიშალა. კოლონიების მყარე საფუძველის დადება მოხდა ინგლისის კოროლის იაკობ I-ის დროს. საფუძველის დამბადები იყო ორი საკაჭრო კომპანია ლონდონისა და პლიმუტისა, რომლითაც იაკობ I-მა მისცა ჩრდილოეთის ამერიკაში კოლონიების დაფუძნების უფლება. პირველმა დაუფუძნა ჯერ ვირგინიაში. კარლოს I-მა წაართვა ამ კომპანიას ეს უფლება და ვირგინიასცა, რომლის ჩრდილოეთის ნაწილი უბოძა ლორდ ბალტიმორს; ამან დაარქვა ნაჩუქარს მიწას მერილენდი (დედუფლის პატივის ცემისათვის).-1669 წ. დაფუძნდა კაროლინა, რომელიც შემდგომში გაიყო ორად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კაროლინად. პლიმუტის კომპანიამ დაფუძნა 1620 წ. პლიმუტი იმ მხარეში, რომელსაც შემდგომ დაერქვა ახალი ინგლისი და საცა გაჩდნენ მასსაჩუზეტსი, რად-ეილან-

---

(2,3.) ვსთქვათ საქართველოდამ გაგიდა რამოდენიმე კაცი ან ადგილის საკლუკვანების გამო, ან ალებ-მიცემითის ჭვაზრით, ან სხვა რამე მიზეზის გამო და დაესახლა უცხო ქვეყანაში. ამ გადასახლე-

დი, კონნეკტიკუტი, მენი და ნიუ-ჰემშირი. შემდგომისათვის კიდევ ჩრდილოეთის ამერიკაში დაარსდა ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერზეი ს 1682 წ. პენსილვანია, მერმე გეორგია, ასე რომ მეთვრამეტე საუკუნის შუამდის ინგლისს ჰქონდა აქ 13 კოლონია.

ამ კოლონიებში ინგლისის მმართებლობას ჰყავდა გუბერნატორები, რომელნიც იყვნენ მხოლოდ ზედამხედველები, მცხოვრებლებს კი თავისი მმართებლობა ყავდა. მხარეს მართვიდნენ სჯულის ძმებელობითი კრებაები, ხალხისაგან გამორჩეულის წარმომადგენელებისაგან ანუ დეპუტატებისაგან შედგენილი. საბამდის ეს სიმართლე ჰქონდათ კოლონიებსა, თავის მეტროპოლიასთან (ა.) კარგად იყვნენ. მაგრამ როცა კორონამ ვილგელმ III-ემ მისცა იმათ ახალი დაწყობილება, რომლითაც ყველა მაღალი თანამდებობა ეძლეოდა ინგლისის მმართებლობისაგან ამორჩეულს მოსამსახურე კაცებს, როცა მან შეაკვიწრა იმათი გაბრობა, კოლონისტები დიდად უკმაყოფილოდ დარჩნენ. ეს უკმაყოფილება უფრო გაადიდა შემდგომმა გარემოებებმა. ჩრდილოეთის ამერიკაში ინგლისს კარდ ჰქონდა კოლონიები საფრანგეთსა და ესპანიას. ბირველის საზღვრებელ აკადია და კანადა მდებარებდა ინგლისის საზღვრებელს ჩრდილოეთით და უკანასკნელის—ფლორიდა—სამხრეთით და როცა კი ამ საუფლოებს შუა ატყდებოდა ევროპაში ომი, აქაც ჩხუბს დაუწყებდნენ ერთმანეთსა. აგრე, ერთხელ ესპანიის მემკვიდრეობისათვის ომი იყო ევროპაში და აქაც დაიწყეს და უტრეხტის კარიგებით 1712 წ. აკადია ერგო ინგლისს; მაგრამ რადგანაც საზღვრები კარგად არ იყვნენ დანიშნულნი, ამისათვის საფრანგეთსა და ინგლის შუა მოხდა კიდევ ომი, იმ დროს, როცა ევროპაში შვიდის წლის ომი იყო. საფრანგეთს დაეხმარა ესპანიაცა. გათავდა 1763 წ. იმითი, რომ კანადაცა და ფლორიდაც ინგლისს დარჩა. ინგლისს თა-

ბულების საფველს დაუძახებენ საქართველოს «კოლონიას», თვითონ კოლონიაში მცხოვრებლებლებს «კოლონისტებს» და საქართველო იქნება იმათი «მეტროპოლია».—ერთის ქვეყნიდამ მეორე ქვეყანაში ამ გვარ გადასახლებას ჰქვიან «კოლონიზაცია.»

ვისი საბუღალტოს გავრცელება ძლიერ ძვირად დაუჯდა, იმას დაედვა 184 მილლიონი გირვანქა სტერლინგი (4). მმართებლობამ სთქვა, ამ ვალის გადახდაში კოლონიებიც უნდა შეეიუნოო, რადგანაც იმათის მართვისათვის ბევრი თუღებიც მეხარჯებაო და ეს საბუღალტოს გავრცელება იმათის ვაჭრობისათვისაც საზარგებლოა. ამერიკელები რასაკვირველია ვერ დაეთანხმებოდნენ ამაზედ, ერთი ამისათვის, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტს (5), რომელშიც

---

(4) გირვანქა სტერლინგი თუღის ანგარიში ინგლისში და უდრის 6 მან. და 5 შაურს.

(5) პარლამენტი ჩქვიან წარმომადგინებლობითს კრებას, ე. ი. იმ პირთ კრებას, რომელნიც გამოირჩია ხალხმა იმისთვის, რომ ისინი იყვნენ ხალხის სურვილის და ჭაზრის წარმომადგენელნი, რომ იმათ ისე განსაჯონ ყოველივე საზოგადო საქმე, როგორც ხალხს უნდა და როგორც ხალხის საჭიროება მოითხოვს. ძველს საბერძნეთის სახელმწიფოებში, ათინაში და სპარტაში, ყოველივე საზოგადო საქმეს სწყვეტდა თვითონ ხალხი. მაგ. გსთქვათ გამოჩნდა ერთი იმისთანა საქმე, რომელიც შეეხება მრთელს სახელმწიფოს, მაშინ ყველანი შეკრებებოდნენ, საქმეს განსჯიდნენ, დასდებდნენ განკარგულებას, გარდაწყვეტილებას, და იმის ასრულებას შიანდობდნენ ერთს კისმე საიმედო კაცს. აი ეს არის იდეალური წარმომადგინებლობა და პარლამენტი. ახლანდელს დასავლეთის ევროპის სახელმწიფოებში თუმცა არიან პარლამენტები, მაგრამ ამ გვარი წარმომადგინებლობა და პარლამენტი შეუძლებელია, რადგანაც ძლიერ დიდრონი სახელმწიფოებია და ბევრი მცხოვრებლებიც არის შიგა, რადგანაც რამდენიმე ათასი, ან რამდენიმე მილლიონი კაცის ჩქარად და ერთად შეკრება არ მოხერხდება. ამისათვის საზოგადოება ირჩევს დეპუტატებს, რომელნიც შეადგენენ წარმომადგინებლობითს კრებას. ევროპიელს სახელმწიფოებში წარმომადგინებლობას ალარა აქვს არც ის იდეალური კარგი, არც შინაგანი არსება. წარმომადგინებლობა უნდა იყოს ხალხის ჭაზრის და ნების გამოთ-

გოლოხისტებს არა ჰყოლიათ თავისი წარმომადგენელები, უფლება არა ჰქონდა მოემატებინა იმათთვის ხარკი; მეორე ამისთვის, რომ

ქმელი. თვითონ წარმომადგინებლობის ჭაზრი მოითხოვს, რომ წარმომადგინებლობითს კრებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული ალსრულებითი უფლება. ამ გვარად არის მხოლოდ ინგლისში, ჩრდილოეთის ამერიკის და შეეიცარიის შტატებში. ინგლისში თუმცა ხელმწიფეგება არის მემკვიდრეობითი, მაგრამ კორონს არაფერი არ შეუძლიან უპარლამენტოდ. ამერიკაში პრეზიდენტია ხალხისაგან ამორჩეული და თავის ნებაზედ მოქმედება სრულიად არ შეუძლიან. ამ გვარადვე უჭირავს ხალხს ხელში ალსრულებითი უფლება შეეიცარიის შტატებშიც. სხვა ევროპის სახელმწიფოებში, სადაც კი არის წარმომადგინებლობა, ყოველგან გადასხვაფერებულია პარლამენტები, ისე რომ თითქმის ფორმისათვის არიან, მისთვის რომ არაფერს პარლამენტის გარდაწყვეტილებას არა აქვს ძალა, თუ ხელმწიფემ არ დაამტკიცა, მაგალითად, როგორც საფრანგეთში. ამ სახელმწიფოებში პარლამენტია ალსრულებითი უფლების მორჩილი მოსამსახურე.—ეხლანდელი პარლამენტები საზოგადოდ განიყოფებიან ორ ნაწილად, ზედა პალატად და ქვედად. ზედა პალატაში არიან ან უმაღლესი წოდების და უმაღლესი ხარისხის კაცები, როგორც საერო, ისე სასულიერო, რომელთაც ან მემკვიდრეობით აქვსთ პარლამენტის წევრად ყოფნის სიმართლე, ან დროებით აქვსთ მიცემული ხელმწიფეებისაგან; ან არა და, ამ პალატაში არიან ხალხისაგან ამორჩეული პირები, მაგ. როგორც ამერიკაში. ზედა პალატას ჰქვიან სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა სახელები, მაგ. ინგლისში «ლორდების პალატა», საფრანგეთში «სენატი» და სხვ... ქვედა პალატაში არიან ხალხისაგან ამორჩეული პირები. ამასაც სხვა და სხვა სახელი ჰქვიან, მაგ. ინგლისში «საზოგადოებების პალატა», საფრანგეთში «ჯულის-მდებელობითი კრება» და სხვ. დეპუტატების ამორჩევა სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვა და სხვა რიგზეა. ზოგან ხალხის რიცხვზედ არის დამოკიდებული და ამისთანავე უძრავ-მოძრავის ქონების სიდიდეზედ (ცენზზედ) (ბელგი-

ბოლონისტებს ომი სრულიადაც არ სურვებიათ, ომის დაწყება მმართველობის საქმე იყო, მაგრამ გამარჯვებას კი იმათ ეკუთვნოდათ. ამ საქმეში ამერიკელების მოძმეს იყო გამოჩენილი ორატორი (6)

�ში), ზოგან ქალაქებზედ და სოფლებზედ, რომელთაგან ზოგს ა-ქვს დეპუტატების გამორჩევის უფლება, ზოგს არა. „ერთი პატარა სოფელი ირჩევს მაგ. ორს დეპუტატს, ქალაქი შეიძლება რომ ერთის მეტს არ ირჩევდეს, ამის, გის რომ, როცა იმათ ეს სიმართლე მიიღეს, მას აქეთ დიდი ხანი გავიდა, ქალაქი გადიდდა, მაგრამ დეპუტატების რიცხვი კი არ მოუმატებიათ იმისთვის, ამასთანავე „ცენზიც არის, ესეა ინგლისში. ზოგ სახელმწიფოში, მაგ. ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში, ცენზი არ არის, გამორჩევა ხალხის რიცხვზედ არის დამოკიდებული. მცირე წლოვანებსა და ჭკვა შეშლილებს გარდა ყველას ხმა აქვს რჩევაში.

პარლამენტიანი სახელმწიფოების კანონებს, რომელშიაც არის გამოხატული როგორც პარლამენტის, ისე ხელმწიფის სიმართლე ⁄ სახელმწიფოს დაწყობილების საზოგადო საფუძვლები, ეძახიან «კონსტიტუციას».—სახელმწიფოსა და ხელმწიფეს ამ შემთხვევაში ჰქვიან «კონსტიტუციული სახელმწიფო», «კონსტიტუციული ხელმწიფე».

(6) აქ ორატორი იმ კაცს კი არ ნიშნავს, რომელიც მარტო მჯევრად ლაპარაკობს ე. ი. მარტო ყურისათვის სასიამოვნოდ, რასაკვირველია ზოგიერთი ყურის სასიამოვნოდ; ესე რომ ყოფილიყო, იქნება ჩვენშიაც და მეტადრე ტფილისში (რადგანაც იქ ბევრი მცხოვრებლებია) გამოჩენილიყვნენ ზოგი ორატორები. აქ ორატორი ნიშნავს იმ კაცს, რომელიც სჯის საქმეებზედ საზოგადოების წინ.-მაგ. დეპუტატი, რომელიც ლაპარაკობს პარლამენტში, არის არატორი; ხალხის კრებაში რომ ვინმე წამოდგეს და სჯა დაიწყოს რამე საქმეზედ ისეც ორატორი იქნება; შეიძლება მჯევრად ლაპარაკობდეს ორატორი, შეიძლება არა, მაგრამ საქმეზედ კი უნდა ლაპარაკობდეს, ენის ხმარებაში გარჯიშობა მისი საკადრისი არ არის. მაგრამ ესეც კი უნდა გსთქვათ რომ ზოგიერთს პარლამენტში და ზოგიერთი საზოგადოების წინ სწორედ მარტო სიტყვების გადაბმაში ვარჯიშობენ.

პიტტიცა, რომლის პარტიასაც ერთი ბრძოლა ჰქონდა მმართებლობის განკარგულებაზედ ზედა-პარლამენტშიაც და ქვედაშიაც. მაგრამ მმართებლობამ მაინც მიიღო ხარკის დადების უფლება და გამოსცა აკტი, რომ შაქრსა, ყავასა, ლიღის ხესა, ღვინოსა და ინდოურს აბრეშუმის მატერიებში ბაჟი უნდა იხადონო. ეს, თუ არ ცხადად, დაფარულად მაინც ხარკს ახდევინებდა კოლონისტებსა, რადგანაც ამ საქონლების ყიდვა ძვირად უჯდებოდათ ბაჟის მიზეზით. ამ საქმემ არათუ ამერიკაში, ინგლისშიაც ბევრი აყაყანა, როგორც ზევით მოგახსენეთ. უფრო მეტი უკმაყოფილება ჩამოაგდო კოლონიებსა და მეტროპოლიას შუა შტემპელის აკტმა (1765 წ.), რომლის ძალითაც შემოიღეს ღერბის ქაღალდი კოლონიებში საქმეთ-წარმოებისათვის. ესეც ხარკის დადება იყო იმათვის. ამას გარდა ცოტა ხანს იქით მოითხოვეს კოლონისტებისაგან სხვა ხარკიც ინგლისის მმართებლობის ჯარებისათვის. ამაზედ ყველა კოლონიების დეპუტატთ კრებებმა შეადგინეს საზოგადო კონგრესი ანუ კრება ნიუიორკის ქალაქში და გამოაცხადეს მმართებლობის განკარგულებების უკანონობა. ამერიკელმა ვაჭრებმა გადაწყვიტეს, რომ ინგლისიდამ საქონელი აღარ გამოვიტანოთო. ამან ძლიერ შეძრა ინგლისის ვაჭრები და პარლამენტმა 1766 წ. გააუქმა შტემპელის აკტი, მაგრამ ის კი გამოაცხადა, მმართებლობას შეუძლიანო, რომ კოლონისტებს ხარკი დაადვასო.

ამ დროს იყო ლონდონში მასსაჩუზეტსისაგან გაგზავნილი დეპუტატი თვრანკლინი, რომელმაც დაიწერა მასსაჩუზეტსის გუბერნატორისაგან უმაღლესს მმართებლობასთან გაგზავნილი ქაღალდები, რომელშიაც ის ურჩევდა მმართებლობას, სჯობიან რომ სახტიკად მოექცეთო კოლონისტებს და ეს ქაღალდები თვრანკლინმა გაგზავნა ამერიკაში. ამისთვის ის მიიხმეს საიდუმლო რჩევაში; მმართებლობა მოექცა მას რაგორც მოღალატეს. ამერიკელები გაცთებლობა ხარდნენ. მმართებლობამ დაარღვია ბაჟის აკტი, დასტოვა მხოლოდ

ჩაის ბაჟი, გირვანქაზედ სამი პენსი (7); მაგრამ კოლონისტებს ამითი გული არ შეუჯერდათ. არც ერთს ნავთ სადგურთან არ მიუშვეს ჩაით დატვირთული ოსტინდიის კომპანიის გემები. იმათ მხოლოდ ბოსტონში მიდგომა შეეძლოთ, რადგანაც იქ ინგლისის სამხედრო გემები იცავდნენ მათ. მაგრამ 18 დეკემ. 1773 წ. რამოდენიმე დაიარაღებული ბოსტონელები, ველურ კაცებსავით ჩაცმულნი, შემოეხვივნენ გარეშემო ჩაით დატვირთულს გემს და 18 ათასი გირვანქა სტერლინგის საქონელი გადაჰყარეს ზღვაში. მმართებლობამ რომ ეს შეიტყო, ბოსტონის ნავთსადგურიც დახურა ლ მასსაჩუზეტსის თავისუფლებაც დაარღვია. ამისთანა ზომაებმა უფრო შეაერთა კოლონისტები თანხმობითა. 1774 წ. სექტემბრის თვეში 12-მა კოლონიამ შეადგინა ფილადელფიის ქალაქში საზოგადო კონგრესი, რომელსაც შემდგომს წელიწადში მიემატა ჩრდილოეთის კაროლინაცა და გადასწყვიტეს, რომ ამას იქით ინგლისთან ვაჭრობა მოსპობილიო. შემდგომ კონგრესსი დაიხურა და მეორე შეკრებისათვის დანიშნეს 10 მაისი 1775 წ.; მაგრამ კრებამდის ომიც დაიწყო მეტროპოლიასა და კოლონიებს შუა. ჩვენ არ გიამბობთ ომის მსვლელობას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამერიკელები ძლიერ მამაცად ომობდნენ, ქალები სწირავდნენ საზოგადო საქმისათვის თავის ქონებასა, მღვდლები ამხნევებდნენ ხალხს ქადაგებებითა. ერთი სიტყვით ისე კარგად მიჰყავდათ ამერიკელებს თავისი საქმე, რომ მრთელი ევროპა იმათ შეჰყურებდა. ვინ არ იყო იმათს ბაირახს ქვეშ, თვრანცუზები, პოლშელები, ირლანდიელები თუ ვინ? ამ ომში ამერიკელების მომხრეებათ იყვნენ თითქმის მრთელი ევროპის სახელმწიფოები. ომი გათავდა ა ამითი: 3 სექტემ. 1783 წ. მოხდა ვერსალში (8) კარიგება, რომლის ძალით ჩრდილოეთის ამერიკის კოლონიები განთავისუფლდნენ ინგლისის ხელქვეშიდამ. განთავისუფლდნენ კი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საქმეე-

(7) პენსი ინგლისელი ერკვაპეიკ ნახევრიანი ფულია.

(8) ვერსალი—ქალაქი პარიყის სიახლოვეს.

ბი ჰქონდათ წინა. ამ ახალს სახელმწიფოს დაადვა ომმა 43 მილიონი დოლარი ვალი; ჯეუალური პოლიტიკური დაწყობილება ჯერ არ იყო შტატებში, საცა იყვნენ ორი პარტია სხვა და სხვა დაწყობილების მოსურნე. 1787 წ. კონგრესმა მიიწვია ფილადელფიაში პოლიტიკურის დაწყობილებისათვის კანონების შესადგენად დეპუტატები, ამორჩეული განგებ ამ საქმისათვის. ამ დეპუტატების კრებამ შეადგინა ის ფედერაციულ-დემოკრატიული კანონები, რომელნიც მიიღეს 1789 წ. ყველა შტატებმა და რომელნიც არიან აქამდისაც, თუმცა რამოდენიმედ შეცვლილნი.

II.

ამერიკის დემოკრატიის დასაწყისები და ევროპიელების ამერიკაში გადასახლების მიზეზები.—ჩრდილოეთის ამერიკის შტატების პოლიტიკური დაწყობილება.

ამერიკის დემოკრატია (9) მოამდინარეობს იმ ისტორიულის გარემოებისაგან, რომელთ გავლენითაც შეკავშირდნენ იქაური პირვანდელი მოსახლეების პოლიტიკური რწმუნებები; ამის განსამტკიცებ-

(9) დემოკრატიაა ხალხის მმართებლობა ე. ი. იმისთანა ხალხის მმართებლობა, რომელშიაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ხალხსა, რომლის წევრებსაც თანასწორი სიმართლე აქვსთ. იმ გაცს, რომელიც ხალხის მმართებლობის დაწესებისათვის ზრუნავს, ეძახიან «დემოკრატს». რამოდენიმე სახელმწიფო ერთად შეერთებული, ისე რომ თვითოეული მათგანი საკუთარს საქმეებს თვითონ სწყვეტდეს, მაგრამ საზოგადო საქმეებისათვის კი ჰქონდესთ მათ დანიშნული საერთო მმართებლობა, არის ფედერაციული სახელმწიფო ანუ ფედერაცია. ვინც ამ გვარის სახელმწიფოის შედგენას სცდილობს იმას ფედერალისტი ჰქვიან. თუ ფედერაცია და დემოკრატია ერთისა და იმავე სახელმწიფოშია, მაგ. როგორც ამერიკაშია ისე, მაშინ იტყვიან ეს სახელმწიფო «ფედერაციულ-დემკრატიულია.»

ბელად ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება ძველი ქვეყნის (1) ისტორიასა.

ისტორიის სრული მსოფლიობა გვიჩვენებს, რომ პირველობის სიმართლე თანდის თან მატულობდა, რომ კაცები განთავისუფლდებოდნენ იმ სავტორიტეტებისაგან (2), რომელნიც დაჭბადა ცრუ მორწმუნეობამ და უმეცრებამ. შუა-საუკუნეების ევროპის ისტორია ამის ჭეშმარიტ ერთი უცხადეს დამტკიცებათაგანი. პაპების სავტორი-

---

(1) ძველი ქვეყნებია ევროპა, აზია და აფრიკა, და ძველებ ამისათვის ეძახიან იმათ, რომ ძველთგანვე იცოდნენ იმათი არსებობა ევროპიელებმა. აქ ძველი ქვეყანა ევროპას ნიშნავს.

(2) სავტორიტეტი—ის, რასაც, ან ვისაც განუსჯელად ერწმუნები, შენი სავტორიტეტია. — მაგ. ერთი კინმე რომ დარწმუნებული იყოს ყარამანიანში რაც სწერია ყველა მართალი არის და ამბობდეს, მისს წინააღმდეგს რასმეს ყურში არ შეეუშვებო; ან, მკითხველი რასაც ამბობენ ყველა მართალი არისო, მაშინ იტყვიან ამ კაცს ყარამანიანისა და მკითხველის სავტორიტეტი სწამსო, ამ კაცის სავტორიტეტი ესა და ეს არისო. თუ დაუმტკიცე ყარამანიანის სიცრუე და მკითხველის სიფლიდე და ის კაცი ალარ ერწმუნა იმათ, მაშინ იტყვიან იმის სავტორიტეტები დაეცნენო, ის განთავისუფლდაო სავტორიტეტებისაგან. იმ კაცზედ, რომელიც სხვის ჭკუაზედ დადის და არა თავისაზედ, იტყვიან სავტორიტეტი ჭეავსო.—კიდევ: შუა საუკუნეებში პაპების სავტორიტეტი ისე დიდი იყო, რომ მრთელი დასავლეთის ევროპის სახელმწიფოები თითქმის მისს ხელში იყო, ისე ეშინოდათ იმისი და კანკალებდნენ იმის წინ; თითქმის ის ატრიალებდა მაშინდელს პოლიტიკურს საქმეებს. მას შეეძლო ხელმწიფეები და მრთელი სახელმწიფოები შეეჩვენებინა. პეტრეს საყდრისათვის რომ თუ ები, ან ადგილი მამული შეეწირა კისმეს, პაპ განთავისუფლებდა მას შენდობის წიგნით (ინდულგენციით) არა თუ იმ ცოდვებისაგან, რომელნიც უქმნია მას თავის სიცოცხლეში, ის განთავისუფლებდა წინდაწინ შემდგომის ცოდვებისაგანაც; ასე

ტეტის თანდისთანი გაჭრობა, ფეოდალური სისტემის (3) დაცემა, სამოქალაქო საზოგადოებების გამძლავრება, პარლამენტების და-

---

რომ როგორც იმ დროში სწამდათ, კაცს შეეძლო ინდუღგენცია აღო და მერმე რამდენიც უნდოდა იმდენს ცუდს საქმეს იქმოდა, რადგანაც იმედი ჭქონდა, რომ ამ ინდუღგენციით სამოთხის კარებს შეკამტვრევდა.

[3) სისტემა ნიშნავს რიგს, წესს; დაწყობის რიგს; რომელიმე სწავლის რიგზედ მოყვანას და გარდამოცემას.

შუა საუკუნეებში იყო დასავლეთს ევროპაში ერთნაირი წოდებების ერთი ერთმანეთზედ დამოკიდებულება, რომელიც ემგზავსება ჩვენებურს თავად აზნაურების და გლეხების დამოკიდებულებას. როცა მაგალითად, რომელიმე გერმანიელი კოროლი დაიპყრობდა რომის იმპერიის ნაწილს, მიწას ჭყოფდა სამ ნაწილად, ერთი ნაწილი და ამასთანავე ყველა საიმპერატორო საკუთრება მიჭქონდა თვითონ კოროლს; მეორეს უნაწილებდა მხლებელებს, იმ პირობით რომ მშვიდობის დროს სასახლეში ემსახურნათ და ომის დროს სამხედრო სამსახური აესრულებინათ; მესამეს უტოვებდა ადგილობრივს ხალხს, იმ პირობით, რომ ღალა ექლიათ. მხლებელები, რომელთაც მიწა უბოძა კოროლმა, შეადგენდა თავის უფალს-წოდებას. კოროლს უნდოდა რასაკვირველია, რომ ეს თავისუფალი კაცები ძლიერ ერთგულები ყოფილიყვნენ მისი და ამისთვის, ვინც იმათგანი ცოტადენს სიერთგულეს და სიმხნეს გამოიჩენდა, იმას აძლევდა ისა საჩუქრად თავისი საკუთარი მიწის ნაწილს (ლენი, ბენეფიციუმი); ამ დასაჩუქრებულს ეწოდებოდა «მელენე ყმა» ანუ «ვასსალი», და კოროლს «მელენე უფალი». ნაჩუქარი მიწა ან დროებით იყო მიცემული, ან პირობებით საკუთრებად, რომელსაც კოროლი წაართმევდა, თუ რომ ვასსალი კარგად არ ასრულებდა პირობას. მაგრამ შემდგომში, დროებითი საკუთრება სამკვიდროდ მიითვისეს ვასსალებმა და ისე გაძლიერდნენ, რომ თვითონაც კოროლსავით ცხოვრებდნენ; ჭქონდათ თავიანთი სასახლეები, ციხეები; ომის დაწყება, შერიგება და სხვ . თვითონვე შეეძლოთ უკოროლოდ. თავის მხრით ვას-

ფუძნება,—ყველა ეს შეასაუკუნური ისტორიის წარმოებანი ვეიწ-
სალები სხვა დარიბ-თავისუფლებს ასაჩუქრებდნენ ლენებით თავის
საკუთრებისაკენ. აგრეთვე ეპისკოპოსები და აბბატებიც, რომელ-
ნიც კაროლის ვასსალები იყვნენ, აძლევდნენ ლენებს რაინდებსა, რო-
მელთაც უნდა დაეცვათ მოსასტრები.—ზოგიერთი თავისუფლები,
თუ იმისათვის რომ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლდნენ,
თუ იძულებული უმდიდრესის ვასსალობისაგან, სრულიად ეუმეს კორო-
ლის ვასსალებს, მიწა იმათ შეატოვეს თუ ნებით, თუ უნებურად; ბეგ-
რად დაადვეს ამ ყმებს მიწის ლალა, სამსახური და მუშაობა. იმ დრო-
ში იყვნენ კიდევ სხვა გლეხებიცა, რომელნიც მიწას ეკუთვნოდნენ,
ე. ი. ვისაც მიწას მისცემდნენ, ეს გლეხებიც იმას უნდა ყმობოდ-
ნენ. ამ გლეხებს არათერი სიმართლე არ ჰქონდათ მიცემული, ეპ-
ყრობოდნენ იმათ ისე, როგორც ტყვეებს. თავისუფლებთაგან ზო-
გიერთმა დაიცვეს დაუმოკიდებლობა, თავისი სიმდიდრის გამო, ს
ისინი იწოდებოდნენ ბარონებად. მტაცებლობა, ომი, გზაზედ ცარ-
ცვა, კაცის კვლა და სხვა ამ გვარი თითქო ხელობა იყო მაშინ-
დელი საერო და სასულიერო კაცებისა; ვასსალები ერთმანეთს აი-
კლებდნენ; დარიბები იმისთვის ემორჩილებოდნენ მძლავრ ვასსალს
რომ დაიცვას ისინი, რომ ის ყოფილიყო იმათი შემწე. პატრო-
ნი. მაგრამ ვაის გაგეყარე და ვუის შეგეყარეო, ისე და ემართათ
იმათ. სანამ თავისუფალნი იყვნენ, მანემდის იმისთვის იკლებდნენ,
რომ დარიბისაო და როცა ვასსალს ეყმენ, ახლა იმისთვის ატარებ-
დნენ მათ სახლ კარს, რომ ჩემს მტერს ვასსალს ეკუთვნიანო.—
აგრე, ყველაზედ უფრო ადი იყო კოროლი, იმას ქვეით ვასსალი, რო-
გორც სასულიერო წოდების, აგრეთვე საერო; კოროლის ვასსა-
ლებზედ უფრო დაბალი ხარისხის, მაგრამ მათზედ დაუმოკიდებე-
ლი, იყო ბარონი. ვასსალს შემდეგ უცროსი ვასსალი და რაინდი;
ბოლოს გლეხი და ტყვე. ეს სხვა და სხვა წოდებების ერთმანეთ-
ზედ დამოკიდებულება, რომელიც ართმევდა თავისუფლებას, რო-
გორც მაღალის წოდების კაცებს, ისე დაბალისას, და რომელის ბი-
რობებიც ძლიერ დაიხლართა შემდგომისათვის, იწოდება ლენურ
დაწყობილებად, ფეოდალურ სისტემად, ფეოდალიზმად.

როებდნენ არისტოკრატიულს პრინციპებს (4) და აკრძალებდნენ პირადობის კაცობრივს სიმართლეს. რეფორმაციის ეპოქის (5) დროს პირადობამ ცხადად მოითხოვა თავისი სიმართლე: რელიგიაში (6) ჯკუამ მოითხოვა თავისუფლება სალვთო წერილის ასახსნელად, ერთი ერთმანეთის შორისს საქმეებში მოინდომეს უფრო მტკიცე გარანტიები (7),

რო მალლა, ვინემ ევროპის სხვა მხარეებში. პარტიების აწყლობი-თი ბრძოლა, ნიადაგ მიიზიდავდა მრავალს მოქალაქეებს იმათ სამ-შობლოს პოლიტიკურის საქმეებისათვის, და ამითი რასაკვირველია უსათლდებოდათ მათ ჭაზრები სიმართლესა და კანონიერებაზედ და ესსნებოდათ ჭეშმარიტის თავისუფლების საჭიროება. კომმუნური დაწყობილება (8), რომელსაც ძლიერ ლრმად გაესხა ფესვები ინგ-

(8) გსთქვათ რომ არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც კერ-ძოობითი საკუთრება არ არის, ე. ი. საცა მიწა საზიარო (საე-რთო, დაუყოფელი), საცა საზოგადოების წევრები ყველათვერს ზი-არად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ზიარად ხარჯავენ, საცა ყველა წევრები თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილებს საზო-გადო ხარჯზედ ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსაჯუ-ლება თვითონ ხალხს ეკუთვნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწო-ლებენ «კომმუნას». ძველს დროში ყოველს ხალხის საზოგადოება-ებს რაღაც ამისი მზგავსი დაწყობილება ჭქონიათ ე. ი. კომმუნუ-რი, და ახლაც არის ზოგიერთს ხალხში. ისტორია წარმოგვიდგენს მრავალს მაგალითს. ერთი ამათგანია გერმანიელი ხალხების ძველი ზოგადაწყობილება. ინგლისელები, რომლებსაც აქ იხსენებს რუსუ-ლი მწერალი, არის გერმანიელი ხალხი, რომელიც მეხუთე საუკუ-ნეში გადასულა ბრიტანიის კუნძულზედ, სადაც გადიტანეს იმათ თავისი წესიც. ინგლისელებს (უწინ ანგლები და საქსები) ჭქონდათ ბირველად საზოგადო მიწა; საზოგადო საქმეებს სწყვეტდა ხალხის კრება; ჭყავდათ ხალხისაგან ამორჩეული მოხელე კაცები.—მეთერთ-მეტე საუკუნეში ბრიტანიაში დაეფუძნა ფეოდალური სისტემა და მას აქეთ ინგლისელებს არა ჭქონიათ საზოგადო მიწა. მიწა ჩაიგდეს ხელში დამბყრობელმა კორლმა და მის მხლებელ მხედრებმა. მა-გრამ თავისუფლება, მონაწილეობა საზოგადო საქმეებში და კომ-მუნური ხასიათი არას დროს არ დაუკარგავთ ინგლისელებს. ამ თვი-სებებით განირჩევიან შემდგომში როგორც ქალაქების და სოფ-ლების საზოგადოებები, ისე საერთო შრომა პატარ-პატარა სა-

ლისელების საზოგადო ზნეში, მხარს აძლევდა ხალხისაგან ფასვისის ძალის გრძნობასა; და რელიგიური სექტები (9) გამოითხოვდნენ საზოგადოებას უმაღლესის სასულიერო კითხვაების მართლად განსჯისათვის და ამიტი დაასრულებდნენ მისს ზნეობითს განათლებას. ახალი ინგლისის კოლონიების საფუძველი დასდვეს XVII საუკუნის დასასწყისში ერთის ძლიერ მადალი ზნეობის სექტის კაცებმა. ესენი იყვნენ პურიტანები, რომელნიც გავიდნენ სამშობლოდან რელიგიურის შეკიწროებისაგან სტიუარტების დროს (10). გადასახლების დროს იმათ ცხადად განისაზღვრეს მიზანი და მოქმედებაების ხასიათი, რომლთაც ისინი უნდა მიჰყოლოდნენ. მათის გარდაწყვეტილების საზოგადოდ დარჩენილა შემდეგი აკტი, შედგენილი იმათგან ამერიკაში მისვლისთანავე:

ზოგადოებაებში (ასოციაციები). ერთის სიტყვით ინგლისელებმა იმდენად გაიტანეს საქმე, რომ ეხლანდელს ინგლისელს მსაჯულებაში ს მმართველობაში ისევ ის უწინდელი წესობილებაა საფუძველად.— მუდამ ეოთვილან და არიან კიდეც იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომუნურს დაწყობილებაში ხედვენ ზოგად-წყობილების იდეალსა, და ამბობენ რომ კაცობრიობა ამ ადეალისაკენ მიისწრაფოისა, რომ კაცობრიობის ზოგად-წყობილების ბრაგრესსი, წინ მსვლელობა ის არისა, რომ ახლადებოდესა ძველებური კომუნური წყობილება, მაგრამ ამასთანავე ეთვრა ეხსნებოდესა, ეთვრა სისრულეში მოდიოდესა.—კაცობრიობას ჯერ ვერ მიეწევიან ამ იდეალთან' სხვა და სხვა გარეგან გარემოებაების გამო და ამისთვის ყოველი კაცი იმას უნდა სცდილობდესა, რომ ეს გარემოებაები ლობესაგით გადაამტვრიოსა. მაგრამ იმათ ვინ აჭყვება.

(9) რელიგიური სექტა—რელიგიური ბარტია, რომელიც დასტილებია სარწმუნოებას მხოლოდ იმისთვის, რომ ალბო ვითანხმება მას ზოგიერთის წვრილმან დოგმატებში ან დვთის მსახურების გარეგან წესში.

(10) სტუარტები იმ გოროლების გვარია, რომელნიც მეფობდნენ ინგლისში მრავლის მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში.

«ჩვენ ქვემო ამისა ხელის მომწერნი, რომელნიც გამოვემგზავრეთ აქეთკენ, იმისთვის რომ ღვთის სადიდებელად, ქრისტიანობის განსავრცელებელად, ჩვენის კორონის და სამშობლოს სასიქადულოდ დავაფუძნოთ კოლონია ჩრდილოეთის ვირგინიაში, საქვეყნოდ, ღვთისა და კაცის წინაშე ვაცხადებ, რომ ჩვენ ვადგენთ ერთს პოლიტიკურს და სამოქალაქო საზოგადოებას, იმ ჭვეშრით, რომ დავიცვათ ერთმანეთის შორის წესიერება და ავასრულოთ წინათ განზრახული მიზანი. ამ პირობით ჩვენ ჩვენს საზოგადოებაში უნდა მივიღოთ იმისთანა კანონები, იმისთანა წესდებულება, დავაფუძნოთ იმისთანა დაწესებულებანი და მივსცეთ თანასმდებობა იმისთანა კაცებს, რომ ჩვენთვის მიუცილებელი იყოს და სასარგებლო. იმათ ჩვენ შევპირდეთ სრული მორჩილება, ქრისტეს აქეთ 1620 წ.— 11 ნოემბერს.»

ამ აკტს დავუმატოთ კიდევ რამოდენიმე სიტყვა, რომ ავხსნათ, თუ რა მიზეზებისაგამო გადასახლდებოდნენ პურიტანები ინგლისიდამ.

«ქვეყანას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ (ამბობდნენ გადასახლების მსურველნი) მგონია მოჭბეზრდა თავისი მცხოვრებლები; კაცს, ქმნულებათაგანს უკეთლშობილურს, უფრო ცოტა პატივსა სცემენ აქ, ვიდრემ მიწას, რომელზედაც ის დადის. ყმაწვილებს, მეზობლებს, მეგობრებს უყურებენ იმ ნაირის თვალით, როგორც მძიმეს ტვირთს. ლირიბს კაცს ყურს არ უგდებენ. შეურაცხყოფენ ყველაფერს, რაც უნდა იყოს კაცისათვის უუდიესი ქვეყანაზედ სიამოვნება, თუ რომ ბუნებითი წყობილება არ იყოს დარღვეული. ჩვენმა სურვილმა იმდენზედ მიაწია, რომ კაცს არ შეუძლიან გმაყოფილებით იცხოვროს, ისე იცხოვროს, რომ დაიცვას თავისი ღირსება თანასწორების წრეში. ⁄ თუ ვინმემ ვერ მოახერხა ესა, ყველას ის ეზიზღება, ყველა მას სამასხარაოდ იგდებს. აქედამ ეს გამოდის, რომ ყველა გვარ საქმიანობაში გართული კაცი იმასა სცდილობს, რომ როგორმე გამდიდრდეს, თუნდ ბოროტის ღონისძიებითაც. ამისათვის პატიოსანს კაცებს ძლიერ უჭირთ გმაყოფილებით ცხოვრება, ისე რომ არ შეუ-

რაცხვენ ისინი.—სასწავლებლები, რომელშიაც სწავლიან სხვა და სხვა მეცნიერებასა და რელიგიასა, ისეთები არიან, რომ უმეტესი ნაწილი უმაწვილებთაგან სრულიად ფუჭდება და ხშირად ძლიერ ნიჭიერებიც, რომელთაგანაც ძლიერ ბევრს უნდა მოელოდებოდით; ფუჭდებიან იმისათვის, რომ ცუდს მაგალითებსა ხედვენ, ცუდს ზნეობას. განა მრთელი ქვეყანა ღვთისა არ არის? განა ადამსა და ევას და მათს შთამომავლობას არ მისცა ის ღმერთმა დასამუშავებელად? რასთვის ვკვდებით აქ შიმშილით უმიწობისაგამო, მაშინ როდესაც ფართო ფართო ქვეყნები, რომელნიც არიან ყველას საკუთრება, უდაბურად და დაუმუშავებელად რჩებიან?»

აგრე, პურიტანების გადასახლება წარმოსდგებოდა რელიგიურის გრძნობისაგან. მაგრამ იმათი რელიგია კი იმისთანა იყო, რომ იმას არა ოდეს არ ექნებოდა ის შედეგი, რომელიც წარმოსდგა კათოლიკის რელიგიისაგან. ახალის ინგლისის პირველს მოსახლეებს პირველ ოვანის აგტორიტეტების წინ დამდაბლება ს ჭეშის სიმართლის დამტკიცება კი არ გამოუცხადებიათ, იმათ გამოცხადეს საზოგადოების ყველა წევრის თავისუფალი ძმობა და სწავლათ გავრცელების დიდი თავისუფლება. ამერიკის სამართლის წიგნში, შედგენილს 1620 წ. არის შემდგომი მუხლი: «რადგანაც სატანა, კაცობრიობის მტერი, ყოველთვის უსწავლელს კაცებს შეუჩნდება და რადგანაც ამისათვის სჯილა, რომ მეცნიერების ნათელი, რომელიც მოუტანიათ აქ ჩვენს მამებს, არ ჩაჭყვეს მათ სოფლაგში; რადგანაც უმაწვილების გაზრდა შეადგენს სახელმწიფოს უპირველეს ინტერესს ანუ საჭიროებას, ამისათვის ვსდებთ ყველა საზოგადოების გალად, რომ გაიგეთოთ თავთავისთვის შკოლები და თუ ვინიცობაა ეს არ ასრულეთ გადაგხდებათ ჯარიმა.» აი თუ როგორ წარმოსდგა კანონიერად გახსნილის რელიგიურის გრძნობისაგან ხალხის საზოგადო განათლების მოთხოვნილება. ამავე გრძნობისაგან მომდინარეობს პურიტანების სამოქალაქო თავისუფლებისადმი მისწრაფებაცა. აი იმათი აზრი ამ საგანზედ:

«ჩვენ არ უნდა ვატყუებდეთ ერთმანერთს იმაში, თუ რაში

უნდა მდგომარეობდეს ჩვენი დაუმოკიდებლობა ანუ თავის უფლებაა. არის ერთ გვარი თავისუფლება, თავისუფლება უგუნური, საზოგადო კაცისა ჯ ცხოველებისათვის, რომელიც მოითხოვს: რაც გსურდეს, ის იმოქმედო; ამისთანა თავისუფლება ყოველ გვარის მთავრობის მტერია; ამას სძულს ყოველი წესი, ყოველი კანონი; ამითი ჩვენ თავს ვიმდაბლებთ; ის არის ჭეშმარიტებისა და მშვიდობის მტერი, თვით ღმერთის მისი წინააღმდეგი. მაგრამ არის კიდევ მეორე თავისუფლება, საამოქალაქო და ზნეობითი, რომელიც დამყარებულია ერთობაზედ და რომელსაც მხარი უნდა მისცეს ყოველმა მთავრობამ. ეს არის ჭეშმარიტი თავის უფლება, რომლითაც უშიშრად ვმოქმედობთ მას, რაც კარგია და საამართლიანი. ეს წმინდა თავისუფლება უნდა დავიცვათ ჩვენ ყოველს შემთხვევაში ჯ, თუმცა საჭიროა იქნეს, შევსწიროთ მას თავისი სიცოცხლეც »

ცხადია, რომ ამ გვარად თავისუფლების განმარტებით ამოიწურება ბრმა, უგუნური თვით მონებელობა და შეიწყნარება ჭეშმარიტი რწმუნების სიმართლე. კაცმა უნდა იმოქმედოს, მაგრამ, რაც მოაგონდება ყველა კი არა, მხოლოდ ის, რაც კარგია და საამართლიანი. ამითი ძლიერ დიდი თავისუფლება ეძლევა კაცს საჯაროში; ამას შეუძლიან თავისუფლად განსაჯოს, თუ რა საამართლიანი და რა უსამართლო, რა არის კარგი და რა ცუდი; . . . . .

. . . . . .

. . . . . ამით საზოგადოებაში ამ დასაყოისაგან საწარმოებს ჭეშმარიტ ბაზედ და ყოველის წევრის სიმართლის თანასწორობაზედ. მართალია აგრე მოხდა ეს საზოგადოებებშიც, რომელნიც შესდგენ ნებიერობითის ამერიკაში. სრული დემოკრატიული თავისუფლება არის ყველა ამათის განიერი სათუმველი.

მაგრამ, რომ სთქვას კაცმა, მარტო პურიტანული ჭეშმარიტები არ შეწევნიან ახალს ინგლისში დემოკრატიის გავრცელებასა, გარეგან გარემოებებმაც ბევრი უშველეს. პირველად ეი რამ: იმ კაცებს, რომელნიც გადასახლდნენ ამერიკაში, სრულიად არაფერი ცოლება არა

ქონიათ ერთი ერთმანეთის უფლებაზედ. თუმცა სამშობლოში სხვა და სხვა ხარისხი ქონდათ იმათ, მაგრამ საერთო უბედურებამ გაასწორეს ისინი. რაკი ახალს ნიადაგზედ ფეხი დაადგეს, ძლიერ კარგად მიხვდნეს, რომ აქ ყველანი სიმართლე ერთია და რომ ყოველს გვარობითის ბრიგილეგიას (11), ყოველს საზოგადოებითის იერარხიის (12) სხვადასხვაობას, რომელნიც დასტოვეს იმათ ოკეანეს იქით, აქ არათერი ჭაზრი არ ექნებაო. ამას გარდა, ამერიკაში რას უნდა ეგვებ და დაეცვა არისტოკრატიული ჭაზრები. ყველამ იცის, რომ არისტოკრატიის საფუძველი ყოფილა ყოველთვის მიწის საკუთრება, რომელიც მემკვიდრეობით გადადის მამისაგან შვილზედ. მიწაზედ იყო დამყარებული ყოველთვის არისტოკრატების დიდი მნიშნველობა, იმაზედ იყო დაფუძნებული იმათი სიმართლე, უმიწოდ არათერს არ ნიშნავდა იმათი მალალი ხარისხი, იმათი საპატიო წოდება. ამერიკაში მიწა არ ყოფილა არავის განსაკუთრებითს მფლობელობაში. ბურიტანების ჭაზრით, მიწა იყო ღვთის საკუთრება, რომლითაც ყველას ერთ ნაირად შეუძლიან ისარგებლოს. მართლადაც რომ ყოველს ახალს მოსახლეს მიჰქონდა იმ თავლუწოლის და ხელუხლებელის მიწებისაგან იმდენი, რამდენის დამუშავებაც შეეძლო, რამდენიც მისთვის საჭირო იყო. თავდაპირველად, როგორც ახალს ინგლისში, ისე კირგინიაშიაც მიწის დამუშავებაც საზოგადო იყო. საიდან უნდა გაჩენილიყო მიწის საკუთრებაზედ დამყარებული არისტოკრატია? თუმცა მართალია ა-

---

(11) ბრიგილეგია—განსხვავებული ან მომეტებული სიმართლე. მაგ. ჩვენში თავად აზნაურებს უფრო ბევრი სიმართლე აქვსთ მიცემული, ვინემ გლეხებს.—

(12) იერარხია — უცრეს უფროსობა რომელიმე საზოგადოების დაწყობილებაში, ან მმართველობაში. მაგ. გლეხი, აზნაური, თავადი არის საზოგადოებითი იერარხია; დიაკვანი, მღვდელი, ეპისკოპოსი სასულიერო წოდების იერარხია.—მართველობაში—მაზრის ნაჩალნიკი, უეზდის ნაჩალნიკი, გუბერნატორი და სხვ....

მერიკაშიაც გადასახლდნენ იმისთანანები, რომელნიც მედიდურობდნენ თავის ოჯოდალურის მნიშვნელობით, რომელნიც თავისდა წილად ისაკუთრებდნენ დიდს ადგილებს ბ ამაში მოდავე არა ჩუენვდათ; მაგრამ მათს მიწასედ ვინ დაესახლებოდა, რომ იმათ გასსალად გამხდარიყო, რომ იმათთვის ექმნა ლალ; — თვალუწოდმელი დაუჭერელი ადგილები იწყეენდნენ ყოველს ახალს მოსახლეს. აგრე, მიწის საკუთრებაზედ დამყარებულმა არისტოკრატიამ თავდაბირველად ფესი ვერ დიდგა ჩრდილოეთის ამერიკაში: ის ვერ შეითვისა ვერც ინდიანელებმა, ვერც ბირვანდელის მცხოვრებლების ზნემ და რწმუნებებმა.

ვირგინიაში, ს

ებში ამისთანა კაცები მრავალნი არ ყოფილან; უფრო ხშირად მიდიოდნენ იქით ისინი, ვისაც არ შეეძლო მოეთმინა ევროპაში პოლიტიკური და რელიგიური დევნულება და შემდგომისათვის კი გადასხლებულებმა შეადგინეს სამოქალაქო საზოგადოებანი და დაიწყეს თავისი საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება. მაშინ ძლიერ გვიან იყო, ძველი ევროპიული დასაწყისების განკრცელება ამერიკის საზოგადოებებში შეუძლებელი იყო მაშინ, მეტადრე იმისთვის, რომ ჩრდილოეთის ამერიკის პოლიტიკური დაწყობილება სულ სხვა გზით წავიდა, ვინემ ევროპისა. ევროპაში სახელმწიფოების ფორმა დაწესდა უფრო უწინ, ვინემ ხალხებში გაკრცელდებოდა პოლიტიკური შეგნება. თვითოეულს საზოგადოებას არაოდეს არა ჰქონია აქ საკუთარი, განკერძოებითი მეფობა; სახელმწიფოს ცხოვრების დასაწყისები იმათში კი არ გაკრცელებულან თავდაპირველად, ისინი გავრცელდნენ უმაღლესს წოდებებში, რომელნიც მოცილებული იყვნენ ხალხის ცხოვრებისაგან. ამ გარემოებას გაკლენა ჰქონდა ევროპიელ სახელმწიფოების დაარსებაზედ შემდგომისათვის. აქ ყველაფერი იმისთანა წესდებოდა რაც სახელმწიფოს განსაძლავრებლად ჰქონდა: სკოლის მდებელობას სახეში ჰქონდა უმაღლესი პოლიტიკური ინტერესები, ადმინისტრაცია (14) სახელმწიფოის თვითოეულის ნაწილისათვის იყო იმისთანა, როგორც საზოგადო, მაგრამ საზოგადო საქმეებში კი ძლიერ იშვიათად ეძლეოდა ხალხს მონაწილეობა. ამერიკაში სულ სხვა ამბავი მოხდა: სახელმწიფოს ესე იგი მეტრაპოლიას, დიდი გაკლენა არა ჰქონია კოლონიებზედ საზოგადოდ და ახალი ინგლისი მაინც სულ თუ ჯის ქვეშევრდომობის ფორმას ასრულებდა. ინგლისის მმართებლობამ მისცა ემიგრანტებს ის სიმართლე, რომ იმათ შეეძლოთ სამოქალაქო საზოგადოებანი შეედგინათ და თავისი მმართებლობაც ჰყოლოდათ, მაგრამ ყოფილიყვნენ კი ინგლისის მფარველობას ქვეშ. აი ამ გვარად, დასაწყისიდგანვე ამერიკელი საზოგადოებანი ცხოვ-

(14) ადმინისტრაცია—მმართველობა.—

რებდნენ საკუთრის პოლიტიკურის წესდებულებით. ინგლისის მმართებლობა იყო იმათი გარეგანი მფლობელი, მაგრამ შინ კი თავისუფალნი იყვნენ და ითუმნებდნენ დემოკრატიულს დაწესებულებასებს. საზოგადოებებისგან შესდგა საგრათო, რომელიც დაწესებულებებით სრულიად ემსგავსებოდა საზოგადოებასა; რამოდენიმე საგრათომ შეადგინა შტატი და ბოლოს შეერთებულის შტატებისგან ინგლის ხელ ქვეშიდამ განთავისუფლების შემდეგ შეკავშირდნენ ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები. მაშასადამე, აქ ცალკე ნაწილები კი არ შემდგარან სახელმწიფოის გაგულით, სახელმწიფო შესდგა ბატარეანი საზოგადოებების თანდისთანი შეერთებით. აქედამ გამოვიდა ის ჩრდილოეთის ამერიკის შტატების განსხვავებითი თვისება, რომ იმათში სრულიად არ არის ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია (15) და თვითეული საზოგადოება შინაურს საქმეებში სრულიად თავისუფალია საგრათოს და შტატის მმართებლობისგან. სახელმწიფოის ნაწილების ამ გვარი შეკავშირება ადვილად გაგაგებინებსთ იმ ხალხის დემოკრატიულს სრულის სიმართლის ქონებას, რომელიც დაემკვიდრა ჩრდილოეთის ამერიკაში. ქალაქებისა და სოფლების საზოგადოებები სდგანან აქამდისაც ბრიგელს ადგილზედ შეერთებულის შტატების პოლიტიკურს წყობილებაში. იმათშია საქმიანი ცხოვრება, იქ დაიბადებიან უბირველესი შინაგანს საქმეებზედ კითხვები, რომელნიც შემდეგ გადადიან კონგრესში განსასჯელად. განცალკევებულის საზოგადოების მნიშვნელო-

---

(15) თუ რომელიმე სახელმწიფოში ყოველიგე მაზრა თავისუფლად მართავს თავის თავს, როგორც მმართველობაში ისე მსჯელობებში, საცა მაზრის საქმეები იშვიათად მიაწევს სელმწიფოის ყურამდის, ან ყველა მაზრების საზოგადო სასამართლომდის, მაშინ იტყვიან იმ სახელმწიფოში დეცენტრალიზაციაა; თუ თავუუფლმა არის ე. ი. თუ სახელმწიფოის ყველა საქმეები ერთის კაცის ხელში ან ერთს საზოგადო სამართლოში გადის, მაშინ იქ ცენტრალიზაცია იქნება.

ბა და დაწყობილება უფრო შესანიშნავია ჩვენთვის და საცოდნელათაც სასურველი, რადგანაც იმისაგან აიხსნება შეერთებული შტატების მრთელი კონსტიტუცია. საზოგადოდ, უმაღლესი დაწესებულებების დაწყობილებას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს საზელმწიფოში, როგორათაც იმათ, რომელთაც პირდაპირ ხალხთან აქვთ საქმე. ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში სასამართლოებს, რომელნიც ეკუთვნიან განცალკევებულის საზოგადოების დაწყობილებას, იმ ნაირივე მნიშვნელობა აქვთ, როგორათაც სახალხო შკოლებს ხალხის განათლებისათვის. უნივერსიტეტებისა და აკადემიების დაწყობილებით კი ვერ შეკიტყობთ ჩვენ, თუ რა ხარისხზედ სდგას განათლება რომელიმე ხალხში; აგრეთვე კონგრესით და სამინისტროებით კი არ იცნობება ხალხის მდგომარეობა. ყველაზედ უკეთესი და უფრო საიმედო ამ შემთხვევაში არის თითქმის მხოლოდ უმდაბლესი დაწესებულებების დაწყობილება, რომელიც შეეხება პირდაპირ კერძოობითს პირებს ან პატარა საზოგადოებებს. ამ საფუძვლით, ჩვენ გვსურს წარმოგიდგინოთ დაწვლილებით საზოგადოებების შინაგანი დაწყობილება შეერთებულს შტატებში და მერმე შემოგლებით მოგელაპარაკოთ იმ დაწესებულებებზედ, რომელნიც ეკუთვნიან განცალკევებულის და ყველა შეერთებულის შტატების წყობილებას.

ახალს ინგლისში თეითოეული საზოგადოება, როგორც ქალაქისა, აგრეთვე სოფლისა ჩვეულებრივ შესდგება ორი, ანუ სამი ათასის მცხოვრებისაგან. რა საზოგადოებაშიაც მარტო ამდენი კაცია, იქ შესაძლებელია, რომ კარგი და ერთგვარი ადმინისტრაცია იყოს. ერთს ადგილზედ და ერთსა და იმავე პირობებს ქვეშ მცხოვრებთ საჭიროებების შეთანხმება ძნელი არ არის, მეტადრე თუ ბევრნი არ ცხოვრებენ ერთად. მოქალაქეებს ადვილად შეუძლიანთ ერთმანეთში მოლაპარაკება საკუთარს საქმეებზედ; იმათში ყოველთვის მოიპოვება იმისთანა კაცები, რომელთაც შეეძლებათ წარმატებით წაიყვანონ საზოგადო საქმე, რომელსაც მათ შიანდობენ თანამოქა-

(16) კონსტიტუცია—ნახე მეხუთე შენიშვნა.

ლაქები. ამ სახით, ახალი ინგლისის საზოგადოებაში შეუძლიან სრულად გამოცხადდეს ხალხის უფლება, რომელიც შეადგენს შეერთებულის შტატების ზოგად-წყობილების საფუძველს. მართლა, ახალის ინგლისის შტატებში ოითქმის წარმომადგინებლობასაც მხოლოდ საზოგადო საქმეებში ხმარობენ, საქმეებში, რომელნიც შეეხებიან მრთელს შტატს და საზოგადოებაებში კი ყველა საქმეები, რომელნიც საქვეყნო განსჯას მოითხოვენ, სწყდებიან საზოგადოების ყველა წევრთ კრებაში; მხოლოდ დიდრონს და შეერთებულს საზოგადოებაებში, მაგალითად ქალაქებში არიან მერები (17) და იმათთან ქალაქის რჩევები.—

უმთავრესი ნაწილი საზოგადოების ადმინისტრაციისაგან არის რამოდენიმე მოხელე კაცების ხელში, რომელნიც გამოირჩევიან ყველა წევრებისაგან და იწოდებიან «გამორჩეულებად». ისინი ირჩევიან ყოველ წლიგ პატარაგან საზოგადოებაებში სამ სამი და ძლიერ დიდრონებში ცხრა ცხრა. იმათ აქვთ განსაზღვრული თანამდებობის წრე, ცხადად ნაჩვენები განონებში და დადებულის განონების აღრეულებაში სრულიად თავისუფლად მოქმედებენ, ისე რომ საზოგადოებას სრულიად არა ეკრსა ჰკითხვენ. მაგრამ, თუ საქმე რამოდენიმედ საიგვოა, თუ საკრიბოა, რომ რომელიმე დადებული განონი შეიცვალოს, ან ახალი შემოიტანოს, მაშინ გამორჩეულები არიან საზოგადოების ნების მოსრბილი მოსამსახურე. ამ შემთხვევაში იმათ უფლება აქვსთ, რომ შეჰკრიბონ გამომრჩეველი მოქალაქეები და მოახსენონ მათ საქმე განსასჯელად. ვთქვათ რომ ქალაქში შკოლის გახსნაა საკრიბო; გამორჩეულები მაშინვე დაუძახებენ მოქალაქეებს და იმათ კრებას ეტყვიან, თუ რა არის საკრიბო ახალი შკოლის დაწესებისათვის, უჩვენებენ, რა ლონისძიებაებიც არიან ამ საქმის აღრეულებისათვის, უანგარიშებენ საზოგადოებას, თუ რაგდენი უნდა გადიხადონ ხარჯისათვის, აცნობებენ მას თავის ჭაზრებს, რამ სიდიდე უნდა იყოს ახალი შკოლა, სად უნდა აიშენონ და სხვ-

(17) მერი—ქალაქის თავი, ქალაქის მსაჯული.—

საზოგადოება მოუსმენს იმათ, ან მიიღებს მათ ჭაზრებს, ან არა ტ
თუ იმათ უმთავრესს ჭაზრს დაეთანხმა ესე იგი იმას, რომ შკოლის გახსნა საჭიროა, მაშინვე განიხილავს საქმეს და დაწვლილებით განსაზღვრის ხარჯს, დანიშნავს გადასახადს, რომელიც უნდა დაედვას საზოგადოების ყველა წევრებს ახალის შკოლის დასათუმნებლად და სარჩოდ.—ამის შემდეგ გამორჩეულებმა მხოლოდ უნდა ასრულონ საზოგადო კრების ნება.—

რასაკვირველია, გამორჩეულებს შეეძლებოდათ ბოროტად მოეხმარათ თავისი უფლება, თუ რომ მოქალაქეების საზოგადო კრების შედგენა მათს მიწოდებაზედ იყოს დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ საქმეების განსჯისათვის მოქალაქეების შეკრების უფლება მარტო იმათ არ ეკუთვნისთ. იმათაც რომ არ სურდესთ, ათი მოქალაქის მოთხოვნილებითაც შეკრბება საზოგადოება; საზოგადოება გამოუცხადებს თავის სურვილს გამორჩეულებს და ისინი ვერათვერში უარს ვერ ეტყვიან. აქედან სჩანს, რომ საზოგადოების საქმეების მართვა თავის დღეში ვერ ასცილდება ხალხის კონტროლს (18) და ისე შეზღუდულია, რომ გამორჩეული მოხელეების თვით მნებელობა იმას ვერას ავნებს.

ამ რჩეულებს გარდა, რომელნიც უნდა ზრუნვიდნენ ადმინისტრაციის საზოგადო მსვლელობაზედ, ახალი ინგლისის საზოგადოებაში არის კიდევ ოცი ოდე მოხელე, რომელთაც აქვსთ მინდობილი მმართველობის რომელიმე განკერძოებითი შტო; აგრე, ზოგი იმათგანია გადასახადის შემწერად, ზოგი შემკრებად, საზოგადოების ხაზინადრად, პოლიციურის ზედამხედველობისათვის, საზოგადო კრების მოლაპარაკების და გარდაწყვეტილებაების დამწერად და სხვ. ეს მოხელეები ამოირჩევიან ყოველ წლივ მოქალაქეების საზოგადო კრებაში: თვითოეულს მოქალეს შეუძლიან «გამორჩეული» იყოს ტ
ვერც ერთი იმათგანი უარს ვერ იტყვის იმ თანამდებობის აღებაზედ, რომლისთვისაც ის აირჩიეს. მაგრამ, ან კი რასთვის უნდა

(18) კონტროლი ზედა მხედველობაა ვისმეს მოქმედებაზედ ტ
ნგარიშის მოთხოვა.—

სთქვას ესრეთ: ვინც საზოგადოებას ემსახურება, ჯეროვნად აკმაყოფილებენ და ყოველს წევრს შეუძლიან შესწირონ საზოგადო საქმეს თავისი შრომა და დრო, ისე რომ ზიანი სრულიად არა ჰქონდეს მატერიალურს მდგომარეობაში. აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ ამერიკის ზოგად წყობილების ერთი განსხვავებითი თვისება: უმრავლესს ნაწილს მოხელეებთაგან არ ეძლევათ განსაზღვრული ჯამაგირი, მაგრამ ყოველის მათგან გარიგებულის საქმისათვის იღებენ დანიშნულს თანხას, ასე რომ, ისინი იღებენ ერთი ერთმანეთზედ მეტნაკლებს ჯამაგირს, საზოგადო სარგებლობისათვის საამსახურისა და გვარად.

სხვა თანამდებობაებთ შორის, რომელნიც არსებობენ საზოგადოებაებში არიან იმისთანანი, რომ ძლიერ გაოცებს იმ კაცს, რომელსაც თავი შეუჩვევია ევროპიელის ადმინისტრაციისათვის. ახალი ინგლისის საზოგადოებაებში ნიშნავენ, მაგალითად, საკუთარ მოხელეს, რომელიც უნდა ზედამხედველობდეს ლარიბთ შესახების კანონების აღსრულებაზედ; არიან კაცები, რომელნიც ამოირჩეულნი არიან ზედამხედველებად სასწორებსა და საწყაებზედ, ბურის მკაზედ და ყველა მოქალაქეების მოქმედებაზედ ცეცხლის დროს და სხვ. ამ გვარებზედ. . . . ჩვენ ამას ჩავთველით შევიწროებად, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულს თავისუფლებას, რომელითაც განირჩევიან ყველა საზოგადოებითი დაწესებულებაები ჩრდილოეთის ამერიკაში. მაგრამ ადმინისტრაცია სულ სხვა ნაირად ესმისთ ამერიკელებს, ვინემ ჩვენ. ისინი ჭხედვენ იმაში უბრალო შრომის განზიარებას საზოგადოების წევრებთ შორის და ბირს, გამორჩეულს, საზოგადოებისაგან რომელიმე საქმისათვის, სრულიადაც არ მიეჩემება იმ გვარი უფლება, როგორსაც მივაწერთ ჩვენ ჩვეულებრივ თვითოეულს ადმინისტრაციულს ბირს. ამერიკის საზოგადოებაებში არ არის, მაგალითად, საკუთარი ცეცხლის მქრობელი ჯარი, მაგრამ ცეცხლის წაკიდების დროს კი ყველა მოქალაქეები ვალდებული არიან, რომ ცეცხლი გაქრონ. საჭირო, რომ ამ დროს იყოს ვინმე თავი კაცი, რომელიც განმკებლობდეს მოქალაქეების მოქმედებას, მაგრამ ამერიკელს არა სურს, რომ დაემორჩილოს ამ

შემთხვევაში იმ მოხელეების ბრძანებას, რომელთაც მინდობილი აქვსთ საზოგადო ადმინისტრაცია; იმას სურს, რომ უფლება და შრომა როგორც კი შეიძლება ისე იყოს განაზიარებული, განაწილებული საზოგადოების წევრებს შორის და ცეცხლის წაკიდების დროებისათვის გამორჩეული ჭყვს სხვა კაცი, რომელიც ბრძანებლობს ცეცხლის დროს, მაგრამ სხვა შემთხვევაში კი სრულიად არავერი უფლება არა აქვს. ამ სახით განგერძობითის თანამდებობაების განაწილება მრავალ პირებს შორის სრულიად ეთანხმება იმა მხარის დემოკრატიულს ხასიათსა.

ახალს ინგლისში საზოგადოების წევრებთ შორის არის საზოგადოდ სიმართლის სრული თანასწორობა. ისინი ვინც განაგებს, მართავს, და ისინი, ვინც იმათ ემორჩილება, სრულიადაც არა გრძნობენ ერთი ერთმანერთისაგან შეკიწროებასა. პირველებს ძლიერ კარგად ესმისთ, რომ თვითონ იმათი უფლება არის მხოლოდ სხვა გვარი სამსახური საზოგადოების სასარგებლოდ და რომ ის უფლება დარჩებათ ხელში იმათ მხოლოდ მაშინ, თუ კეთილ სინდისიანად მოიქცევიან. სხვები ემორჩილებიან უფლებასა, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ ის ვითომც იმათი უფრესი იყოს, ემორჩილებიან იმისათვის, რომ საკუთარს სარგებლობას ჭხედვენ საზოგადო სამსახურის განაწილებაშია. რაცა რომელიმე უფლებას მიიღებს ამერიკელი საზოგადოების კაცი, ძლიერ კარგად ჭსცნობს, რომ ის არის გამორჩეული საზოგადოებისაგან და ამისათვის არ შეუძლიან, რომ იმან უყურის საზოგადოებას, როგორც მაზედ უმაღლესმა, მეტადრე რადგანაც ყოველთვის გრძნობს მაზედ დამოკიდებულებას თავის თანამდებობის სრულების დროს. აგრეთვე მოქალაქეები, რომელნიც ირჩევენ მოხელეს რომელიმე საქმისათვის, გამორჩევით ამტკიცებენ, რომ ისინი დანდობილი არიან გამორჩეულის ნიჭიერებასა და პატიოსნებაზედ. ამის გამო საზოგადოების ადმინისტრაცია არც არავის ამძიმებს და არც არავის აკიწროებს; ადმინისტრატიული პირები არ შეადგენენ განსაკუთრებულს, პრივილეგიებიანს წოდებას და როგორც ამერიკაში მოგზაურები ამბობ-

ბენ, თუ ძლიერ არ დაუკვირდა კაცი, სრულადაც არ დაინახებს, თუ ვინ მართავს ამ მხარეს და როგორ.

მაგრამ რა გვარად იცვის შტატების ერთობა? რა და რა იმედებია იმისათვის, რომ თვითეული საზოგადოება და ქალაქი საერთო კონსტიტუციის კანონებს არ გადახდენ და უწესობა არ მოახდინონ მმართველობაში? ეს კითხვები აიხსნებიან სამსაჯულო ადგილების დაწესებულებით. თითქმის ყველა საქმე ადმინისტრაციისათვის საძიმო სამსაჯულო რიგით სწყდება, და ამის გამო მსაჯულებს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვსთ, თითქმის პოლიტიკურიცა. სამსაჯულო ნაწილის დაწყობილება და საქმიანობა არის აი ამ გვარი.

შტატის გუბერნატორის დანიშვით და ზოგიერთის შტატებში ხალხის გამორჩევით განწესდებიან იმ აენი მსაჯულები, რამდენიც რიგია. ამათგან სამი კაცი შეადგენს სამსაჯულო პალატას. ამ მსაჯულების ვალდებულებაა, რომ დადიოდნენ ხალხში და განსამართლებდნენ საქმეებს შეფიცებულებისა და ადვოკატების (19) შემწეობით. მსაჯულმა მხოლოდ კარნი უნდა შეაღოს, შეურჩიოს კერძობითს შემთხვევას და საქმის განსჯა კი მინდობილი აქვს შეფიცებულებს, რომელთაც ირჩევს თვითონ საზოგადოება. ამისათვის ვისაც მსაჯულად ნიშნავენ, ის უნდა იყოს იურიდიკულად განათლებული (20), იმან უნდა იცოდეს მარტო კანონების სიტყვები კი არა, მას უნდა ესმოდეს სჯულის მდებელობის ჭეშმარიტ საზოგადო კონსტიტუციის კანონებთან კერძობითი კანონების კავშირი.—მსაჯულს შეუძლიან დასდვას გადაწყვეტილება, დაფუძნე-

(19) ადვოკატი—მოსარჩლე, ვექილი. კაცი რომელიც ლაპარაკობს მოდავეების მაგიერ სახალხო პირად სამსაჯულოში.—შეფიცებულები—საქმის გაამსჯელები, ე. ი. ისინი რომელნიც გარდაწყვეტენ, ეს დანაშაულიაო და ეს მართალი.—

(20) იურიდიკულად განათლებული—ვინც კანონები კარგად იცის,—იურისტი.—იურისპრუდენცია—კანონების ცოდნა; წაკითხვა კანონებზედ.—

ბული კერძოობითს კანონებზედ კი არა, საზოგადო კონსტიტუციის მოთხოვნილებაზედ; იმას უფლება აქვს, რომ გამოაცხადოს, ესა და ეს კანონი კონსტიტუციის წინააღმდეგია და საქმეებში ამითი ხელთ მძღვანელობა არ შეიძლებაო. მოხდება კიდევ ამ გვარი საქმეებიცა: გსთქვათ რომ სენატმა ანუ დეპუტატთ კრებამ დასდგა რომელიმე კანონი; თუ ხალხმა ნახა, რომ ეს კანონი არ ეთანხმება კონსტიტუციას, წავა და მსაჯულს შესჩივლებს ამ კანონზედ. მსაჯული საქმეს განიხილავს და თუ ხალხის საჩივარს სამართლიანად იცნობს, მაშინ კანონს დაეკარგება ვალდებულებითი ძალა და ცოტ-ცოტად გამოდის ხმარებისაგან. აქედამ სჩანს, რომ მსაჯულს დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ მისგან მოითხოვება უმაღლესი გეთილ-სინიდისიანობა, უმაღლესი იურიდიკული განათლება და დაუმოკიდებლობა. აი ამას სცდილობენ ამერიკაში, ამისთვის ირჩევენ უბრალოს, ხალხის საყვარელს კაცებს კი არა, იურისტებს, გამოცდილს კაცებს, რომელთაც წინათვე სახელი მოუპოვიათ ადვოკატობითა. რომელიმე შტატებში მსაჯულებსაც ხალხი ირჩევს; მაგრამ სხვებში კი გუბერნატორებსა და მისს რჩევაებს აქვსთ მინდობილი მსაჯულების დანიშნვა. დემოკრატიისთვის მაგნე ბოროტება ვერ შემოიპარვის ამ გვარს არჩევის დროსაც, ერთი იმისთვის, რომ გუბერნატორიცა და მისი რჩევაც თვითონ ხალხისაგან არიან ამორჩეულები, მეორე—გუბერნატორს არ შეუძლიან, რომ გამოცვალოს მსაჯული, რომელიც თვითონ დაუყენა;—მსაჯულის თანამდებობას ასრულებს ერთი და იგივე პირი მრავალს წელს და გუბერნატორები კი ოთველ წლივ ახალ-ახალი ირჩევიან. მეორეს მხრით—მსაჯული ხალხის ზედმოქმედებისაგანაც განთავისუფლებულია ცოტადენად, რადგანაც იმას ეძლევა გვარიანი დიდი ჯამაგირი: მასსაჩუზეტსში მსაჯულს აქვს გაჩენილი 5000 მანეთზედ უფრო მეტიც.

მსაჯულები განიხილვენ ჩვეულებრივ ევროპა იმ გადახდომას ძტატების საზოგადო კანონებზედ, რომელიც მოხდება ხოლმე საზოგადოების მოხელეების, ანუ რომელიმე წევრის მხრით. ამ გვარი გადახდომაები იშვიათად მოხდებიან, მისთვის რომ, როგორც ზე-

ვით არის ნათქვამი, სახელმწიფო (შტატი) არ ერევა საზოგადოებების კერძობითს საქმეებში, ის აძლევს მათ სრულს თავისუფლებას, ასე რომ, ყოველს საზოგადოებას შეუძლიან ისეთი წესდებულება იქონიოს, როგორიც უკეთესად მიაჩნიან. მაგრამ არის საზოგადო მოთხოვნილებებიც, რომელნიც უნდა ასრულოს თვითოეულმა საზოგადოებამ. ეს მოთხოვნილებები საუდამოდ დაწესებულია კანონებით, და იმათ ასრულებას არავინ არ უყურებს თვითონ საზოგადოების წევრებს და მსაჯულებს გარდა. საგრათოს, რომელიც შესდგება რამოდენიმე საზოგადოებისაგან, არათერი დიდი მნიშვნელობა არ აქვს ადმინისტრაციაში, იმას აქვს საუმსაჯულო მნიშვნელობა. ყოველ საგრათოში არის საუმსაჯულო ბალატა, შერიეი, რომელიც არის საუმსაჯულოს განჩინებების ამსრულებელი ⁊ საბერობილე დანაშაულებისათვის. ადმინისტრაციულის საქმეებისაგან—საგრათოში ადგენენ მხოლოდ ბიუჯეტის პროექტს (21), რომელსაც შემდგომ განიხილვენ მრთელი შტატის საჯულის მდებელობითს კრებაში და შემდეგ, ამ კრების გარდაწყვეტილებისა ⁊ გვარად, შეეწერება საზოგადოებებს გადასახადი. ამას გარდა—გზების გაკეთება და მოვლაც საგრათოის საუმსაჯულო ბალატას ადგეს კისერზედ. საზოგადოებას მიუდის მხოლოდ მიწერილობა, რომ ამდენი ⁊ ამდენი უნდა გადიხადოთ და ესა და ეს გააკეთოთ ⁊ საზოგადოების წევრებს შორის გადასახადის განაწილება და კანონის ასრულების ფორმის შეცვლა თვითონ საზოგადოებაზედ ჰკიდია. საზოგადოებაში უთუოდ უნდა იყოს, მაგალითად, შკოლა; თორემ ჯარიმას გადაახდევინებენ «უმეცრებისა და ცუდის ზნეობის გავრცელებისათვის». მაგრამ, თუ რაგორ უნდა გაკეთდეს შკოლა, ფულები რაგორ უნდა შეაგროვონ იმისთვის, რა რიგი უნდა მისცენ სწავლას და სხვ. ყველა ეს საზოგადოების საქმეა. მაგრამ, თუ საზო-

(21) პროექტი — რამე საგანზედ ჭაზრის გამოხატვა,, რჩევა ბლანის შედგენა.—ბიუჯეტი—ხარჯი, საჭირო რომელიმე დაწესებულებისათვის, ანუ საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის.—შემოსავალი და გასავლის ანგარიში.

გადოების წევრების სიძუნწის გამო ცუდი შკოლა გაკეთდა, ან თუ რომელიმე იმათგანი, ვინც შკოლის მოძვლელად არიან დაყენებული, თანამდებობას კარგათ და გულდადებით ვერ ასრულებს, ყოველ მამას შეუძლიან ამ პირებზედ, ან არა და მრთელს საზოგადოებაზედ, საჩივარი შეიტანოს სამსაჯულო პალატაში. მაშინ საქმე განიხილვება სამსაჯულო რიგით ს თუ საჩივარი საფუძვლიანი გამოდგა, საზოგადოებას ჯარიმას ადებენ. ამ გვარადვე იქცევიან ყოველ გვარ საქმეში. ინსტანციები (22) სრულიად არ არიან, უმცროსს მოხელეს უფროხისაგან არაფერი მიწერილობები, არაფერი განმეორებები და კითხვები და სხვ. ამ გვარი არ მიუდის; მაგრამ, თუ იმან თავისი ვალდებულება კარგად არ ასრულა, ყოველთვის შეიძლება რომ სამსაჯულოში მიიხმონ. არის, მაგალითად, საკუთარი მოხელე გზების ზედა მხედველად; იმას გადასტემენ ხოლმე გადასახადის მკრეფელები გზის გასაკეთებელად შეგროვებულს ფულებს. თუ გზა ყოველთვის რიგიანი არ არის, ყველას, ვისაც გი ურმის თვალი გაუტეხავს ოღრეჩოღრეობის გამო, ან გზის სიცუდის გამო რამე უსიამოვნება დაემართება, შეუძლიან სამსაჯულოში მიიყვანოს ზედამხედველი მოხელე. მოხელემ იცის ეს და ამისთვის თვითონვე სცდილობს, რომ გზის გასაკეთებელი ფულები მიიღოს. თუ საზოგადოებამ ფულები არ მისცა გადასახადის მკრეფელებს გზების ზედამხედველს უფლება აქვს თვითონვე მოითხოვოს, თუმცა ამითი ჩვეულებრივი რიგი ირღვევა. თუ არა და საქმე სწყდება ისევ სამსაჯულოში.

ამ გვარი საზოგადო საქმეებში გარევის უფლება, რომელიც აქვს ყველა მოქალაქეს, პირველის შეხედვით საოცრათხილო უნდა ეოფილიყო, რადგანაც შეიძლებოდა რომ ამას ბევრი შარის მოგონება და ერიგობა მოჰყოლოდა. ამერიკაში კი ეფრო მოხდებოდა ესა, ამისთვის რომ უკანონო საქმეების მიხრობელს ხშირად მი-

(22) ხარისხი მმართველობის ან სამსაჯულო სასამართლოებისა იწოდება ინსტანციად.—

აქვს იმ ჯარიმის ნაწილი, რომელსაც დაამნაშავეს ახდევინებენ. მაგრამ დაწყობილება სიტყვითი საამსაჯულოებისა, ადვოკატებითა და შეფიცებულებით და ამას გარდა საქმეების სახალხოდ განსჯა სრულიადაც არ ეწევიან შარის მოგონების გავრცელებასა. ამას გარდა, არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელიც ხდის ამერიკელებს კეთილ გონიერებისა და საამართლიანობის მოყვარულებად,—ეს არის განათლების დასაწყისების მრთელს ხალხში გავრცელება. ყოველ გვარი ცრუ და უსამართლო დავა არის ხოლმე განუხსნელს საზოგადოებაებში, საცა არა აქვსი მართალი ჭაზრები საგნებზედ; განათლების განვრცელებისათანავე ერთმანეთს შორისი კავშირი განიმტკიცება უფრო ადვილად, ჭკუიანურად და მეგობრულად. ეს ძლიერ კარგად გაიგეს ამერიკელებმა და ამისთვის ყოველი იმათი საზოგადოება კალდებულია, რომ ჭქონდეს შკოლა, თავდაპირველ საწყალებელად. ყმაწვილებს ასწავლიან სახელმწიფო საენით და ყოველს საზოგადოებაში არის საგუთარი კაპიტალი შკოლებისათვის. თვითოეულმა მოქალაქემ უნდა შესწიროს შკოლისათვის საგუთარის შემოსავლის ნაწილი, რადგანაც ყველა საჩგებლობს საზოგადო განათლების ნაყოფითა: შვილებიც რომ არ ჭყავდეს კისმეს, მაინც ასაჩგებლოა მისთვის შკოლა, რადგანაც საზოგადოებაში მაშინ არის წესიერება და კეთილ-დღეობა, როცა წევრები განათლებულები არიან. ამისათვისაც კისაც შკოლაში არ უსწავლია იმას თავბრიკაზედ მუშადაც არ მიიღებენ; მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სასწავლებლის დათუმნებასა და იმათ კარგს მდგომარეობაში მოყვანისათვის არათერი არა შურსთ ამერიკელებს და ყოველს დაუდევნელობას ამ შემთხვევაში სასტიკად ხდევნიან ისინი. თუნებით გადასახადს გარდა შკოლების სასარგებლოდ, ყოველის საზოგადოების დათუმნების დროს, საერთო მაწებისაგან გამოჭყოფენ ერთს და მეოცდა თექვსმეტე ნაწილს; ამ მიწას ჭყიდიან და აღებული თუნებით ადგენენ საშკოლო კაპიტალს (23), რომელიც არის შტატის განკარგულების

(23) კაპიტალი—სერმია, ნალდი თული, რომლითაც კაჭრობ

ქვეშ,—მაგალითად 1857 წლის ანგარიშებისაგან სჩანს, რომ მასსაჩუზეტსის შტატში ყოველ წლივ იკრიფება 2,300,000 დოლლარი (3 მილ. მანეთამდის) შკოლების სასარგებლოდ და საშკოლო კაპიტალი ადის 1,625,000 დოლლარამდის; უკანასკნელის ნამთავნია წელიწადში 50 ათასი დოლლარი, რომელსაც უნაწილებენ სხვა და სხვა ქალაქების შკოლებს. ამ შემწეობის მილების უფლება მხოლოდ იმ საზოგადოებას აქვს, რომელიც ყოველ წლივ თითო ახალგაზდა ყმაწვილზედ, 5 წლის ყმაწვილიდამ დაწყებული 15 წლისამდის, არ იხდის ნახევარ დოლლარზედ ნაკლებს (24).—შკოლების მმართველობაშიაც სრულიად არ არის ცენტრალიზაცია. ყოველი საზოგადოება მართავს საკუთარს შკოლას ისე, როგორც საჯობინარად ჩუოებს; ეს კიდევ არათელია; თუ რომელიმე საზოგადოება, განსაკუთრებით ქალაქებში, ძლიერ დიდია, მაშინ ის განიყოფება მაზრებად და მრეკლებად: ამ გვარად, ბოსტონის ქალაქი არის გაყოფილი მაზრებად ს ყოველს მაზრაში თვითონ მოქალაქეები ირჩევენ სასწავლებელთ კომიტეტის წევრებს, რიცხვით ექვსს და ამასთანავე ისე, რომ ორი იმათგანი სამის წლის სამსახურის შემდეგ გამოდის კომიტეტიდამ და იმათ ადგილზედ ჩუენებენ ახლად არჩეულებს, თუ რომ ხელმეორედ არ გამოირჩიეს ისინივე. ეს ექვსი სასწავლებელთ კომიტეტის წევრები თავის მაზრისათვის ირიცხებიან საკუთარ კომიტეტად ს განკერძოებითი შკოლების ადგილობრივის მართვისათვის იყოფენ სასწავლებლებს ერთმანეთს შუა ისე, როგორც მათ სურთ; ასე რომ, მხოლოდ სამძიმოსა და განსაზღვრულს შემოხვევებში საქმეები გადადიან ადგილობრივის კომიტეტებიდამ მაზრისაში და უფრო იშვიათად ქალაქის საზოგადო კომიტეტში. მაგ-

---

ან რამეს აკეთებ; ყოველისფერი რაც კი სარგებლობს, მთავნობს. ყველა ის სასარგებლო ან გამოსადეგი ნივთები, რაც ერთს კაცს ან საზოგადოებას აქვს და აკრიალებს თუ ადებ მიცემაში, თუ სხვა რამეში.—

(24) დოლლარი უდრის 1 მან. და 31 კაპ.—

რამ უნდა შევნიშნოთ, რომ შკოლების მმართველობის დაწყობილება ყოველ შტატში ამ გვარი არ არის. ნიუიორკის შტატში, მაგალითად, არის რაღაც რუსული სასწავლებელთ მაზრების учебный округъ-ების მსგავსი და ადგილობრივი შკოლები არიან შტატის საზოგადო მოხელეების მთავრულს ზედამხედველობას ქვეშ.

საზოგადო ჭაზრი განათლებისა ჩრდილოეთის ამერიკაში არის ყმაწვილების მომზადება საშოქალაქო საქმიანობისათვის, რომელიც მოელისთ მათ შკოლიდამ გამოსვლის შემდეგ. — ამისთვის ელემენტური შკოლები (25) ითვლებიან მიუცილებელ საჭიროებად ყველასთვის; შემდეგ უბირველესად ითვლებიან საშუალო შკოლები, რომელნიც აძლევენ კაცს საზოგადო განათლებას და რომელშიაც პირველს ბლანზედ სდგას მათემატიკის, ახალი გეოგრაფიის, შეერთებული შტატების ისტორიის და მათი კონსტიტუციის სწავლება. სხვა—კლასსიკური სწავლა, ლვთის მეტყველებითი და ფილოსოფიური და სხვ. თვითოეულის ნებაზედ ჭკიდია და მსურველები არ არის ძალიერ ბევრი. მაგრამ ამერიკელს ამის რა დარდი აქვს, იმას სცდილობს, რომ მოქალაქეები იმდენად განათლებული იყვნენ, რომ ხალხის ნების აღსრულება შეეძლოსთ,—სწავლულები კი მისთვის ნაშეტანია. (26)

---

(25) ელემენტი—შემადგენელი ნაწილი რისამე. ელემენტური პირველ-დაწყებითი, თავ და პირველი.—ელემენტური შკოლები.—უმდაბლესი შკოლები.—

(26) სწავლაზედ ბევრი სიტყვა გვაქვს ჩვენ თუ დამტკიცებითი, თუ უკუთქმითი, და ამათი განმარტება მსურს: «უსწავლელი, უმეცარი, გაუნათლებელი; ნასწავლი, სწავლული, მეცნიერი, განათლებული,»—შეიძლება რომ კაცს სრულიად არათერი არ ესწავლოს, მაგრამ უმეცარია ვერ ვიტყვით ხანდისხან, ვიტყვით კი, უთუოდ გაუნათლებელია; შეიძლება კაცი ნასწავლი იყოს, და ამათთან სწავლულიცა და მეცნიერიც, მაგრამ შეიძლება რამ გაუნათლებელიც იყოს ამ შემთხვევაში; ნასწავლი და განათლებულიც შეიძლება იყოს კაცი და სწავლული კი არა, ახლა მიხვდით ვგონებ, რომ ამერი-

საზოგადოდ უმაღლესი სწავლებაში და შკოლების დაწყობილებაში სჩანს იმ გვარივე მიმართულება, როგორიც ყველაფერში განასხვავებს ამ მხარეს, სახელდობრ ისა, რომ რაც შეიძლება უფრო მეტი ასარგებლოს ხალხსა და რაც შეიძლება უფრო ცოტა ნება მისცეს არისტოკრატიულის ჭაზრების გავრცელებასა. ამ შემთხვევაში კარგია ვიცოდეთ ამერიკული უმაღლეს ალზრდის შედარებითი თვისება ინგლისურთან. ინგლისში იშვიათი არ არის უსწავლელი კაცის ხახვა, მაშინ როდესაც ვერა რა-ამელის ქვეუნის უმაღლესი უწყება ვერ შეედრება ინგლისის არისტოკრატიას კლასიკურს განათლებაში. მაგრამ აქამდისაც დარჩენილა აქაურს ალზრდაში შუა საუკუნური მოანასტრული ხასიათი, რომელიც ჭქონდა მას მრთელი საუკუნეების განმავლობაში. ძველი ენების, ბერძულისა ⁊ ლათინურის, სწავლა ნამეტანს დროს ართმევს განსაკუთრებით უმაღლესს შკოლებს ინგლისში და ავიწროებს ცხოველი ენების და უფრო გამოსადეგი საგნების სწავლას.—ცხადია რომ ამერიკელებში არც ამ გვარი ნაკლებობა იქნებოდა სწავლისა და არც ცალკერძობა; სწავლის სხიებს უნდა გაენათლებინათ ყველა მათგანი, მის ნიჭიერებისა და განათლებისადმი მისწრაფების შესაფერად. და იმას ხომ სრულიად ვერ ვიტყვით, რომ ამერიკაში მოსწავლეები დაყოფილი იყვნენ სხვა და სხვა წოდების დახედვით, როგორც ინგლისშია,მაგალითად, უმაღლესი წოდების უმაწვილებისათვის ცალკე სასწავლებელი გაკეთებული ⁊ უმდაბლესისათვის ცალკე, ან არა ⁊ ერთსა და იმავე შკოლაში სხვა და სხვა ოთახები აქვსთ მიჩენილი, ან სხვა და სხვა სტოლები და ამასთანავე განირჩევიან ტანისამოსითაც.

ამ ნაირია თვითოეული საზოგადოების დაწყობილებისა და მდგომარეობის საზოგადო სახე ჩრდილოეთის ამერიკაში. საზოგადოებასა და შტატს შორის შემაკავშირებელი გრგოლი არიან საგრა-

---

კელებს არა სურთ არც უსწავლელები და არც მარტო სწავლულები და მეცნიერები, რომელთაც ჩვენში დიდი პატივის-ცემა აქვსთ, რადგანაც ისინი ხმა მაღლად მჭევრ მეტყველებენ.—

ფოები, რომელთაც თითქმის არავერი მნიშვნელობა არა აქვთ. შტატის მმართებლობას შეადგენენ სენატი და წარმომადგენელთა დეპუტატთ, პალატა. ეს ორი დაწესებულება ძლიერ გვანან ერთმანეთს და სრულიადაც არა აქვთ იმ საირი კავშირი, როგორც ორს პალატას ინგლისში. ისინი იმითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ სენატს, სჯულის მდებელობითს საქმიანობას გარდა აქვს ხანდისხან კიდევ ადმინისტრაციულიც და სამსაჯულოც, და დეპუტატთ პალატა განსაკუთრებით სჯულის მდებელობაშია და სამსაჯულო საწილში ერევა მხოლოდ იმითი, რომ საჩივარი შეაქვს სენატში იმ მოხელეებზედ, რომელნიც არ ასრულებენ თავის ვალდებულებას. ამას გარდა, ის განსხვავებაა კიდევ იმათ შორის, რომ სენატის წევრები უფრო ცოტანი არიან რიცხვით და აირჩევიან უფრო დიდის ხნით, ვინემ დეპუტატები. ერთის მაგიერ ორი პალატის დაწესების არსებითი ჭაზრი კი ის არის, რომ სჯულის მდებელობითი უფლება გაიყოს ორ პოლიტიკურ დაწესებულებაებს შორის და ამითი უფრო მეტი გარანტიები ჭქონდეს ხალხს კანონების მართლ მსაჯულებისა და კარგად მოფიქრებისათვის.

ალსრულებითს უფლებას შტატში წარმოადგენს გუბერნატორი, რომელსაც ირჩევენ ოთველწლივ. იმას შეუძლიან, რომ სენატის გარდაწყვეტილება შეაჩეროს და ამ შემთხვევაში საქმე გადადის კონგრესში (27) განსახილავად. თვითონ გუბერნატორს კი არ შეუძლიან არც კანონების განოტემა და არც ადმინისტრაციაში შერევა. იმას შეუძლიან მხოლოდ, რომ სჯულის მდებელობითს კრებას აჩვენოს შტატის საჭიროებაები და ლონისძიებაები, რომელთაც მოხმარება მისის ჭაზრით საჭიროა. სხვა—მას მართებს მხოლოდ ასრულოს სენატის და წარმომადგენელთ პალატის განჩინებაები. საჭიროების დროისათვის მის ხელშია სამხედრო უფლებაც.

ფედერალური კონგრესი იმ გვარი იყო, როგორც თვითოეულის შტატისა. იმას შეადგენს სენატი და დეპუტატთ პალატა. ამ-

(27) სენატსა და დეპუტატთ კრებას ჩრდილ. ამერიკაში ეწოდება ორივეს ერთად კონგრესი.—

რულებითი უფლებაა პრეზიდენტის ხელში, რომელსაც მაშასადამე იმ ნაირივე მნიშვნელობა აქვს ყველა შტატებში, როგორც გუბერნატორს ცალკე შტატში. ორი პალატის არსებობას აქვს ისტორიული საფუძველი. როცა პირველად კონგრესის შედგენა დაიპირეს, გამოჩნდა ორი პარტია: ერთს უნდოდა, რომ შეერთებულს შტატებს შეედგინა უბრალო ხალხთ მორისი კონგრესი, რომელშიაც უნდა ეოფილიეო თვითოეულის შტატიდამ რიცხვით თანასწორი დეპუტატები; მეორე პარტიასა სურდა უფრო მჭიდრო და ნაციონალური შეერთება, რომელისათვის საჭირო იეო, რომ წარმომადგინებლების რიცხვი დამოკიდებული ეოფილიეო მცხოვრებთ რიცხვზედ ჯარა შტატებისაზედ. ძნელი არ იეო ამ ორი მოთხოვნილების შეთანხმება და ამისთვის მიიღეს ორივე. იმისთვის რომ დაიცვან სრული დაუმოკიდებლობის და თანასწორობის პრინციპი შტატებს შუა დაწესებულია სენატი, რომლისათვის თვითოეულის შტატიდამ ჩვეზავნიან ორ ორ წარმომადგენელს; ისინი ჩვეულებრივ ინიშნებიან ექვსის წლის ვადით, შტატის სენატორებისაგან. მაგრამ შტატის მცხოვრებლებს რომ რიცხვისა და გვარად ჩქონდესთ გავლენა საერთო წარმომადგინებლობაზედ, დეპუტატთ პალატისათვის იეზავნებიან სხვა და სხვა შტატებიდამ რიცხვით მეტნაკლები დეპუტატები. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატი ჩეზავნის კონგრესისათვის 40 დეპუტატსა და დელავარი მხოლოდ ერთს. ახლა ხალხის წარმომადგენელთ რიცხვია 234, ანუ რომ, 93 ათასი კაცის თავზედ მოდის ერთი დეპუტატი.

საერთო კონგრესის განსჯაშია: საქმეები უცხო ქვეყნელს პოლიტიკაზედ, ჯარების და ფლოტის შენახვა, საერთო საქმეებისათვის საჭირო ვალების აღება, ახალი შტატების შემოერთება, კანონები უცხო ქვეყნელების ქვეშევრდომობაში მიღებაზედ. ბანკროტობაზედ (28), თეთრზედ და სხვ. სჯულის მდებელობითს უფლებას გარდა საერთო კონგრესს აქვს სამსაჯულოცა, მაგრამ მარტო

(28) ამ სიტყვის ახსნა მგონია საჭირო არ იყოს, იმედია ყველამ იცის.—

იმ საქმეებში, რომელიც გამოდის ერთის შტატის უფლების წრიდამ,—მაგ. ორ შტატს შუა. ან რომელიმე შტატის მოქალაქესა და უცხო ქვეყნელს შუა საცილო საქმეებში და სხვ. ამ გვ. მაგრამ საზოგადოდ კი, კონგრესსი სრულიად არ აკიწრობს შტატის შინაგანს ცხოვრებას.

პრეზიდენტის მნიშვნელობა ისევ ის არის, რაც გუბერნატორისა ცალკე შტატში. ის მოახსენებს კონგრესს, თუ რა სჭირია მხარეს, უჩვენებს რისი ასრულებაა შესაძლებელი და როგორ, განიხილავს კონგრესსის წესდებულებებს და შეუძლიან შეაჩერონ ისინი თავის წინააღმდეგობით; ამ შემთხვევაში წესდებულება გადადის ისევ ორივე პალატაში განსახილავად და მიიღებს ძალას მხოლოდ მაშინ, როცა ორი მესამედი კონგრესსის წევრებთაგან არ დაეთანხმება პრეზიდენტის ჭაზრსა. გარეგანს პოლიტიკაში პრეზიდენტს შეუძლიან, რომ კონგრესსის თანხმობით ჭქონდეს მოლაპარაკებები და შეკრას ტრაკტატები (29) უცხო ქვეყნელს მმართებლობებთან; ის არის საერთო ჯარების უფროსი ომის დროს. სამსახურისათვის ეძლევა მას 25 ათასი დოლარი წელიწადში. თუ პრეზიდენტმა უღალატა სახელმწიფოს რამეში, ან ქრთამი აიღო ან სხვა რამე დაუშავა კონგრესსი დასჯის იმას.

თუმცა ეს შეერთებული შტატების დაწესებულებებისა საზოგადო აღწერა (დანიშნული იმათთვის, ვინაც სრულიად არაფერი არ იცის ჩრდილოეთის ამერიკისა) ზედაპირია, მაგრამ ცხადად კი აჩვენებს, რომ შტატების დაწყობილების საფუძველია ხალხის ნება ჯ თუმცა რომ ამ მხარის მმართებლობაში არის ზოგიერთი ცენტრალიზაციის ნიშანი, მაგრამ ადმინისტრაციაში (მმართებლობაში) კი ძლიერ სრული დეცენტრალიზაციაა.—

რასაკვირველია, არ შეიძლება რომ ბევრი ნაკლულევანება არ ჭქონდეს ჩრდილოეთის ამერიკის ზოგად-წყობილებას და უმთავრესი ამათგან არის ტუტეობა, დაშთენილი ინგლისის მმართებლობის დროიდამ, ტუტეობა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება შტატების კანონების ხასიათსა.—

(შემდეგიც იქნება)

---

(29) ტრაკტატი — შეკრულობა, პირობა ორს სახელმწიფოს შუა.

II ორ ნაირი სწავლა.

(სტატია ბასტიასი) (*)

მე, მგონია, მკითხველი, რაკი გაათავებს წინად თქმულის წაკითხვას—თუ კი გაათავებს—დაიძახებს: «მართლა უჩიგიან ეკონომისტებს, რომ ბირწყლიანობა და სიცხოველე აკლიათო. ვერათვერი კაცობრიობის სურათია! როგორ! მაშ მცარცველობა ყოფილა რაღაც ბედის წერის და ჩვეულებრივი ძალა, რომელიც სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა მიზეზით, კანონ ქვეშ და კანონ გარეთაც გაუწყვეტლად მოქმედებს, რომელიც უსამართოს საგანთაც ბოროტად ხმარობს, რომელიც ადამიანის სისუსტით და გაუნათლებლობით სარგებლობს და რომელიც ამ ორ საზღვარგან იზდება! განა შეიძლება კაცმა ამაზედ უფრო შემაწუხებელი სურათი დახატოს ქვეყნიერობისა?»

საქმე იმაში კი არ არის, რომ შემაწუხებელია, საქმე იმაშია, რომ მართალი და ჭეშმარიტია, თუ არა? ამის პასუხს ისტორია იტყვის.

საპოლიტიკო ეკონომიის საქმე ის არის, რომ კაციც და ქვეყანაც გასინჯოს, ისე როგორც ნამდვილად არის. საპოლიტიკო ეკონომია არ იკვლევს იმას, თუ როგორი იქნებოდა საზოგადოება, რომ ღმერთს ადამიანი ისე არ გაეჩინა, როგორც გააჩინა. შეიძლება ვიწუხოთ, რომ შემოქმედმა ზოგიერთი ბრძანი ჯ საზოგადოების დამწყობი არ მოიწვია, როცა კაცს აჩენდა, რომ რჩევა ეკითხ-

(*) ამისი დასაწყისი არის აგვუსტოს საქართველოს მოამბეში, სახელდობრ სტატია: მცარცველობის თეზიოლოგია.

ხნა. რასაკვირველია, მაშინ საზოგადოებაა ის საზოგადოება ალარ იქნებოდა, რომელშიაც ჩვენ ეხლა ყველა ვიბრუნებით, ვცხოვრობთ და ვმოძრაობთ. მაგრამ რადგანაც ღმერთმა ბრძენთა დაუკითხავად გააჩინა ქვეყანა და მის გაჩენილს საზოგადოებაში «ვცხოვრობთ, ვმოძრაობთ ⁊ ვარსებობთ «(in eo vivimus, movemus et sumus) ჩვენ მარტო ისღა დაგვჩენია, რომ ამ საზოგადოების კანონები გამოვიკვლიოთ, ავღსნათ—ერთის სიტყვით—ვიცნოთ, ნამეტნავად მაშინ, თუ საზოგადოების გამჯობინება ამ ცოდნაზედ დამოკიდებულია.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ კაცის გულს გაუმაძღარი სურვილი არა ჰქონდეს.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ სურვილთა აღსრულებისათვის შრომა საჭირო არ იყოს.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ კაცს შრომის სიმძულვარე იმოდენად არა ჰქონდეს, რამოდენათაც სიამოვნების სიყვარული აქვს.

ჩვენ არ შეგვიძლიან კაცის გულიდამ გაუწყვეტელი ნდომა სიამოვნების მომატებისათვის წავართოთ და ისე მოვახდინოთ, რომ მაგ ნდომის გამო თავისი შრომის ტვირთი სხვას არ მოახვიოს კისერზედ ან ძალით, ან ცდუნებით და მოტყუებით.

ჩვენ არ შეგვიძლიან მთელი ქვეყნიერობის ისტორიის გაუქმება, ჩვენ არ შეგვიძლიან ბირში ბურთი ჩაუდოთ წარსულს, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ამ ნაირად წარმოებდა საქმე დასაბამითვე. ჩვენ არ შეგვიძლიან უარ ვყოთ, რომ ჩხუბი, ტყვეობა, ბატონყმობა, ძალის ბოროტ-მოქმედება, ყოველი გვარი მოტყუება წარმოადგენენ დაურღვეველს და საშინელს მოქმედებას ამ ორის გრძნობისას, რომელნიც კაცის გულში შეერთებულნი არიან: «სიამოვნების წყურვილისა და შრომის მძულვარებისა.»

«ოთხითა ბირისა შენისათა ჩსჯამდე ბურსა შენსა . . .» მაგრამ ყველას ის უნდა, რომ ბევრი ბური იშოვოს და ცოტა ოთხი დაღვაროს. ეს ისტორიული დასკვნაა.

ღვთის მადლით, ისტორია ამასაც გვაჩვენებს, რომ დღე ჯ დღე როგორც სიამოვნება, ისე შრომა თან და თან ყველასათვის თანასწორად იყოფება.

თუ ეს ესრეა მაშ საზოგადოებაში ყოფილა იმისთანა ბუნებითი და უმაღლესი ძალა, რომელიც თან და თან უსამართლოებას თესლს განსდევნის და უფრო და უფრო ამოჭყავს თესლი სიმართლისა.

ჩვენ ვამტკიცებთ რომ საზოგადოებაში არის ამისთანა ძალა ჯ ეგი თვით ბუნებისაგან ჩანერგულია.

მაშ ვეცდებით გაჩვენოთ ის კეთილ მოქმედი ძალა, რომელიც წარმატებით მიიღტვის, რომ დაამარცხოს ძალა ბოროტმოქმედი, რომელსაც ჩვენ «მცარცველობის» სახელი დავარქვით.

ყოველს ბოროტს საქმეში ორი პირია გარეული: ერთი ის კაცი, რომელიც ბოროტს მოქმედობს და მეორე ისა, რომელზედაც ბოროტს მოქმედობენ, ანუ «აგენტი და პაციენტი (agent et patient) პირი «მოქმედებითი» და «პირი ვნებითი».

მაშასადამე ორი ღონისძიება არის ბოროტის მოსპობისათვის: ან მოქმედებითმა პირმა თავის ნებით უნდა მოიშალოს ბოროტის ქმნა, ან ვნებითმა პირმა არ უნდა აქმნევინოს ბოროტი საქმე.

აქედამ გამოდის ორ ნაირი სწავლა. რომელნიც არამც თუ ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან, არამედ ერთად მოქმედობენ: ერთი «სარწმუნოებისა, ანუ თეოლოგიური», მეორე «ეკონომიური.»

რომ ბოროტება მოსპოს, სარწმუნოება მიჭმართავს თავის სწავლას ბოროტის მიზეზს, ესე იგი, კაცს, რომელიც ბოროტსა იქმს. სარწმუნოება ეუბნება მას: «გაჭსწორდი; გაიწმინდე; თავი დაანებე ბოროტსა; ჭქმენ კეთილი, გულის ვნებანი შენნი შეიმაგრე; ნუ შეაწუხებ მოყვასსა, რომელიც შენ უნდა გიყვარდეს, როგორც თავი შენი და რომელსაც შენ უნდა შველოდე; იყავ ჯერ მართალი, მერე მოწყალე.» ეს სწავლა არის და იქნება ქვეყნის დასასრულამდინ თვით უმშვენიერესი, თვით ულმობიერესი, იმისთანა, რომლითაც მთელი ახოვანება და დიდება კაცობრიობისა

უნდა გამოჩნდეს და რომელიც ყოველთვის საკვირველი და თანა საგრძნობელი იქნება კაცთაგან.

საპოლიტიკო ეკონომიის წადილიც ეგ არის, მაგრამ ეს სხვა გზით მოქმედობს: ეს იმაზედ მოქმედობს, რომელიც ვნებითია, ესე იგი, იმ კაცზედ, რომელსაც ბორბოტს ადენენ, იგი აჩვენებს კაცს რა ბოლოც მოსდევს ყოველს მოქმედებას და ამ უბრალო საქმით იძულებულ ჰყოფს წინააღმდეგი გაუწიოს იმ საქმეს, რომელიც მაგნებელია და პატივი ჰსცეს მას, რომელიც სასარგებლოა. საპოლიტიკო ეკონომია ცდილობს დაჩაგრულებში განავრცელოს იმოდენა მახვილგონიერება, განათლება და სამართლიანი უნდობა, რომ დაჩაგვრა უფრო და უფრო ძნელად ხდებოდეს და დამჩაგვრელისათვის საშიშარი იყოს.

უნდა ვსთქვათ, რომ საპოლოტიკო ეკონომია თითონ დამჩაგვრელზედაც მოქმედობს. ყოველ ბორბოტ-მოქმედებაში კეთილიც არის და ბორბოტიც: ბორბოტი მისთვის, ვისაც ადენენ და კეთილი მისთვის, ვინც ბორბოტს იდენს. ეს რომ არ იყოს ვილა იქმოდა ბორბოტსა. მაგრამ კეთილი ამ შემთხვევაში თავის დღეში ვერ ჰსძალავს ბორბოტსა. ბორბოტი ყოველთვის და აუცილებლად მეტია ხოლმე კეთილზედ და თვით დაჩაგვრის ბოლოც ის არის, რომ ღონე ეკარგება, განსაცდელში აგდებს დამჩაგვრელსა, შურისგებას აღვიძებ თავის წინააღმდეგ, და ძვირად უჯდება ის სიფრთხილე, რომელიც მან უნდა იქონიოს. მაშასადამე დაჩაგვრა, არამც თუ მარტო დაჩაგრულების მტრობას აღვიძებს, არამედ სიმართლის მხარეზედ გადმოიყვანს ხოლმე მათ, ვისიც გული გარეკნილი არ არის და აშფოთებს თვით დამჩაგვრელების მშვიდობიანობას.

აღვილი მისახვედრია, რომ ეკონომიური სწავლა გულს კი არ ელაპარაკება, არამედ ჭკუასა; იმას კი არა ცდილობს რომ დააჯეროს, არამედ იმასა, რომ დაამტკიცოს; რჩევას კი არ აძლევს, არამედ გამოცდილებას აჩვენებს; მისი დანიშნულება ის კი არ არის, რომ გული ატკინოს ნახულით, არამედ ნახული აღსნას დაგამოიკვლიოს და მარტო იმითი ჰძლევს ბორბოტებასა, რომ საზდოს

უწყვეტს; ადვილად გასაგებია, ვამბობ მე, რომ ამ სწავლას ემდურიან: პირწყლიანობა და სიცხოველე არა აქვსო.

სამდურავი სწორეა, მაგრამ უსამართლო კი არის. ეს სწორედ იმასა ჰგავს, რომ ჩვთქვათ: რატომ საპოლიტიკო ეკონომია ყველაფერს არ გვიხსნისო, ყველაფერს ხელს არ მოჭხვევსო? რატომ მთელი ქვეყნიერობის მეცნიერება არ არისო? როდის დაიჩემა ეგენი, რომ მაგაებსა ჩვთხოვთ?

ეგ სამდურავი მაშინ იქნებოდა საბუთიანი, რომ საპოლიტიკო ეკონომიას თავისი მოქმედების ღონისძიების გარდა სხვა ყოველი ღონისძიება გაეკიცხა ან უარ ეყო; რომ ეთქვა, რომ ჩემს იქით ხსნა არ არისო; რომ ფილოსოფიისათვის და სარწმუნოებისათვის დაეშალა ადამიანის გასწორება და ეთქვა: დაანებეთ თავი, თქვენი ღონისძიება ამაო არისო; მარტო მე შემიძლიან ადამიანის გასწორებაო.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთ და იმავე დროს სარწმუნოებაც ან ეკონომიაც ერთად მოქმედობენ. სარწმუნოება თვით ბოროტების წყაროს მოჭვიდებდა ხელს, ეტყოდა ბოროტის მსურველს: ნუ იქმ ბოროტსა; ეი ბოროტი რა საძაგელი რამ არის. საპოლიტიკო ეკონომია კი ეტყოდა: ნუ აქმნევინებთ ბოროტსა; ეი ამ ბოროტს რა ბოლო მოსდევს. ერთი ბოროტების წყაროს დაშრობას ეცდებოდა, მეორე ბოროტების წინააღმდეგობას.

ამასაც კი ვიტყვი, რომ სარწმუნოების ძალა მოსილობა უფრო მშვენიერია, სანუგეშო და ძირეული; ხოლო ამავე დროს ძნელია არ მივიღოთ, რომ ძალა საპოლიტიკო ეკონომიისა უფრო ადვილია და უებარი.

ჟ. ბ. სეიმ (*) რამდენიმე სტრიქონით, რომელიც მრავალ ტომებზედ უფრო ძვირია, ჩვთქვა, რომ «ერთს ოჯახში ბოროტების და ურიგობის მოსპობისათვის ორი ღონისძიება იყოო: «ან ტარტუფი უნდა გაესწორებინათ, ან ორგონი გაესწავლებინათო» (ესე იგი, ან ბლუტი გაესწორებინათ, ან უსწავლელი გაესწავლებინათ.)

(*) გამოჩენილი ფრანციის მწერალი და ეკონომი.

მოლიერი—ეგ კაცის გულის სიცარი და დიდი გამომხატველი—ყოველთვის მეორე ლონისძიებასა ხმარობდა, როგორც უფრო საიმედოსა და ადვილსა.

ქვეყნიერობაზედაც ეგრე არის ხოლმე.

თქვენ მითხარით რას იქმოდა ხოლმე ცესარი, მე გეტყვით, რანი იყვნენ მაშინდელი რომაელნი.

თქვენ მითხარით, რას შვრება ეხლანდელი დიპლომატია, მე გეტყვით და აღგიხსნით ხალხთა ზნეობითს მდგომარეობასა.

თუ თითონ თვრანცია ამაო დიდებით ატაცებული არ ყოფილიყო, მისი გამოჩენილი მინისტრი უფ. გიზო ამას კერ იტყოდა: «თვრანცია საკმაოდ მდიდარია, რომ თავის დიდებისათვის თუული ხარჯოსო.»

თუ თითონ თვრანციას ჰსცოდნოდა, რომ «დიდი ხარჯი და თავისუფლება ერთად კერ მოთავსდებიან» იგივე მინისტრი ამას არ იტყოდა: «თავისუფლება საკმაოდ ძვირფასია, რომ თვრანცია მასზედ ვაჭრობას არ მოჰყვესო.»

ამორჩევაში, რომ ქრთამის ამღებნი არიან. იმიტომ კი არა რომ არიან ქრთამის მძღეველები, არამედ ქრთამის მძღეველები იმიტომ არიან, რომ ამღებნი არიან. ამათზედ არ არის დამოკიდებული ქრთამის აღმოხოცვა?

მაშ დაე სარწმუნოების მცნებამ გული გაუგეთოს ტარტიუფებსა, ცესარებსა, კოლონიების და დიდისა და შემოსავლიანი თანამდებობის ბატრონებსა. საპოლიტიკო ეკონომიის საქმე კი ის არის, რომ გაანათლოს ისინი, ვისაც ეგ ბატონები ატყუებენ.

ამ ორ ლონისძიებათა შორის, რომელი უფრო ადვილია და უებარი საზოგადოების წარმატებისათვის? ამას თქმა უნდა? მე ვგონებ მეორე. მე ვშიშობ კიდეც, რომ კაცობრიობამ ჯერ საპოლიტიკო ეკონომიის სწავლა არ დაიწყოს ყველაზედ უწინ.

რასაც კი ვხედავ, ვკითხულობ, ვჰსინჯავ და გამოვიკითხავ ხოლმე, მე არც ერთს ბოროტს მოქმედებას არა ვხედავ, რომ თითონ ბოროტმოქმედის ნებით მოსპობილიყოს.

მაგრამ კი ბევრი ბოროტი მინახამს მოსპობილი იმათგან, ვინც მისგან ტანჯულან.

მაშასადამე იმის აღწერა რა ბოლოც მოსდეს ბორტმოქმედებასა უფრო უებარი ღონისძიება ყოფილა ბორტის მოსპობისათვის.

ეხლა ეს უნდა ვიკითხოთ: მარტო ამ გვარს სწავლას, ესე იგი მარტო საპოლიტიკო ეკონომიას შეუძლიან განა იმისთანა სიმრუელე მიჭსტეს საზოგადოებას, რომლის იმედიც და ღოდინიც უნდა გექონდეს კაცის სულის სიკეთისაგან და მის პატიოსან ნიჭთაგან? არა, არ შეუძლიან. წარმოვიდგინოთ, რომ გარცელებულია საპოლიტიკო ეკონომიის სწავლა, რომელიც იმის მეტი არა არის რა, რომ ცინობიერად გაგებული იყოს სარგებლობა, ყოველთვის ზედ გადაბმული საზოგადო სარგებლობასთან და სამართლიანობასთან. რა იქნება ის საზოგადოება? მაგალითი არაფერი. ძალიან უფერული იქნებოდა ის საზოგადოება, თუმცა კარგად გაწყობილი კი, საცა ბლუტები არ იქნებოდნენ მარტო იმისთვის, რომ სულელები არ არიან; საცა საკმაო იქნებოდა მცირედი მიზეზი, რომ გაცოცხლებულიყო ბიწიერება, რომელიც მიმალული იქნებოდა და მიდუნებული შიმშილისაგან; საცა სითხილე თვითეულის პირისა დამოკიდებული იქნებოდა საზოგადო მღვიძარებაზედ და დასასრულ საცა სიკეთე გარეგანს სახეზედ კი დაეტყობოდა ყოველს საქმეს, მაგრამ გულამდინ კი ვერ მიახწევდა. მაგისთანა საზოგადოება ეგვანებოდა იმ კაცსა, რომელიც ყველაფერზედ მტკიცეა, სწორეა, დამჯდარია, სამართლიანია; რომელიც ყოველთვის მზათ არის, რომ ყარ-ჭყოს მცირედი ბორტმოქმედებაცა და ყოველის მხრით დაიცვას თავისი თავი და ღირსება; პატივსაცემია ამისთანა კაცი, საკვირველია, მაგრამ მას დეპუტატად კი ამოირჩევდით და მეგობრად კი არ გაიხდით.

მაშ დაე სარწმუნოებამაც და საპოლიტიკო ეკონომიამაც იმის მაგიერ, რომ ერთი ერთი ჭკიცხონ, ერთად შრომა იკისრონ და ბორტს შეებან სხვა და სხვა მხრით. რაცა ეკონომისტები თავის საქმეს აკეთებენ, ავადებს უხილავენ სულელებსა, ცრუ სწავლას ძირიანად

ჭსოხრიან, იგვლეგენ და ხსნიან მოქმედების და საგნის ჭეშმარიტს ბუნებასა, დაე იმავე დროს სარწმუნოების მსახურმა თავის მხრით ხელი მიჭყოს თავის საქმეს უფრო სანდომიანს და მიმზიდველს, მაგრამ უფრო მძიმესაცა. დაე იგი ბირის ბირ ბრძოდეს უსამართლოებასთან; დაე სდევნოს მას კაცის გულის სიღრმემდინა; დაანახვოს ხალხს თავ გადადების, კეთილმოქმედების, სიყვარულის და გულ შემატკიერობის სიტკბოება; დაე ბირი მოხსნას კეთილ მოქმედების წყაროს იქ, სადაც ჩვენ მარტო ბიწიერების წყაროს ამოშრობა შეგვიძლიან; — ეი სარწმუნოების მსახურის საქმე: იგი ბატიოსანია, კეთილშობილიერია და მშვენიერი. მაგრამ იგი რად უნდა გვეცილებოდეს იმ საქმესაცა, რომელიც ჩვენა გვრგებია?

იმ საზოგადოებაში, რომელიც გულით კეთილ მოქმედი არ იქნებოდა, მაგრამ ეკონომიის სწავლით კი კარგად გაწყობილი, განა იმ საზოგადოებაში უფრო ადვილი და შესაძლებელი არ იქნებოდა სარწმუნოების სწავლის გავრცელება?

ამბობენ ჩვეულება—რჯულთ უმტკიცესია.

ის ქვეყანა, საცა ყველანი გადაეჩვევოდნენ უსამართლობას, საკუთრად იმის გამო რომ საზოგადოების განათლებული ნაწილი წინააღმდეგობას გაუწევდა, იქნება ვერაფერი ეოფილიყო. მაგრამ მე მგონია, რომ იგი იქნებოდა კარგად მომზადებული უფრო უმაღლეს და უწმინდაეს სწავლის მიღებისათვის. ბოროტობას რომ გადაეჩვევოს—ეს დიდი ნაბიჯია სიკეთისაკენ გადადგმული. ადამიანს უძრავად ყოფნა არ შეუძლიან. კაცნი, ბიწიერების გზიდამ გადმოსულნი, რომელიც მხოლოდ კასაკიცხავად გახდიდა მათ, მით უფრო მომეტებულად იგრძნობენ კეთილ მოქმედების სიმშვენიერესა.

იქნება კაცთა საზოგადოებამ ჯერ �ე უფეურლი მდგომარეობა უნდა გამოიარონ, რომელშიაც კაცნი კეთილ მოქმედნი იქნებიან ანგარიშისაგამო და არა გულითა, რომ ბოლოს აქედამ აიწიონ იმ მდგომარეობამდინ, რომელიც უფრო პოეტიური იქნება და რომელშიაც კაცნი კეთილს იქმონენ არა რომელიმე ანგარიშისაგამო, არამედ წრფელის გულითა და მოწადინეობითა.

ბ. ვ.

სკამს სხვები ეფარნეს, თუ იმიტომ, რომ ფალა კარგათ განათლებული არ იყო და ბნელოდა.

სწორეთ იმ დროს, როცა მადლები ოთახში შეკიდა, დასასჯელ ტუსალის ადვოკატმა, იმ გასასამართლებელის დასაცველი და დასაფარავი სიტყვები გაათავა.

ადვოკატი ურიგოთ არ ამბობდა და კარგათაც ლაპარაკობდა. ის ტუსალის ქცევას ამართლებდა, რომელშიაც მართლა გასამტყუნარიც არ იყო. ადვოკატმა კერ კაშლების მოპარვაზე დაიწყო ლ ამბობდა, შანმატიეს ქურდობა კაშლებისა ნათლად და საბუთებით არ არი დამტკიცებულიო. ვინ მიასწრო, ვის უნახავს რომ შანმატიე კედელზედ გადამძვრალა და კაშლის ტოტი მოუტეხიაო? მართალია, რომ ეს დაუჭერიათ, კაშლის ხის ტოტი ხელში სჭერია; მაგრამ ეს თითონ ამბობს გზაზე ვიპოვნე და ავიღეო. ვინ იტყვის და რით დამტკიცებს რომ შანმატიე სტყუის? რაღა თქმა უნდა, რომ ვინმე ავაზაკი კედელზედ გადამძვრალა, ტოტი მოუტეხია, მერე რისამე შეშინებია და ხელიდამ გაუგდია. რასაკვირველია ქურდი ვინმე უთუოდ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვინ დამტკიცებს, რომ ხის ტოტი ამას მოუტეხია და არა დედა-მიწიდამ აუღია? ვინ დამტკიცებს, რომ კაშლების ქურდი სწორედ შანმატიეა? ეჭვი მარტოდ ამაზედ იმიტომ უფრო გაქვსთ, რომ ეს ძველი კატორღელია, ამაში მეცა ვარ დამტკიცებული და მკერა! რადგანაც ოთხი მოწმები ამის უწინდელი ამხანაგები ამტკიცებენ. მართალია, ადვოკატმა სთქვა, ეს უბედური ყველაზედ უარს ამბობს, ქურდობაზედაც და კიდევ იმაჭე, რომ ეს, ვითომც უწინ კატორღელი არა ყოფილა, ერთის სიტყვით არა ტყდება, მე ურჩია, რომ ამას ყველა წრფელის გულით ელვარებინა; მაგრამ გაკერდა, მაგრათ დადგა, ასე ჭკვიანია ამითი გადარჩებაო, და არ აღვიარა რა. რასაკვირველია ამაში დამნაშავეა, მაგრამ ამასთანვე ჩვენ, შანმატიეს უგუნურობას და უსწავლელობას არ უნდა დავხედოთ და ამითი მაინც ცოტაოდე არ შევიბრალოთ? ნათლად სჩანს, რომ ეს კაცი ბრიყვი და უჭკუოა. გალერაზე, კატორღაში ყოფასა, უბედურობას და სი-

საწყლეს ეს ამ ყოფაში ჩაუგდიათ, გაუპირუტყვებიათ ? ? ?

XVI.

უარის თქმა.

ბოლოს გასამართლების გათავების დროც მოახლოვდა. პრეზიდენტმა დასასჯელ ტუსაღს უბძანა, რომ თავზედ წამომდგარიყო და ჰკითხა:

—თქვენის თავის გასამართლებლად კიდევ სათქმელი ხომ არა გაქვთ რა?

შანმატიე თავზედ წამოდგა, თავის ქუდს ხელში ათამაშებდა ჯ თითქო ვერა შეიტყო რაო.

პრეზიდენტმა ხელახლად კითხვა გაუმეორა.

ეხლა კი შეიტყო, თითქო გაიგოო: როგორც ძილიდამ გამოთვხიზლებულმა, ტანში ისე შეირყა, გარშემო თვალი გადაავლო, ხალხს შეხედა, შეხედა ჯანდარმებს, თავის ადვოკატს, მსაჯულებს, თავის სოცარი მუშტი სკამ წინ მოაჯარზე დასდო, ყველას ერთხელ კიდევ შეხედა და უცებ პრეზიდენტს დაუწყო ცქერა და ლაპარაკს მოჰყვა. მაგრამ რა ლაპარაკს? იმის ნათქვამში კაცი ჰკარგს ძნელად მიხვდებოდა; თითქო ნადმით ამოსრულიდი, არეულ-დარეული სიტყვები ამოსდიოდა პირიდამ და ერთი ერთმანერთზედ აყრიდა.

—აი მე რას ვიტყვი, იმან სთქვა: მე პარიაში გორგოლაჭების და თვლების გამკეთებელ ხელოსნათ ვიყავ უფალ ბალუსთან. ეს ძნელი ხელობაა, მთელი დღე ცის ქვეშ, კარში მუშაობ, ან ჩალურის ქვეშ და არა სახელოსნოში, იმ მიზეზით, რომ ადგილი ბევრი უნდება. ზამთარში ისე ცივა, რომ ხელებს ისრეს, ეგებ გავთბეო; მაგრამ ოსტატები, ვისთანაც ვმუშაობთ, ამის ნებასაც არ გვაძლევენ, გვეუბნებიან დროსა ჩვარგავთო. რკინის დაჭედვა კი სიცივეში, რაცა ქვასაც კი ჩეინავს, ძალიან ძნელია. კაცს, ეს მალე ლონეს უკარგავს. ამ ხელობაში კაცი მალე დაბერდება. ორმოცი

წლისა ადამიანი თავდება კიდეც. მე ორმოცდაცამეტი წლისა ვიყავ, ბევრი გამომიცლია, ვეღარ მიმუშავნია. ამასთანვე სხვა ხელოსნებიც ავი ადამიანები არიან! როცა იმათი ამხანაგი მოხუცდება ხოლმე, ისინი ბებერ ქოფაკს ეძახიან! მე დღეში საამუშაო თასს' მარტო ოცდაათ სუს ვიღებდი; აქაო და მოხუცდიო, რაც კი შეეძლოთ ცოტა თასს მაძლევდნენ. ამისა გარდა მე მყავდა ქალი, რომელიც წყლის პირას მუდამ სარეცხობდა ხოლმე.

„ისიც, თავის მხრით, ცოტას ოგებდა. ძაგრამ როგორც იყო ძლივს ძლივათ ჩვენ გვყოფნიდა. ისიც ძალიან გაჭირებაში და ჯავთაში იყო. მთელი დღე თაბახზე დახრილი, ჩაღუმპული, თოვლი მოდიოდა თუ წვიმა, ან ქარი ქრიდა, არას დასდევდა, მეტი ილაჯი არ იყო უნდა ერეცხა. ამისთანა ადამიანები არიან, რომელთაც საცვლები ცოტა აქვსთ და უნდა იცდიდნენ მანამდის გაურეცხდნენ. თუ არ გაურეცხ და არ აიღებ, მუშტარი დაგეკარგება, ადარ მოქცემენ. ფიცრები ცუდათ არი დაკრული, თაბახი დამსკდარია და ნარეცხი წყალი სულ ზედ დაგდისთ. ტანისამოსი თავით ფეხამდის გისველდებათ, ეს ძნელია. ზოგ ჯარის საამოსარეცხოში სარეცხობდა, საცა წყალი ლულებიდამ ჩამოდის. იქ თაბახი არ არის საჭირო, ლულის ქვეშ ყველა თავისთვის რეცხამს და მერე სუფთათ აუზში გაავლებენ და ამოიღებენ ხოლმე. იქ საამოსარეცხოში ისე არა ცივა, გარშემო სულ დახურულია. ძაგრამ ზამთარში, ნაცარტუტის წყლის ორთქლი თვალებს უფუჭებს. საღამოზე, საათის შვიდზე შინ მოვიდოდა ხოლმე და იმწამსვე დაიძინებდა, იმიტომ, რომ მეტად იღლებოდა და იქანცებოდა. ის გათხოვილი იყო, ქმარი ჰყავდა, რომელიც იმას სცემდა ხოლმე. და მომიკვდა. ჩვენ ბედნიერნი არ ვიყავით. ძალიან კაი ქალი იყო, მშვიდი ხასიათისა და არასდროს ბალში არ დაბძანდებოდა. მე მახსოვს, რომ ერთხელ, საამშაბათ დღეს, ყვავილიერში, საღამოს რვა საათი იყო, რომ დაწყვა და დაიძინა. მე მართალს ვამბობ, თუ გინდათ ვამოიკითხეთ. ძაგრამ რა ბრიყვი ვარ! რას ვამბობ! ბარიყი ხომ უოვსკშრეულია. იქ მოხუცებულ შანმატიეს აბა ვინ იცნობს? მაშ ეოვალ ბალეს ჭკით-

ხეთ ჩემ სიმტკუნისათვის. მე მაინც ვერ გამიგია, არ მესმის, თქვენ ჩემგნით რა გინდათ!

მოხუცი დაჩუმდა. ის სიტყვები ხრინწიანის ხმით სთქვა, მაღლა აჩქარებით, ცოტათი გაჯავრებით და გაუთლელ წრფელის გულით. იმ ლაპარაკში ერთხელ დადგა და ხალხში ვილასაც თავი დაუკრა. თითო თითო სიტყვას იმ საირად ამბობდა, თითქო ასლოკინებდაო. როცა იმან თავის ლაპარაკი დასრულა, ხალხს, მსაჯულებს სიცილი წასქდათ. შანმატიემ ხალხს შეხედა, და რა კი დაინახა, რომ ყველანი იცინოდნენ, და იმის მიზეზი არ ესმოდა, თითონაც სიცილი დაიწყო.

პრეზიდენტმა, ჭეთილმა და გულის-ხმიერმა კაცმა ხმა აიმაღლა:

იმან მსაჯულებს უთხრა, «რომ უთვალი ბალუა, ადრინდელი გორგოლაჭების ოსტატი და უფროსი ხელოსანი, რომელთანაც, როგორც ტუსალმა სთქვა, ვითომც ხელოსნათ ყოფილაო, გაგუტრდა, არავინ არ იცის სად არის და ვერ უპოვნიათოო». მერე შანმატიეს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ ეხლა უნდა გაშინჯოთ და კარგათ იფიქროთ თუ რა მდგომარეობაში ხართ. თქვენზე დიდი იჯვნეულობა გვაქვს და ბოლოს ეს უბრალოდ არ ჩაივლის. გასასამართლებელო! თქვენ საკარგებლოთვე, თქვენის სიკეთისათვის, უკანასკნელად გკითხავ, მე გთხოვ ეს ორი რამ ამიხსნა: პირველად, თქვენ პიერროსნის ბალის ლობეზე გადამძვრალხართ, თუ არა? ვაშლის ხის ტოტი მოგიტეხიათ და იმ ტოტზედ ვაშლები ესხა? ესე იგი: ისე მოიპარეთ, რომ ბალის ლობეზე გადაძვერით? ჰო, თუ არა? მეორედ, თქვენ ხართ განთავის-უფლებული კატორღელი ჟან-ვალჟანი?

ტუსალმა თავი მძიმედ გაიქნია, ისე თითქო შეიტყოო, მიხვდაო რასაც ჰკითხავდნენო და იცოდაო რაც უნდა ეპასუხნაო. ის პრეზიდენტს მიუბრუნდა და უთხრა:

— თავ და პირველად . . . .

მერე თავის ქუდს დახედა, ჯერში აიხედა და დაჩუმდა.

—გასასამართლებელო, ადვოკატების უფროსმა გაჯავრებულის ტ სასტიკის ხმით უთხრა, ყური კარგა მიგდეთ. თქვენ რასაც გკითხამენ სწორე პასუხს არას ამბობთ ეგ თქვენი არეულობა და შეკრთომა თქვენვე გამტყუნებს. ნათლად სჩანს რომ თქვენ სახელად შანმატიე არა გქვიანთ, თქვენ კატორღელი ყან-ვალყანი ხართ, რომელიც იმალებოდა და ყან-მატიე დაირქვა, თავის დედის სახელი; თქვენ ოვერნში ყოფილხართ და თავვერიოლეში დაბადებულხარ, ს

ს�ა არ ვიცი. ყველა კაცს ხომ თავის საკუთარი სახლი არ ექნება იმისთვის, რომ უოუოდ იქ დაიბადოს.

„ესე რომ იყოს, კარგი იქნებოდა. მე მგონია, რომ დედ-მამა ჩემი უსახლკარო იყვნენ და ქვეყნის ქვეყნად დაწანწალებდნენ; მაგრამ სწორედ არ ვიცი; როცა მე პატარა ვიყავი, ყმაწვილს მეძახოდნენ, ეხლა კი ბებერს მეძახიან. აი ჩემი სახელები. გინდ დაიჯერეთ, გინდ ნუ; როგორც გინდათ ისე იფიქრეთ. ჰო, მე ოვერნში და ფავეროლეშიც ვყოფილვარ,—რა დიდი რამ არი? განა არ შეიძლება, რომ კაცი ოვერნშიც ყოფილიყოს, ფავეროლეშიცა და კატორღაში გალერაზედ კი არა? მე თქვენ გეუბნებით, რომ მე არ მომიპარავს მეთქი; მე ბიძია შანმატიე ვარ, მოხუცებული. მე უფალ ბაჯუსთან ვიყავი ხელოსნათ, იმის სახლში ვიდექი, აკი გითხარით. მაგდენ უთავბოლოდ კითხვით თქვენ მე თავის ტვინი წამართვით, მომაბეზრეთ! რა არი? როგორც ცოფიანები, ყველანი მე მომცვივდით და არ ვიცი, რას გადამკიდებიხართ!

ადვოკატების უფროსი, რომელიც იმ მთელ ლაპარაკის დროს ფეხზე იდგა, პრეზიდენტს მიუბრუნდა და უთხრა:

—უფ. პრეზიდენტო, ამ გვარ ამის ოსტატურ და ეშმაკურ გაგერპებას, რომ ვხედავთ, რომლითაც, როგორც სჩანს, თავს სიგიჟეზედ ზდებს და ამითი თავის გამართლება უნდა, თუმცა ეს არ აუხდება, ტუსალს ეს წინათვე ვცნობოთ და ჩვენ თქვენის და მსაჯულების ნების დართვით გოხოვთ, რომ უბძანოთ და ამ ოთახში კიდევ შემოუძახოთ, ის კატორღელები მოწმები: ბრეკე, კოშპალია და შენიღდიე და პოლიციის ზედამხედველი ყაკერი და ერთი კიდევ უკანასკნელად ვკითხოთ: ეს კაცი სწორეთ ის კატორღელი ყანვალყანია, თუ არა?

—მაგაზედ მე, უფალ ადვოკატების უფროსს გამოუცხადებ, რომ პოლიციის ზედამხედველ ყაკერს რაღაც საჭირო საქმე გამოუჩნდა და თავის სამსახურის და თანამდებობის ასასრულებლად აქაურ მაზრის ახლო ქალაქში წავიდა და ეხლა აქ არ არის.

—ეგ მართალია, უფალო პრეზიდენტო, ადვოკატების უფროს-

ბა უპასუხა: მაშ რაც წელან ყაკვერმა გვითხრა და იმას, როგორც მოწამეს ჩვენება, რომ ჩამოგვრთგით და დაგწერეთ, მე გითხოგთ იმის ნათქვამი მსაჯულებს წაუკითხოთ. ყაკერი პატიოსანი კაცია ჯ სკინიდისიანი და სასტიკი თავის თანამდებობის აღმსრულებელია. ეი ყაკერის ნათქვამი სიტყვები: «ტუსაღის გაუტეხრობის გასამტუნებლად, ჩემთვის არც ზნეობითი და არც საბუთიანი დამტკიცებაა საჭირო. მე მაგას ძალიან კარგად ვიცნობ. მაგ კაცს სახელად შანმატიე არა ჰქვია, ეგ უწინდელი კატორღელია, საშინელი აგაზაკი, სახელად ყან-ვალყანი. მაგას კატორღაში ყოფნის დანიშნული ვადა რომ შეუმთავრდა, ეგ გაანთავისუფლეს. ცხრამეტი წელიწადი იყო დამწყვდეული კატორღაში ქურდობის გამო. ხუთჯერ თუ ექვსჯერ იქიდან გამოპარვა დაუპირა. პატარა ყერეს გაქურდვის და გაშლების მოპარვის გარდა, მე ამაზედ გიდევ ეჭვი მაქვს, რომ იქნება ქალაქ დ-ის გასაყენებული ეპისკოპოსიც მაგან გაქურდა. ეს მე ბევრჯელ მინახავს მაშინ, როცა მე ტუღონში ვმსახურობდი გალერების ზედამხედველად. მე ხელახლად ვიმეორებ, რომ ამ კაცს ძალიან კარგად ვიცნობ.

ამისთანა ნამდვილმა მოწმობამ და გამტუნებამ ხალხი ჯ მსაჯულები ძალიან დააკორგიალა და დაანბრგოლა. ავდოკატების უფროსმა მოითხოვა, რომ, რადგანაც ყაკერი იქ არ იყო, მოწმები: ბრევე, შენიდდიე და გოშპალია ხელმეორედ შემოეყანათ ოთახში, ეკითხნათ და ჩვენება, ნათქვამი ჩამოერთვათ.

ბრეზიდენტმა ბძანება გასცა და ბატარა ხანს უკან მოწმების ოთახის კარებები გაიღო. კარის კაცმა და თან ჯანდარმმა ბრევე ოთახში შეიყვანეს.

ხალხმა და მსაჯულებმა ყურები გაიცქვიტეს და ყველას გული აუფანცქალდათ, თითქო ყველას ერთი სული ჰქონდათო.

კატორღაში ნამყოფ ბრევეს ტანთ ბლუზი ეცვა ნახევარი შავი და ნახევარი ნაცრის ფერისა, როგორიც ქალაქის ტუსაღებს აცვიათ ხოლმე. ბრევე სამოცის წლისა იყო, სახეზე საქმიან კაცს ჯ ამასთანვე აგაზაკს ჰგავდა.

ამისთანა თვისებების ადამიანები იშვიათნი არ არიან. ციხეში, ს

ეხლაც ვიმეორებ და ვამტკიცებ. ეს ჟან-ვალჟანია, ეს ტულონში გალერაზედ მოვიდა წელსა 1796-ში, იქიდამ გაანთავისუფლეს და გამოვიდა წელსა 1815-ში, ამის უკან, ერთი წლის შემდეგ მეც გამომიშვეს. ეხლა ეს უგრძნობელ პირუტყვსა ჭვავს, ბრიყვსა; მოხუცებსა ამ დღეში ჩაუგდია; მაგრამ კატორღაში ეს ეშმაკი და გვლაძუა იყო. ამ კაცს მე სწორედ და ნამდვილად ვიცნობ.

—დაბძანდით, პრეზიდენტმა უთხრა. ტუსაღო, თქვენ თვეზედ იდექით.

ზალაში მერე შენილდიე შეიყვანეს, როგორც ეცნეოდა იმის წითელ მაუდის სატუსაღო კაბაზე და მწვანე ქუდზე, საუკუნოდ იყო დასჯილი კატორღაში, უვადოთ. ამ საქმის თავობაზე შენილდიე განგებ მოიყვანეს ტულონიდამ. ეს კაცი ტანადაბალი იყო, ორმოცდა ათის წლისა იქნებოდა, პირისახე მოხუცისა ჭქონდა, გამხდარ გამხდარი იყო, გაუვითლებული, საბრალო და უკეთილო სხეულში, მოელ ტანში სისუსტე ეტყობოდა, მაგრამ იმის ერთ შეხედულობაში ძალიან დიდი ღონე სჩნდა: კატორღის ამხანაგებმა ამახ დაარქვეს Je-nie Dieu (ღმერთს უარსა ვუოფ).

პრეზიდენტი მიუბრუნდა შენილდიეს, თითქმის ისევ იმ სიტყვებით და ისა ჭკითხა, რაც წელან ბრეკვეს უთხრა, მაგრამ იმ დროს, როცა პრეზიდენტმა მოაგონა, რომ რადგანაც ის დასჯილია, კანონი იმას დათვიცებას უკრძალავს და კერ დაათვიცებენ. შენილდიემ თავი აიღო და ხალხს პირდაპირ, სწორედ შეხედა. პრეზიდენტმა უთხრა, რომ ის მოთმინებით ყოფილიყო და როგორც წელან ბრეკვესა ჭკითხა, ამასაც ისე უთხრა: როგორც უწინა სთქვით, ამტკიცებთ, რომ ეს სწორედ ის კაცია და იცნობთ?

შენილდიემ დაიწყო ხარხარი და ჩაიკასკასა.

—ვიცნობ თუ არა? მეც რომ არ ვიცნობდე, მაშ ვილა იცნობს! ხუთი წელიწადი ერთ ბორკილზე ვიყავით დაბმული და ერთად ვისხედით. შენ გწყინს, ბებერო, იბერები? ჩემზედ ჯავრობ?

—თქვენც მანდ ჩამოჯექით, პრეზიდენტმა უთხრა შენილდიეს.

კარის კაცმა, შემდეგ, კოშკალი შეიყვანა იმ ზალაში. ესეც საუკუნოდ დასჯილი იყო კატორღაში და როგორც შენილდიეს, იმისა-

თანა წითელი კაბა ეცვა. ეს გლეხი კაცი იყო ლურდიდამ,—პირინეოის მთების დათესა გაკდა, მთებში მცხვრებს აძოებდა და მწყემსიდამ აკაზაკად გადიქცა. კოშპალიც ისე გაუთლელი იყო, როგორც შანმატიე და იმაზედ უფრო ბრიყვსა და უგუნურსა ჩვენდა. ეს ერთი იმ გვარ უბედურ კაცებისაგანი იყო, რომელთაც ბუნება გარეულ ნადირებათა ქმნიან და საზოგადოება კატორღელებათა ხდის.

პრეზიდენტს დაყვაებით და რავდენიმე ტკბილ სიტყვებით უნდოდა აღეძრა იმის გული და გრძნობა და ჩვეითხა, როგორც ამის წინად იმ ორთა: იმეორებთ და ამტკიცებთ, რომ ამ კაცს, რომელიც თქვენ წინა დგას, იცნობთ?

—ეს ჟან-ვალჟანია,—კოშპალიამ სთქვა, ჩვენში ამას ჟან-ბერჟეტს ვეძახდით, ისეთი ლანიერი იყო.

ამ სამის კაცის თითო-თითო წრფელ და სვინიდისიან მოწმობაზე, ხალხში ჩოჩქოლი და ყაყანი ვარდებოდა, რომელიც შანმატიესთვის კეთილს და კარგს არ მოასწავებდა. თითონ ტუსალი კი, მოწმების ნათქვამს გაოცებით ყურს უგდებდა. იმის გაოცებაზე ხალხი ამას ამბობდა: შანმატიეს ესეთი ხერხი ამოურჩევია, თავის თავის გასამართლებლათა, რომ ყველათვერზე უარსა ჩყოფილ და ოცდებია. პირველ მოწამის ნათქვამზე, იმის ახლოდ მდგომ ჯანდარმებს შეეტყოთ, რომ შანმატიემ თურმე ცხვირ წინ წაიდუდუნა: «კარგი ამბავი აი ეს არის!» მეორე მოწმის ნათქვამზე, ცოტა ხმა მაღლივ სთქვა: «კარგია!» და ბოლოს, მესამის ლაპარაკზედ დაიძახა: «ჩინებულია!»

პრეზიდენტი მიუბრუნდა ტუსალს ლ ჩვეითხა:

—შანმატიევ, შეიტყეთ და გაიგეთ თუ არა? თქვენ ამაზედ რას იტყვით?

იმან უპასუხა:

—მე ვიტყვი—ჩინებულია, მეთქი.

ხალხში და თითქმის მსაჯულებშიაც ყაყანი ჩავარდა. ნათლად სჩანდა, რომ შანმატიე დაიღუპა.

—ხალხი დაასწყნარეთ და დაასჩუმეთ, პრეზიდენტმა სამჯავროს

მოსამსახურეს უთხრა, მე გასამართლებაზე მინდა გავათავო.

იმ დროს პრეზიდენტის ახლო ხალხი რაღაზედაც შეიძრა და ყოველმაც მაღლის ხმით დაიკივლა:

—ბრეკვეკ, შენილდიეკ, კოშუალო! აქეთ მოამხედეთ!

ეს ხმა ვინც კი შეიტყო, ყველას ტანში ჟრუანტელმა გაუარა, ისეთ შესაბრალისის, სამწუხარო და საზარლის ხმა იყო ნათქვამი ის სიტყვები. ყველამ იმ მხარეს დაიწყეს ცქერა საიდამაც შემოესმათ. კაცი, რომელიც პატიოსან რჩეულ კაცებში იჯდა, მსაჯულების უკან, წამოდგა, პატარა კარები გაიღო, რომელიც ხალხსა და მსაჯულებსა ჰყოფდა, და ზალის შუაგულში დადგა. პრეზიდენტმა, ადვოკატების უფროსმა, უფ. ბამატაბუამ და კიდევ სხვებმა, ოცმა კაცმა ის იცნეს და ერთის ხმით ყველამ დაიძახეს:

—უფალი მადლენი!

მანმატეე უფრო და უფრო გაოცებულია.

XVII.

ის მართლა მადლენი იყო. სანთლის შუქი იმის პირისახეს ანათებდა. ხელში თავისი შლიაპა ეჭირა; ტანისამოსი რიგზე სუფთად ქცევა; კაბის მთელი ღილები შეკრული ჰქონდა. მადლენი ძალიან გაცრეცილი და ჩაყვითლებული იყო და ცოტათი აკანკალებდა. იმას თმები, რომელიც ირმასში მისულამდის ჭალარა ჰქონდა, ეხლა, იმ ერთ საათში სრულიად გასთეთრებოდა.

ყველამ თავი აიღო და შეხედა. ხალხი ძალიან დაბოროგიალდა. თითონ მადლენი კი, რომელიც ოთახის შუაგულში იდგა ისე მშვიდათ იყო, რომ ხალხმა პირველშივე ვერა შეიტყო რა. ყველანი ერთი-ერთმანეთს ჰკითხავდნენ; «ეს ვინ დაიყვირა?» არავის არა ჰსჯერდა, რომ იმ მშვიდობიანმა კაცმა, ისე საზარელის ხმით დაიკივლა.

მაგრამ ამ იჯნეულობაში ხალხი დიდ ხან არ იყო. ჯერ პრე-

ზიდენტს და ადვოკატების უფროსს ხმა არ ამოელოთ და მასამ ჯანდარმები და მოსამსახურები ხალხს დაუწყარებდნენ, უეცრად, ის კაცი, რომელსაც უფ. მადლენს ეძახოდნენ, მოწმებთან: კოშვალთან, ბრეკვესთან და შუნილდიესთან მიეიდა.

—თქვენ მე არ მიცნობთ? იმან უთხრა.

სამთავე მოწმებმა გაოცებით შეხედეს იმ კითხვაზედ, თავები გაიქნიეს და ანიშნეს რომ იმას არ იცნობენ. კოშვალი შეკრთა და ისე გამოშტერდა, რომ სამხედრო სამსახურის წესის და გვარად გამოიჭიმა და პატიები მისცა, რაგორც საჭიროთმა. მადლენი მსაჯულებს მიუბრუნდა და წყნარის ხმით უთხრა:

—უფალნო მსაჯულნო, უბძანეთ, რომ ტუსალი შანმატიე განთავისუფლონ და გაუშონ. უფალო პრეზიდენტო, უბძანეთ, რომ მე დამიჭირონ და დამამწყვდიონ. ვისაც თქვენ ეძებთ, ის კაცი ეგ კი არ არის, მე ვარ, ჟან-ვალჟანი.

ყველას სუნთქვა შეეკრათ და პირველ ეოცების შემდეგ გამშრალნი და განაბულნი იდგნენ. ზალაში საშინელი სიწყნარე ჩავარდა.

მარტო პრეზიდენტს სახეზედ შებრალება და სიმწუხარე ეცნოდა: იმან საჩქარად ადვოკატების უფროს შეხედა, მსაჯულებს ერთი ორი სიტყვა ჩუმათ წაუჩურჩულა და მერე ხალხისკენ მიბრუნდა და ისეთ ნაირ ხმით იკითხა, რომ ამ სიტყვების ძალას და თვით ხმასაც ყველა მიხვდა, რა გულითაც იყო სათქვამი:

—აქ თქვენში ჭექიმი არავინ არი?

ადვოკატების უფროსმა დაიწყო ლაპარაკი:

—უფალნო მსაჯულნო, ესეთი საოცარი და მოულოდინებელი შემთხვევა, რომელმაც მთელი ხალხი დააბორგიალა, ჩვენ ყველას გულისტანჯვას ჯ მწუხარებას გვაძლევს, რომლის გამოიქმასაც ჩვენ საჭიროდ არა გვაცხავთ. თქვენ ყველანი, ტოტაა თუ ბევრი, იცნობთ ან გაგონილი მაინც იქნებით უფალ მადლენზე, ქალაქ მ-ის მერზედ. თუ ამ საზოგადოებაში, ჩვენში ჭექიმი ვინმე არი, ჩვენც უფ. პრეზიდენტს შეუდგეთ და ყველამ ერთობრივ კითხოვოთ ჭექიმს, რომ უფ. მადლენს რამ უშველოს, სამკურნალო შემწეობა მისცეს და საცა

მადლები დგას, იმ სახლში მიიყვანოს.

უფ. მადლენმა ადვოკატების უფროსს ლაპარაკი არ დასრულებინა და წყნარის ხმით, მაგრამ ბძანებლობით სიტყვა შეაწყვეტინა. ეი იმის ნათქვამი სიტყვები; ჩვენ აქ ისე ნამდვილად მოგვყავს, როგორც ერთს იქ მყოფს და უურით გაგონილ მოწამეს იმწამშივე დაეწერა და ბოგორც ჯერ კიდევ აქნობამდის ბევრს ახსოვსთ იმის ნათქვამი, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ შეუტყვიათ.

—მადლობას მოგახსენებ უფ. ადვოკატების უფროსო, მე ჯიუაზედ ატაცებული და შეშლილი არა ვარ;—ამაში თქვენ თითონვე მალე დარწმუნდებით. კინალამ, ცოტა გაწყდა თქვენ ძალიან არ შესცდით. ეს კაცი გაანთავისუფლეთ; მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ვიხდი. მე სწორედ ის უბედური ავაზაკი ვარ, რომელიც თქვენ გინდათ. აქ მარტო მე ვხედავ საქმეს ნათლად, ყველა ვიცი და თქვენ მართალს გეუბნებით. რასაც მე ეხლა, ამ წამში ვჩადი, ამას ის ზეციერი, მაღალი ღმერთი ხედავს, ესეც მეყოფა და ამითი კმაყოფილი ვარ. თქვენ შეგიძლიანთ მე დამიჭირეთ და დამამწყვდიეთ, ამიტომ, რომ ეხლა თქვენ ხელში ვარ. მაგრამ მე ყოველ ნაირი ღონისძიება მოვიხმარე, რაც კი ადამიანს შეუძლიან, რომ ამას ავცდენოდი და ამ დღეში არ ჩავარდნილ ვიყავ. მე სხვა სახელი დავირქვი და ვიმალებოდი, გავმდიდრდი, მერი გავხდი, მე მინდოდა ნამუსიანი, სვინიდისიანი კაცი გავმხდარვიყავ და პატიოსან ხალხში ფეხი შემედგა და გავრეულვიყავ, მაგრამ, საქმით სჩანს, რომ ეს შეუძლებელი იყო. ამასთანვე ბევრი რამ არი ჩემ გულში, რომლის თქმაც მე არ შემიძლიან. მთელ ჩემ თავ-გარდასავალს და სიცოცხლეს ხომ ვერ გიამბობთ; ამას, როდესმე, როცა იქნება, თქვენ თითონ შეიტყობთ. მოწმინიორი ეპისკოპოსი სწორეთ მე გავქურდე, ეს მართალია; პატარა ყერვეც მე გავქურდე—ესეც მართალია. ესენი არა სტყუიან, მართალს ამბობენ, რომ ყან-ვალყანი ძალიან ავი-კაცია და ავაზაკია. მაგრამ ამაში ის იქნება, სრულიად ბრალიერი არ იყოს. გამიგონეთ, უფალნო მსაჯულნო, იმ კაცს, რომელიც ასე ჩემსავით დამცირებულა და დაცემულა, უფლება არა აქვს

და არ შეუძლიან განგებას დააყვედრონ, ან საზოგადოებას რჩეკვ მისცეს და დაარიგონ . . . მაგრამ იცით რა არი,—გაუბარტიურება ჯ სახელის გატეხა, რომლის გადარჩენისაგანაც მე ვცდილობდი, მაგ-ნებელი და ცუდია. კატორღა ჭქმნის და ჭბადავს კატორღელებს. თუ გნებავთ, ეს შეიტყეთ, იცოდეთ და ნუ დაიგიწყებთ. იმის წინად, მანამ მე კატორღაში გამგზავნიდნენ, მე საწყალი, საცოდავი გლეხი კაცი ვიყავ, ჯკუა და გონება ძალიან ცოტათა მქონდა გახსნილი, თითქმის ბრიყვი ვიყავი; კატორღამ მე გამომცვალა, სულ სხვა გავხდი. მე ბრიყვი ვიყავ, კატორღაში მე ავი გავხდი; მე ვიყავ გამხმარი შეშა, მუგუზალი გავხდი. ბოლოს, ამის შემდეგ მოწყალებით შებრალებამ, მოტევებამ და სიკეთემ მე ისე დამიფარა, გამასწორა და გადამარჩინა, როგორც სისასტიკემ მე დამღუპა. მაგრამ, მოგიტევეთ, ჩემ ნათქვამ სიტყვებს თქვენ ვერ გაიგებთ. ჩემ ოთახის ბუხერში, ნაცარში, თქვენ ორმოც სუან თეთრ მანეთს იპოვნით, ამ მანეთს, რომელიც მე, ამ შვიდი წლის წინად, პატარა ყერეს მ.ოვპარე. ამაზედ მეტი, სათქმელი მე ალარა მაქვს რა. დამიჯერეთ, საპყრობილეში ჩამსვით. ღმერთო ჩემო! თქვენ, უფალო ადვოკატების უფროსო, თავს იქნევთ, არა გეჯერათ და ამბობთ:—«უფალი მადლენი ჯკუაზე შემცდარა, გაგიყებულა.» უბედურობა და სამწუხარო აბა ეს არი, რომ თქვენ მე არ მიჯერებთ! ამ კაცს მაინც ნუ ამტყუნებთ და ნუ გაასამართლებთ. ეს კაცები მე როგორ არ მიცნობენ? გავშტერებულვარ! ყავერი ხეტავ მაინც აქ იყოს; ის მე უთუოთ მიცნობდა.

ენა ვერ გამოსთქვამს, თუ რა ნაირ წრფელის გულის სიმწუხარით და ნადვლით გამოსთქვა მადლენმა ეს სიტყვები.

მერე ის სამ კატორღელებს მიუბრუნდა და უთხრა:

—მე კი თქვენ გიცანით! ბრეკვევ! გახსოვს? . . .

ის ერთ წამს დაჩუმდა, თითქო ვერ გაებედნა და მერე მაინც ჭკითხა:

—შენ ის მაუდის, ჭრელი შალვრის ასაჭიჭავები გახსოვს, რომლებსაც კატორღაში ქამრის მაგიერად ხმარობდი?

ბრევე გაოცდა, შიშით შეკრთა და თავიდამ ფეხებამდის იმას გაოცებით უურება დაუწყო ჟანგალჟან კიდეს მოწყვა ლაპარაკს:

—შენილდიეგ, მარჯვენა მხარი შენ ძალიან ამომწვარი გაქვს, ამ ნიშნობით, რომ შენ ერთხელ გაღვიებულ მაყალს მხარი დაადე და დადაღული სამი ასოები T, F, P, გინდოდა მოგეშალა და ალარ გქონოდა, თუმცა ვერ ამოშალე და ეხლა მაინც ზედ გაჩნევია. სთქვი მართალია თუ არა?

—ეგ მართალია, შენილდიემ უპასუხა.

ჟან-ვალჟანი მერე კოშვალს მიუბრუნდა:

—კოშვალო, შენ მარჯვენა ხელზედ ნიდაყვ ზეით თოფის წამლით ამომწვარი გაქვს და ზედ დადაღულია ის რიცხვი, რაცა იმპერატორი განნასშიდ მიგიდა, მარტის 1 წელსა 1815. აბა გაბის სახელი აიწიე.

კოშვალმა მკლავის სახელი გადიწია, (ჯელამ იმის ტიტველა მკლავს დაუწყო ცქერა. ჯანდარმმა სანთელი ახლო მიიტანა: მართლა ის რიცხვი თოფის წამლით იყო მკლავზე ამომწვარი და ნათლად სჩნდა.

საბრალო კაცმა, ჟან-ვალჟანმა ხალხს და მსაჯულებს იმ ლიმილით შეხედა, რომელიც ჯერ კიდევ დღეის აქნობამდის არ დავიწყებია და რაცა მოიგონებენ ხოლმე, გისაც ის ლიმილი უნახავს, გული უკვდებათ. ის ლიმილი თურმე იყო დიდებისა, გამარჯვებისა და ამასთანვე უკანასკნელ განწირულებისა.

—თქვენ ეხლა ნათლად ხედავთ და დიჯერეთ,—იმან სთქვა,—რომ მე ჟან ვალჟანი ვარ?...

იმ ჩალაში ეხლა ალარც მსაჯულები იყვნენ, ალარც გამამტყუნებელნი და ალარც ჯანდარმები, ყველანი ვინც კი იმ ოთახში იყო, იმას შებრალების თვალით და გულით უყურებდნენ. თავთავისი, სამსახურის ვალდებულება ყველას თვიქრიდამ გადუვარდათ; ადვოკატებმა უფროსს დაავიწყდა, რომ იმ ტუსაღის გამამტყუნებელი იყო, პრეზიდენტსა, რომ ის იმ სასამართლოში პირველი და უფროსი მსაჯული იყო და ადვოკატსაც სულ თვიქრიდამ გადაუვარდა, რომ

ის ტუსაღის დამცველი იყო. და გასაოცარი ეს არის, რომ იმ დროს ხმა კრინტი არავინ არ ამოიღო, არავინ იმას არა ჭკითხა რა და უფლების ძალაც არავინ არ გამოიჩინა. გასაოცარ ამბავს და საწყალს ესეთი თვისება აქვს, რომ ყველას გულს აუძრავს ხოლმე და ყველა მოწამეს მაყურებლათა ხდის. ვერავის თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა და არ იცოდნენ თუ გულში რას ჭორძნობდნენ; ეს რასაკვირველია არავინ არც აცნევდა და არც ამბობდა, რომ ისინი სინათლეს ხედავდნენ, თუმცა კი გულში, შიგნიდამ ყველანი დაბრმაებულნი იყვნენ.

რაღა თქმა უნდოდა, რომ იმ ხალხის წინ ჟან-ვალჟანი იდგა. ამას ყველა ნათლად ხედავდა. ამ კაცის გამოჩენამ სრულიად გაანათა და ახსნა იმ შანმატიეს საქმე, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინად ისე დახშული, დაბნელებული და ძნელი შესატყობი იყო. მთელმა იმოდენმა ხალმა, აუხსნელად და ურარად, ერთ წამშიგე მიხვდა და შეიტყო იმ კაცის უბრალო და ჩინებული ძცევა, ამბავი და თავგარდასავალი, რომელმაც იავის თავი იმიტომ გასცა და დაუბეზღა მთავრობასთან, რომ იმის მაგიერად სხვა არ დასჯილ იყო.

—მე არ მინდა ამაზედ მეტად მსაჯულები და აქ მყოფნი შეგაწუხო, ჟან-ვალჟანმა სთქვა. მე ეხლა მივალ, რადგანაც ვიცი, რომ არ დამიჭერეს და არ დამამწყვდევენ. მე ჯერ წინ ბევრი საქმე მაქვს, ბევრი რამა მაქვს ასასრულებელი. ბატონი ადვოკატების უფროსი მე მიცნობს და იცის ვინცა ვარ, იცის საცა ეხლა მე წავალ და რაცა კი მოინდომებს და ინებებს შეუძლიან მე შემიპყრას და დამამწყვდიოს.

ჟან-ვალჟანმა კარებისკენ გაიწია.

არავინ ხმა არ აიმაღლა და ხმა არ გასცა, არავინ ხელი არ გაიშვარა და არ გაიღო, რომ ის დაეუენებინათ და დაეჭირათ; ყველანი იმას ჩამოეცალნენ და გზა მისცეს. იმ დროს იმ კაცში ყველანი რაღაცა სიწმიდეს ხედავდნენ, რომლის მიზეზითაც მთელი ხალხი ჩამოეცალა და გზას აძლევდნენ გასასვლელად. ჟან-ვალჟანმა

მძიმედ და წყნარად ხალხში გაიარა. როცა ის ოთახის კარებთან მივიდა, კარები ღია დახვდა, ვიღაცა გაუღო; ვერავინ ვერ შეიტყო, თუ ვინ იყო იმის კარების გამღები. რაკი კარებთან მივიდა, ყანვალყანი ხალხისკენ მობრუნდა და სთქვა:

—ბატონო ადვოკატების უფროსო, მე თქვენ ხელში და უფლებაში ვარ.

შემდეგ მაყურებელ და ყურის მგდებელ ხალხს მიუბრუნდა და უთხრა:

—თქვენ ყველას, ვინც კი აქა ხართ, თქვენ მე გებრალებით განა? ოჰ! ღმერთო ჩემო! როცა დავფიქრდები და მოვიგონებ იმას, რაც, ბეწვი გაწყდა, მე კინალამ არ ჩავიდინე! ვხედავ და ვაცნევ რომ მე დასანატრი და შესაშურებელი ვარ. მაგრამ მაინც უკეთესი იქნებოდა და მინდოდა კიდეც, რომ ეგვალაფერი ესე არ მომ. ხდარიყო.

ყან-ვალყანი გავიდა. კარებები როგორც წელან უჩუმრად გაუღეს, აგრეთვე ისევ მოუხურეს, ამიტომ, რომ ადამიანები, რომელნიც დიდ გამოჩენილ კეთილ საქმეებს სჩადიან, მუდამ დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ხალხში უთუოდ ერთერთი კინმე გამოვა და იქნება იმათი მშველელი და ერთ-გული.

თითქმის ერთ საათის შემდეგ მსაჯულებმა შანმატიე სრულიად გაამართლეს და განთავისუფლეს. იმავ წამს განთავისუფლებული შანმატიე მეტად გაოცებული შინ მიდიოდა და ეგონა, რომ მთელი ხალხი გაგიჟებულიო, ყველას გიჟებად სთვლიდა, გაშტერებული იყო და არა გაეგებოდა რა.

XVIII.

მადლენი რა ნაირ სარკეში ხედავს თავის თმებს.

ის ის იყო თენდებოდა. ფანტინამ მთელი ღამე ტიებ-ტხელებაში ჯ უძილობაში გაატარა; მარტო გათენებისას ცოტა ჩაეძინა. ავათმყოფების ზედამხედველმა დედა-კაცმა სიმშვიდეცია,რომელმაც მთელი ღამე

მასთან თეთრად გაათენა, რაკი დრო ჩაიცდო და ნახა, რომ ფანტინას ჩაეძინა, წამლის მოსამზადებლად თავის ოთახში გავიდა, სანამ რავდენიმე ხანი წამლის გაკეთებაში დაჭყო და მერე, როცა ადგა და მობრუნდა, უეცრად შეჭკივლა . . . იმის წინ უფალი მადლენი იდგა. ის იმ ოთახში უჩუმრად შესულიყო.

—თქვენა ბძანდებით უფ. მერო ? სიმპლეციამ დაიძახა.

მადლენმა ჩუმათ ჭკითხა:

—საცოდავი ავათ-მყოფი დედა-კაცი რასა იქს ?

—ეხლა ისე ავათ ალარ არი, დედაკაცმა უპასუხა. მაგრამ უნდა იცოდეთ, თუ ჩვენ როგორა ვწუხდით, და გვეფიქრებოდა თქვენზედ, და როცა ფანტინეს უთხრეს, რომ მადლენი კოზეტტას მოსაყვანად მონტეერმელში წავიდაო, მარტო მაშინ ძლივს ცოტა უკეთ შეიქნა.

—ძალიან ჯკვიანად მოქცეულხართ, რომ აგრე გითქვამთ, იმედი მიგიცია თ და დაბრკოლებიდამ გამოგიყვანია თ.

—მაგრამ ეხლა, სიმპლეციამ უთხრა, რომ თქვენ გნახავს და თავის უმაწვილს კი ვერა, მაშინ რა უთხრათ ?

მადლენი ერთ წამს ჩაფიქრდა და მერე წამოიძახა:

—ღმერთი რასაც გვაგონებს, იმას ვეტყვით.

—რაც უნდა იყოს, სიმპლეციამ წაიდუდუნა, ხომ ველარ მოვატყვილებთ. იმ დროს სრულიად გათენდა კიდეც და მადლენს სიმპლეცია კარგათ არჩევდა. და უეცრად შეხედა თუ არა, დაიკივლა:

—დიდება შენთვის ღმერთო ! ბატონო მერო, რა დაგმართებია თ ? თავის თმები თქვენ სრულიად გაგთეთრებია თ !

—გამთეთრებია ! მადლენმა სთქვა.

დედაკაც სიმპლეციას ოთახში სარკე არა ჭქონდა და როგორც იყო საიდამლაც პატარა სარკე ამოიღო, რომელსაც ლაზარეთის ჭქიმი ძნელ ავათმყოფებს პირთან მიუტანდა ხოლმე და იმითი შეიტყობდა ადამიანი სუნთქავდა კიდევ თუ არა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. მადლენმა პატარა სარკე დედაკაცს გამოართო, შიგ ჩაიხედა და სთქვა: «მართლა !»

ის სიტყვა იმან ისე გულგრილად წამოსთქვა, თითქო სხვა რასმეზედ ფიქრობდესო.

შემდეგ მადლენმა ჰკითხა:

—არ შეიძლება, რომ მე ფანტინა ვნახო?

—განა იმის კოზეტტას აქ მოიყვანთ? ძლივს გაბედვით მოახსენა სიმპლეციამ.

—უეჭველად, მაგრამ ჩამოყვანას, გზაზედ სულ ცოტა, ორი ან სამი დღე მოუნდები.

—თუ თქვენ უმაწვილის ჩამოყვანამდის არ დაენახვებით, სიმპლეციამ კრძალვით და მორიდებით უთხრა, იმას ეგონება, რომ თქვენ ჯერ მგზავრობიდამ არ დაბრუნებულხართ და კიდევ როგორც არი შეიძლება ის დავაშვიდო და ნუგეში მივცე, და როცა უმაწვილს აქ ჩამოჰგვრით, მაშინ ისე ითვიქრებს რომ უფ. მერს ჩამოუყვანია ჩემი კოზეტტა. თუ ასე იქთ, ტყვილის თქმა ალარ დაგვჭირდება.

მადლენი თითქო, რაადენიმე ხანს ფიქრობდაო და მერე წყნარად ჰკითხა:

—არა, ჩემო დაო, მე ფანტინა უთუოდ უნდა ვნახო. იქნება მე მეშველება.

სიმპლეციამ მადლენის ნათქვამს: «იქნება», მგონია ყური ვერ მოჰკრა, რომელიც მერის სიტყვებს რაღაც სალარ და ბნელ ჭაზრს აძლევდა. დედაკაცმა მორჩილის ხმით უპასუხა:

—მაშ რაკი აგრეა, თუმცა სძიხავს, მაგრამ თქვენ შეგიძლიანთ ნახოთ.

მადლენი აკათმეოფის ოთახში შეკიდა და იმის ლოგინის თავით გაშეშებული დადგა.

ფანტინამ თვალები გაახილა და რაკი მადლენი დაინახა მშვიდად და დაწყნარებით ჰკითხა:

—კოზეტტა სადაა?

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ს თვე გამოვა სიგრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. სავარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსულ აღრეცსით გამოგზავნონ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ
19-го Декабря 1863 года. Г. Тифлисъ.

2